ქუთაისში ონკანის წყალს ჭიები მოჰყვება A3

ენერგეტიკა A8

გულახდილად B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 20 ნოემბერი, 2004 წელი. №276 (825) — ფასი 50 თეთრი


ამბები

### ევროპის კარი არც ღიაა და არც დახურული



"დღესაც არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველო ევროპაა," - აცხადებენ გერმანიის და საფრანგეთის ელჩები.

A2

ეკონომიკა

### საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი "საფინანსო ამნისტიის" ახალ ვარიანტს "ვიზას" აძლევს



"გაერთიანებული ოპოზიციის" წინადადებები ხელისუფლებამ არ გაიზიარა.

A4


გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


# ნდობის ნახევარი კიდევ ოთხი წლით



პროფკავშირების თავმჯდომარეობის ორი კანდიდატი - ირაკლი ტულუში და ირაკლი პეტრიაშვილი. არჩევნებში გამარჯვება ირაკლი ტულუშს დარჩა - 200-ით 130.

იური ლობოდინის ფოტო

A3

# ვარსკვლავის დაბრუნება



ნატო ვაჩნაძე პირველი ქართველი კინომსახიობია, რომელიც კინოს ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. გუშინ კინოთეატრ "რუსთაველის" შესასვლელთან ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავი გაიხსნა. მუნჯი კინოს უმშვენიერესი მსახიობის ვარსკვლავი მისმა შვილთაშვილებმა გახსნეს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

B2


იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.




ამინდი

| | 20/11 | 21/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 16 |
| ქუთაისი | 18 | 17 |
| ბათუმი | 19 | 18 |
| სოხუმი | 16 | 10 |
| ფოთი | 18 | 16 |
| თელავი | 11 | 14 |
| ზუგდიდი | 18 | 16 |
| გორი | 11 | 12 |
| ახმეტა | 12 | 14 |
| ჭიათურა | 14 | 14 |
| გაგრა | 14 | 7 |
| სამტრედია | 18 | 17 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3125 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3014 |
| რუბლი | 0.0624 |

## საარჩევნო კონვეიერი გაზაფხულამდე რემონტში იქნება

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ საარჩევნო კოდექსში მეორე და მესამე მოსმენით გათვალისწინებული ცვლილებების შეტანა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდოს. საკითხის დაკონსერვების მიუხედავად, ყველაფერი უცვლელად მაინც არ რჩება: ვინაიდან მოქმედი ცესკო-ს უფლებამოსილების ვადა 1 დეკემბერს იწურება, დეპუტატები მას 2005 წლის 1 მარტამდე გააგრძელებენ. ეს ვადა, ამავდროულად, გამოყენებული იქნება საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებისთვის. ახალი საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნის შემდეგ კი (ანუ მომავალი წლის გაზაფხულიდან) ახალ საარჩევნო კოდექსზე დაიწყება მუშაობა.*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციური ძალები მოწონებით შეხვდნენ. ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი და არა სახელისუფლებო გუნდის მიერ გამოჩენილი კეთილი ნება.

**"საპარლამენტო უმრავლესობის ძალისხმევით პირველი მოსმენით მიღებულმა ხისტმა კანონპროექტმა არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მწვავე რეაქცია გამოიწვია. სწორედ ამან შეაშფოთა სახელისუფლებო გუნდი და მას საკითხის განხილვის გადადება აიძულა,"** - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

## შანსი, რომელიც რუსეთს არასოდეს მიეცემა

### სად გაივლის აღმოსავლეთ ევროპის საზღვარი?

*ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი ამასწინათ, რუსეთისა და უკრაინის პერსპექტივების შედარებისას, დანანებით აღნიშნავდა: "მე მშურს უკრაინელების, მათ აქვთ ნორმალური, დემოკრატიული განვითარების შანსი".*

"ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ხვალისთვის დანიშნული არჩევნების მეორე ტურში, უკრაინამ უკვე დაამტკიცა, რომ ევროპის ჭაობი არ არის," - უკრაინის არჩევნებთან დაკავშირებით ასეთი შინაარსის შეფასებებსაც ხშირად გაიგონებდით. მართალია, 31 ოქტომბრის არჩევნებმა ქვეყანა თითქმის ორად გახლიჩა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში უდიდესი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო ნელ-ნელა იძენს დასავლური დემოკრატიისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

არჩევნების რამდენიმეთვიანი მარათონი თითქმის ფინიშს მიუახლოვდა და დროა, შედეგებიც შეჯამდეს. აშკარაა, რომ რუსი პოლიტტექნოლოგები დამარცხდნენ. აღმოჩნდა, რომ ის, რაც კარგად მუშაობს რუსეთში, უკრაინაში წარუმატებელია. მიუხედავად იანუკოვიჩის კამპანიისათვის გაღებული ასობით მილიონი დოლარის რუსული ინვესტიციებისა (მით უმეტეს, რომ თვად ის გუნდიც არ არის ღარიბი, ვის ინტერესებსაც იანუკოვიჩი წარმოადგენს), გაყალბების სერიოზული მასშტაბებისა, სრული მედიაკონტროლისა - პუტინის "ფალავანმა" მაინც ვერ შეძლო პირველ ტურში გამარჯვება.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ამბები · A3 პოლიტიკა · A4 ეკონომიკა · A5 უცხოეთი · A6 საზოგადოება · A7 სამართალი · A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ · B3 რევიუ · B4 სპორტი · B5 სპორტი · B6 კვირა · B7 სხვადასხვა · B8 სხვადასხვა

მოკლედ

### რუსეთმა ბესლანის ტერაქტში ქართული კვალის არსებობა უარყო

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან არსებული, ბესლანის ტერაქტის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ ტორშინი უარყოფს რუსული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რუსულმა სპეცსამსახურებმა ბესლანის ტრაგედიის დროს ლიკვიდირებულ ტერორისტთა შორის ქალაქ რუსთავში მცხოვრები, 31 წლის თეთრაძე ამოიცნეს. ტორშინმა ჟურნალისტებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მსგავსი დაუზუსტებელი ინფორმაციები ისედაც დაძაბულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე უარყოფითად აისახება. შეგახსენებთ, რომ ინფორმაცია ვინმე თეთრაძის შესახებ გაზეთმა "ვრემია ნოვოსტეი" 18 ნოემბერს გაავრცელა. სტატიის ავტორის ცნობით, თეთრაძე რუსლან გელაევთან დაახლოებული პირი იყო. გაზეთის ინფორმაცია იმავე დღეს უარყო საქართველოს უშიშროების სამინისტრომ. **მედია-ნიუსი**

### ციხეში გარდაცვლილი მეზღვაურის მეუღლე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს

2004 წლის აპრილში საბერძნეთის ქალაქ ხოლკიდის ციხეში გარდაცვლილი ქართველი მეზღვაურის რევაზ ანთიას მეუღლე ქმრის სიკვდილის მიზეზის დადგენას ითხოვს. ის ეჭვქვეშ აყენებს ბერძნული მხარის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტაციას და დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ მათ საფუძველი არ აქვთ, ეჭვქვეშ დააყენონ ბერძნული მხარის საექსპერტო დასკვნა.

ცნობისთვის, 2004 წლის 14 იანვარს საბერძნეთის წყლებში გემი "იავნანა" დააკავეს და მის ეკიპაჟს ბრალად უკანონო ემიგრანტების გადაყვანა წაუყენეს. ექვსი დაკავებული მეზღვაურიდან ერთი, რევაზ ანთია აპრილში ხოლკიდის ციხეში გარდაიცვალა.

საბერძნეთის ციხეში მყოფ ხუთ ქართველ მეზღვაურს სასამართლო 25 ნოემბერს გამოუტანს საბოლოო განაჩენს. მათ 10-10 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი და საბერძნეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი ეს განაჩენი თავის დროზე განსასჯელთა ადვოკატმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სწორედ ამის გამო მიმდინარეობს ქართველი მეზღვაურების საქმის ხელახალი განხილვა. ქართველების ინტერესებს ბერძნულ სასამართლოში ბერძნული მხარის მიერ დანიშნული სახაზინო და კერძო ადვოკატები დაიცავენ. **მედია-ნიუსი**

### ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შეაქვთ

"საქართველოს თამბაქოს წარმოების" ყოფილი მფლობელი ჰუსეინ ალი ამ საწარმოს ამჟამინდელი ხელმძღვანელის ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ სასამართლოში კიდევ ერთ სარჩელს შეიტანს და კომპანიისგან 2 მლნ დოლარს მოითხოვს. გარდა ამისა, ჰუსეინ ალი უკვე შეტანილი სარჩელით ავთანდილ წერეთლის ადვოკატს თამაზ მელქაძეს დოკუმენტების გაყალბებაში ადანაშაულებს. ირანელი ბიზნესმენის ადვოკატი ირწმუნება, რომ თამაზ მელქაძე 16 სექტემბერს სასამართლოს წინაშე ჰუსეინ ალის ადვოკატის სახელით წარდგა და ყალბი დოკუმენტაცია წარადგინა, რის შემდეგაც ალის 90-პროცენტიანი წილი ავთანდილ წერეთელს გადაუფორმა.

ირანელი ბიზნესმენი აცხადებს, რომ წერეთელი მათ პროვოკაციას უწყობს და ყველა ხერხს იყენებს უცხოელი ბიზნესმენების ქვეყნიდან წასასვლელად, თუმცა ჰუსეინ ალის იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება ბიზნესმენებს ხელს შეუწყობს და სამართლიანობა აღდგება. **მედია-ნიუსი**

### არასამთავრობოები ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის გათავისუფლებას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვენ. არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" ხელმძღვანელის დავით ლილუაშვილის განცხადებით, მაშინ, როდესაც "მთავარი ბოროტმოქმედი" სრულ თავისუფლებაში იმყოფება, თამაზ ბაკურიძის დაპატიმრება სრულიად გაუმართლებელია. "მივმართავთ ქვეყნის ხელისუფლებას, ბაკურიძეს აღკვეთის ღონისძიება უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეუცვალოს. ეს პიროვნება ასლან აბაშიძის რეჟიმის მსხვერპლია და მისი საბრალდებო სკამზე დასმა სრული უსამართლობაა," - აცხადებს ლილუაშვილი.

თამაზ ბაკურიძე აჭარელმა სამართალდამცველებმა 9 აგვისტოს, ბათუმში დააკავეს. მას ბრალად ედება გადასახადების გადახდისთვის თავის არიდება, დიდძალი ოდენობის თანხების მითვისება-გაფლანგვა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. წინასწარ პატიმრობაში მყოფი, აჭარის ტელერადიომაუწყებლობის ყოფილი უფროსი ამჟამად ბათუმის N3 საპყრობილეშია მოთავსებული. **ინტერ-პრესი**

### სპეცოპერაციისას დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი მოკლეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოსა და ხობის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ხობის რაიონის სოფელ ხამისყურის ტერიტორიაზე ჩაატარეს ღონისძიება, რა დროსაც ორმა ნიღბიანმა პირმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხში დაჭრეს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი ინსპექტორი ჯონი დარასელია, რომელიც მოთავსებულია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

პოლიციელთა საპასუხო სროლის შედეგად ადგილზეა მოკლული ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მცხოვრები, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი თამაზ კუდავა. დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი კობა აკობია. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გრძელდება საგამოძიებო ღონისძიებები აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავებისა და მათი ადრე ჩადენილ დანაშაულში მხილების მიზნით. საქმეს ფოთის საქალაქო პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

### ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მე-7 რადიოსადგური ააფეთქეს

მორიგი აფეთქება მოხდა თბილისისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების საზღვართან. ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან ახლოს, ჯერჯერობით დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მე-7 რადიოსადგური ააფეთქეს. აფეთქებამდე, შეიარაღებულმა ნიღბიანებმა სადგურის მორიგეს თვალები აუხვიეს, თოკით შეკრეს და ტყეში მიატოვეს. ხელ-ფეხშეკრულმა მერაბ მულაძემ სოფელ ჩორჩანამდე მაინც ჩააღწია. აფეთქების ად- [illegible] **ინტერ-პრესი**

# ევროპის კარი არც ღიაა და არც დახურული



"დღესაც არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველო ევროპაა," - აცხადებენ გერმანიის და საფრანგეთის ელჩები.

იური ლობოდინის ფოტო

სოფო ბუკია

**"მე მას არ დავსწრებივარ, მაგრამ ეს მოვლენა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ევროპისთვისაა მნიშვნელოვანი... იგი ქვეყანაში საბჭოთა პერიოდის დასასრულად შეიძლება აღვიქვათ, საქართველომ განვითარების საკუთარი გზა იპოვა,"** - მოვლენა, რომელზეც საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფილიპ რეფორი საუბრობს, "ვარდების რევოლუციაა."

ელჩმა რეფორმა გუშინ საფრანგეთის საელჩოში ჟურნალისტებთან არაოფიციალური შეხვედრა გამართა და პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებს, გერმანიის ელჩთან უვე შრამთან ერთად, პასუხობდა.

ფრანგი დიპლომატი მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და ნატო-ს კარი დღეს საქართველოსთვის **"არც ღიაა და არც დახურული"**.

"ევროკავშირის ახალი სამეზობლო ინიციატივისა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად საფრანგეთთან და გერმანიასთან ინდივიდუალური მოქმედების პროგრამის რეალიზაციის შემდეგ, საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპას, შესაბამისად - ევროკავშირსა და ნატო-ს. **"დღესაც არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველო ევროპაა,"** - აღნიშნა რეფორმა. იგი იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი, რომელმაც "ვარდების რევოლუციის" განხორციელებით ევროპული ფასეულობებისადმი სწრაფვა გამოავლინა, დაძლევს არსებულ პრობლემებსა და სიძნელეებს და ევროპულ ოჯახში თავის კუთვნილ ადგილს აუცილებლად დაიმკვიდრებს.

საქართველოში ელჩად ახლად დანიშნული რეფორისგან განსხვავებით, გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უვე შრამი რევოლუციური დღეების თვითმხილველია. **"ვარდების რევოლუციამ" ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა. მე მაშინ თბილისში ვიყავი და ამ მოვლენის შესახებ ჩემს ქალიშვილებს წერილებს ვწერდი გერმანიაში. მე მათ ვეუბნებოდი, რომ ქართველმა ხალხმა, რომელიც წლების განმავლობაში დაღლილი და დათრგუნული იყო, ძალა მოიკრიბა და საკუთარი მომავლისთვის გაიბრძოლა,"** - იხსენებს გერმანელი დიპლომატი.

ელჩები "ვარდების რევოლუციის" შემდგომი პერიოდის შეფასებისგან თავს იკავებენ და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებიან: **"საქართველო კარგ გზას დაადგა,"** - აცხადებენ ისინი.

გუშინ საუბარი აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო.

**"დღეისათვის გაერო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც შესწევს ძალა, კონფლიქტურ ზონაში სტაბილურობა შეინარჩუნოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ გაერო-ს ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში,"** - აცხადებს რეფორი. უვე შრამის თქმით, გაერო აიღებს თავის თავზე ინიციატივას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში, ხოლო **"მხარეები პატივისცემით უნდა მოეკიდონ გაერო-ს რეკომენდაციებს და მისი ყველა წინადადება უნდა მიიღონ."**

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ელჩები გაცილებით უფრო ხალისიანად საუბრობდნენ, საქართველო-დანიის საფეხბურთო მატჩი გახლდათ. ორივე ელჩი ირწმუნება, რომ ამ მატჩის დროს საქართველოს გულშემატკივრობდნენ. **"მე სამი მიზეზი შემიძლია დავასახელო, რის გამოც საქართველოს მოგება მინდოდა: პირველი - მე საქართველოში ვცხოვრობ და მიყვარს აქაურობა, მეორე - საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ჩემი თანამემამულე ალენ ჟირესია და მესამე - ევროპის ჩემპიონატის დროს დანიის ნაკრებმა საფრანგეთი დაამარცხა... ძალიან მინდოდა, ქართველებს დანიელებისთვის სამაგიერო გადაეხადათ,"** - საფრანგეთის ელჩის ბატონი რეფორის საფეხბურთო სიმპათიები უვე შრამმაც სავსებით გაიზიარა.

ეს უკვე მეორე შეხვედრაა, რომელსაც საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები ერთობლივად მართავენ და პრესის წარმომადგენლებს არაოფიციალურ გარემოში ხვდებიან. როგორც გუშინ ითქვა, ეს ტრადიცია გაგრძელდება.

# საარჩევნო კონვეიერი გაზაფხულამდე რემონტში იქნება

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, არც საპარლამენტო უმრავლესობის წევრები უარყოფენ იმას, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის გადადება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების სურვილის გათვალისწინებით მოხდა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის თქმით, აღნიშნული სტრუქტურებიდან პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის სახელზე შევიდა არაერთი თხოვნა, რომ კანონპროექტის დახვეწის მიზნით, მისი განხილვა გადადებულიყო და ამ თხოვნებს, საბოლოო ჯამში, ანგარიში გაეწია.

გიგა ბოკერია იმაზეც საუბრობს, რომ საარჩევნო კოდექსის მნიშვნელოვან საკითხებზე თავად უმრავლესობის შიგნით მიმდინარეობდა მწვავე დისკუსია და ამდენად, ერთგვარი ტაიმ-აუტის აღება გამართლებულია.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც უმრავლესობის წარმომადგენლები საკითხის გადადების სასარგებლოდ ასახელებენ, დაახლოებით ასე ჟღერს: ადრე ოპოზიცია ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას, დღეს კი აქტიურად ჩაება კანონპროექტის გადამუშავებაში. ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ ცოტას მოვიცდით, პოზიციებს დავაახლოებთ და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებებს კონსენსუსის გზით მივიღებთ.

საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გადავადებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიესალმება და ამას "სწორ გადაწყვეტილებას" უწოდებს.

იმას, რომ ტაიმ-აუტის აღებას ოპოზიციაც მისალმება, სულაც არ ნიშნავს, თითქოს, ამიერიდან პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის. ხელისუფლების ოპონენტები სულაც არ აპირებენ დღის წესრიგიდან თავისი მოთხოვნების მოხსნას. ეს მოთხოვნები საკმაოდ კონკრეტულია და მათ მამუკა კაციტაძე ახმოვანებს: უნდა შეიცვალოს იმ საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების წესი, რომელიც ახდენს საარჩევნო ადმინისტრაციათა წევრების სერტიფიცირებას; ცესკო-ში კანდიდატურების წარდგენა არ უნდა [illegible] რებისთვისაც სავალდებულო უნდა იყოს პროფესიონალობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფლობა...

**"თუ მხოლოდ შვიდკაციან ცესკო-ზე გადავიტანთ აქცენტს და ქვედა რგოლებში ყველაფერს უცვლელად დავტოვებთ, არჩევნების სამართლიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება"**, - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი.

საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის პროცესით არც "რესპუბლიკელები" არიან აღფრთო- [illegible] **"ჩვენ ვითხოვთ, რომ საარჩევნო კომისიები მთლიანად არასამთავრობო სექტორმა დააკომპლექტოს, მაგრამ ამის ნაცვლად გვთავაზობენ, რომ "მესამე სექტორის" წარმომადგენლები საარჩევნო ადმინისტრაციებში ფრაგმენტულად იყვნენ წარმოდგენილნი, ანუ "ენ-ჯი-ოებს" დემოკრატიული ფასადის როლი განეკუთვნება,"** - აღნიშნავს დავით ბერძენიშვილი და იქვე დასძენს, რომ მათი მოთხოვნის არგათვალისწინების შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა მხარ- [illegible]

ერთი სიტყვით, საარჩევნო კონვეიერი გაზაფხულამდე სარემონტოდ გაჩერდა. რამდენად ხარისხიანად მოხდება მისი შეკეთება და როგორ პროდუქციას გამოუშვებს იგი შემდეგ, ამის თქმა დღეს არავის შეუძლია.



პარლამენტის ხელმძღვანელობა კმაყოფილია საარჩევნო კოდექსში ცვლილებების საგაზაფხულოდ გადადებით.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოკლედ

### ქართული სამშვიდობო ასეული ერაყიდან დაბრუნდა

სამშვიდობო ასეულმა, მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიას მეთაურობით, სამშვიდობო მისია ერაყში დაასრულა და საქართველოში დაბრუნდა.

თავდაცვის სამინისტროს შვეულმფრენთა საავიაციო ბაზაზე ქართველ ჯარისკაცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი დახვდნენ.

ქართულმა სამშვიდობო ასეულმა ერაყში რამდენიმე საბრძოლო შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა და არაერთი საჰაერო იერიში გადაიტანა. ამის შესახებ ერაყიდან დაბრუნებულმა უმცროსმა სერჟანტმა ლუარსაბ ამყოლაძემ განაცხადა.

"ერაყში უფრო მძიმე მდგომარეობას ველოდი. რა თქმა უნდა, იყო საბრძოლო შეტაკებები. პირადად მე სამ შეტაკებაში მომიხდა ჩართვა და რამდენიმე დაბომბვაში მოვყევი. შემიძლია, განვაცხადო, რომ ბიჭებმა შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმი გააკეთეს და ჩვენმა მისიამ ერაყში წარმატებით ჩაიარა," - განაცხადა ამყოლაძემ.

აღნიშნული ასეული ერაყში საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზებული მოტომსროლელი ბრიგადის "კომანდოს" ბატალიონის ორმა ასეულმა ჩაანაცვლა, რომლებიც საქართველოდან 8 ნოემბერს გაემგზავრნენ. **ინტერ-პრესი**

### რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მიმოსვლა შეზღუდულია

რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მოქალაქეთა მიმოსვლაზე შეზღუდვები დაწესდა.

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მოქმედ საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ვესიოლაია-ავტოდოროჟნაიაზე" მოქალაქეთა მიმოსვლა 08.00 საათიდან 18.00 საათამდე ხორციელდება.

აღნიშნულ მონაკვეთზე მიმოსვლის დროებითი შეზღუდვა აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ არასტაბილურ ვითარებას უკავშირდება. რუსული მხარე მიიჩნევს, რომ შეზღუდვამდე მოქმედ რეჟიმში საკონტროლო-გამშვები პუნქტით სარგებლობა ექსტრემისტებსა და ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეძლოთ.

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მოქალაქეთა მიმოსვლაზე შემოღებული შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებული განკარგულების შემთხვევაში მოიხსნება. **ინტერ-პრესი**

### "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გიორგი არველაძე იქნება

საქართველოს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყრილობამდე ორი დღით ადრე, უკვე ცნობილია, როგორი იქნება პარტიის მომავალი აღმასრულებელი სტრუქტურა.

წინასწარი ინფორმაციით, "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი პარლამენტარი გიორგი არველაძე გახდება, აღმასრულებელი მდივანი - პარლამენტარი დავით კირკიტაძე, საორგანიზაციო მდივანი - პარლამენტარი გოჩა კუპრავა, რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელი - პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

როგორც პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ განაცხადა, პარტიის ყრილობაზე შეიქმნება პოლიტიკური საბჭო, რომელიც ახალი წევრებით დაკომპლექტდება. სავარაუდოდ, დავით ტყეშელაშვილი პოლიტიკური საბჭოს ერთ-ერთი წევრი იქნება. ყრილობა პარტიის სათათბიროსაც ჩამოაყალიბებს.

ქართველი "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" ერთიან პარტიაში პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გუნდის გაერთიანების საკითხი კვლავ უცნობია. თუმცა, ბურჯანაძე 22 ნოემბერს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყრილობაზე სიტყვით გამოსვლას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურმა სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს საჩუქრად 22 ავტომანქანა გადასცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირას "საქართველოს თავდაცვის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტს განიხილავს, რომლის მიხედვითაც, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს შორის ფუნქციები საბოლოოდ გაიმიჯნება. აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომამ განიხილა და ერთხმად დაუჭირა მხარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, ვლადიკავკაზში, [illegible] **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. [illegible]

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო
FM 107,4
ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე






**წამყვანი**
რატი გარსევანიშვილი

**სტუმრები**
**სოზარ სუბარი**
საქართველოს სახალხო დამცველი

**გოგი ხუციშვილი**
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

**ლელა ქართველიშვილი**
სამოქალაქო საბჭოს კოორდინატორი

**ბექა მინდიაშვილი**
სასულიერო აკადემიის სტუდენტი

*სოზარ სუბარი:* ჩვენი მიზანია მხარი დადავუჭიროთ აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევა არ ხდება. უბრალოდ დაუშვებელია, როდესაც ადამიანი გამოხატავს თავის აზრს და ამის გამო მისი დევნა იწყება. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ქრისტიანულმა მოძღვრებამ ჩაუყარა საფუძველი ადამიანის უფლებებს და თანამედროვე დემოკრატიას.

*ლელა ქართველიშვილი:* ჩვენი მოვალეობაა, გამოვხატოთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებისადმი და ხელი შევუწყოთ დიალოგს ეკლესიასა და საზოგადოებაში.

*ბექა მინდიაშვილი:* ჩვენი საღვთო მოვალეობაა ერისა და ეკლესიის წინაშე საჯაროდ საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც ძალზედ გამწვავდა უკანასკნელ პერიოდში. მიგვაჩნია, რომ ეკლესიის წინაშე არსებული მწვავე საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ამ გზით შეიძლება.
პავლე მოციქული გვასწავლის: თქვენ შორის უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა, რათა უმჯობესი გამოვლინდეს.

*გოგი ხუციშვილი:* ეკლესია ქვეყნის და საზოგადოების ერთ-ერთი მოწინავე ნაწილია. ის არ შეიძლება იყოს განცალკევებული საზოგადოებისაგან, მით უმეტეს სასულიერო აკადემიის სტუდენტებისაგან. სტუდენტების გულისტკივილის გამოხატვაზე რეაქცია უნდა იყოს ისეთი, რაც ეკლესიას შეეფერება, და არა მათი მტრებად ან მტრის აგენტებად გამოცხადება.

# ნდობის ნახევარი კიდევ ოთხი წლით

მაკა ჭაიანი

*საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას ძველი ახალი თავმჯდომარე ჰყავს. გაერთიანების რიგით მეექვსე ყრილობამ ირაკლი ტუღუშს სავარძელი შეუნარჩუნა. გუშინდელი არჩევნები სკანდალების გარეშე, მაგრამ უცნაურ ფონზე წარიმართა.*

**"პროფკავშირებში უნდა მოისპოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, გაერთიანება დარგობრივი პროფკავშირების მხოლოდ ზემდგომ ორგანოდაა მიჩნეული... რეალურად მაკოორდინირებელი როლის (და არა დიქტატის) შესრულება - ეს არის გზა პროფკავშირული მოძრაობის კონსოლიდაციისკენ... გაერთიანების დღევანდელი სისუსტე დიდადაა განპირობებული დარგობრივი პროფკავშირების სისუსტით, შესაბამისად, გაერთიანებამ უნდა იხელმძღვანელოს პრინციპით - ძლიერი დარგობრივი პროფკავშირები - ძლიერი გაერთიანება"...**

**პროფკავშირები უნდა გახდეს ორიენტირებული პროფწევრებზე და არა ქონების განკარგვაზე... მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კავშირების გაერთიანება არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და მასში დასაქმებული არჩევითი პირების ქონებრივი მდგომარეობა კანონით არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას, გაერთიანების თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილეებმა და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ყოველწლიურად უნდა მოახდინონ საკუთარი ქონებისა და ფინანსური მდგომარეობის დეკლარირება პროფკავშირების წევრების წინაშე... უნდა განხორციელდეს გაერთიანების შემოსავლების ლეგალიზება...**

**გაერთიანებაში უნდა შექიმნას ძლიერი, კომპეტენტური იურიდიული და შრომის უსაფრთხოების ინსპექციების სამსახური, პროფწევრების მობილური და კვალიფიციური დახმარებისთვის... პროფკავშირების გაერთიანების მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის ხელისუფლებისა და მეწარმეებისთვის სოციალური პარტნიორობის საჭიროების დამტკიცება უნდა გახდეს... გაერთიანებამ უნდა წარადგინოს განაცხადი ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის წევრობაზე, ვინაიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ევროკავშირში ინტეგრაციისკენაა მიმართული,"** - საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეობის კანდიდატის ირაკლი პეტრიაშვილის ამ საპროგრამო გამოსვლას გაერთიანების





*პროფკავშირების თავმჭდომარის არჩევნები გამჭვირვალედ და კანონიერად ჩატარდა. ამას დამარცხებული კანდიდატიც აღიარებს.*

იური ლობოდინის ფოტოები

VI ყრილობის დელეგატთა თითქმის ორი მესამედი არ უსმენდა. დარბაზში გაცხოველებული საუბრები მიდიოდა იმაზე, დარჩა თუ არა ბუფეტში ცხელი წყალი ჩაის ან ყავისთვის, ბევრს მოპარეს თუ არა საქაღალდეებიდან ახალთახალი ბლოკნოტები, ვინ რამდენი ნათესავის მონახულება მოასწრო დღის განმავლობაში და ა.შ.

ირაკლი ტუღუშს სავარძელი ყრილობის დელეგატთა თითქმის ორმა მესამედმა შეუნარჩუნა. 200 ხმა 130-ის წინააღმდეგ. ასეთი იყო ხმის დამთვლელი კომისიის დასკვნა.

მიუხედავად პრეზიდენტის მიერ ბორჯომის პარკში გაკეთებული ხმამაღალი განცხადებისა - პროფკავშირების გაერთიანების მაფიური შეფერილობის თაობაზე, კულუარებში აქტიურად განიხილავდნენ იმას, რომ ხელისუფლება ტუღუშის, როგორც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის არსებობას ხელს არ შეუშლიდა. არგუმენტი მარტივი იყო - როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს ხელისუფლება, ოპოზიცია მაინც დამყოლი ურჩევნია. პროფკავშირები, თავისი საფუძვლით, ყველაზე ოპოზიციური ორგანიზმია, ის კი, თუ როგორი დამყოლი შეუძლია იყოს, ირაკლი ტუღუშმა შევარდნაძის ეპოქაში დიდებულად დაამტკიცა.

ერთი გაბრძოლება ირაკლი ტუღუშმა, თითქოს, გაიბრძოლა, ქვეყნის პირველი პირისგან თითის დაქნევა დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობაში ხელისუფლების უხეშ ჩარევად მონათლა და ამ საკითხს პრესკონფერენციების რიგი მიუძღვნა, მაგრამ შემდეგ საკუთარი ხელით, როგორც იტყვიან, ლანგრით მიართვა იმავე ხელისუფლებას იმავე დამოუკიდებელი ორგანიზაციის, ანუ პროფკავშირების კუთვნილი 45 ობიექტი. რატომ? რისთვის? - დღემდე გაურკვეველია. კულუარებში ეს ახალ, რევოლუციისშემდგომ საქართველოში გავრცელებულ პრაქტიკად აღიქვეს. სწორედ ამის შემდეგ ალაპარაკდნენ საზოგადოებაში, რომ ტუღუში ხელისუფლებასთან გარიგებაზე წავიდა და პოსტსაც აუცილებლად შეინარჩუნებსო.

ეს ყველაფერი, როგორც უკვე აღვნიშნე, კულუარული საუბრებია, თუმცა მაინც - გამაღიზიანებელი. ხელისუფლებას პროფკავშირებთან არაფერი ესაქმება და, შესაბამისად, მისი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, ვინ იქნება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამ ოთხი წლის წინათ, როცა გაერთიანების V ყრილობაზე პარლამენტის მაშინდელი ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარის ოპოზიციონერად მოგვევლინა, ირაკლი ტუღუშმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში საჩივრის წერილი აფრინა - არადემოკრატიული ძალები გვიტევენო. გუშინდელ ყრილობას ქვეყნის მთავრობის სახელით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ესწრებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ახალი საჩივრის წერილი, ამ შემთხვევაში, არ დაიწერება - მინისტრი, როგორც თავად განაცხადა, სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა გაერთიანების თავმჯდომარის მოხსენებით; ამასთან, აუცილებლად მიიჩნია, ხაზი გაესვა, რომ პროფკავშირების მისამართით ხელისუფალთა მხრიდან გამოთქმული პრეტენზიები საზოგადოებამ კონკრეტული გვარების წინააღმდეგ პრეტენზიებად არ უნდა მიიღოს.

მინისტრის სიტყვები დარბაზის თითქმის ორმა მესამედმაც მშვენივრად გაიგო და ღამის ათი საათისთვის ირაკლი ტუღუში კიდევ ერთხელ გახდა პროფკავშირების გაერთიანების ლიდერი.

თუმცა, იქამდე ერთი ძალზე საინტერესო რამ მოხდა. განათლების პროფკავშირების თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ თავის გამოსვლაში განახცადა, რომ მისი დარგი აღარ გადაიხდის 10 პროცენტს საწევრო შენატანებიდან გაერთიანების სასარგებლოდ. **"მე გადაგიხდით იმდენს, რამდენადაც მიღირხართ, როცა დავინახავ, რომ გაერთიანება აღწევს შედეგებს, დასაქმებულთა მდგომარეობას აუმჯობესებს, შეიძლება, 10 პროცენტზე მეტიც გადავიხადოთ, დღეს კი ჩვენი შენატანი ხუთი პროცენტით შემოიფარგლება,"** - თქვა მან. დარბაზმა, იმ თითქმის ორი მესამედის ჩათვლით, განათლების პროფკავშირების ეს ინიციატივა მოიწონა და ერთხმად, საკუთარი დარგებისთვისაც დაამტკიცა.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მათ, ყველას ერთად, გაერთიანების ხელმძღვანელობის საქმიანობა ზუსტად იმის ნახევრად ულირს, რა ნდობაც მას გასული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში გამოუცხადა.

VI ყრილობის შედეგებით ირაკლი ტუღუში კმაყოფილია.

ირაკლი პეტრიაშვილი კი აცხადებს, რომ იმ ფონზე, როცა სიები არარსებული ორგანიზაციებიდან მოყვანილი დელეგატებით შეავსეს, სხვაგვარი შედეგი მოსალოდნელი არც იყო. იგი ახალი, ძლიერი პროფკავშირების შექმნაზე ლაპარაკობს, რომლის შემადგენლობაშიც, მისი განცხადებისამებრ, პროფკავშირების გაერთიანების ყველაზე აქტიურ და რეალურ დარგებს ვიხილავთ.

### აფხაზეთის ამბები

"აფხაზეთის საზღვართან ქართული სპეცდანიშნულების რაზმებია მობილიზებული, მიმდინარეობს რეზერვისტების მობილიზაციაც. ხვალ საქართველო-აფხაზეთის საზღვართან ქართველი კომანდოსების წვრთნები დაიწყება," - აღნიშნული განცხადება გუშინ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ თარბამ გააკეთა.

"საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის დაცვას ჩვენ ჩვეულებრივი რეჟიმით ვახორციელებთ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ, საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე დამატებითი სპეცდანაყოფები გადავისროლოთ," - დასძინა თარბამ.

*24 საათი*

■ ■ ■

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშინინმა გუშინ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი მიიღო.

როგორც რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტში აცხადებენ, მხარეებმა აფხაზეთში შექმნილი ვითარება განიხილეს. "როგორც გაერო, ასევე რუსეთი დაინტერესებულია, აფხაზეთი ნორმალური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდეს და რეგიონში სტაბილურობამ დაისადგუროს. მხარეები, ასევე, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მშვიდობიანი ფორმატით განახლების მომხრენი არიან," - აღნიშნავს რუსეთის საგარეო უწყება.

*24 საათი*

■ ■ ■

აფხაზეთში შექმნილ ვითარებაში გასარკვევად რუსი დეპუტატები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან და უშიშროების ფედერალური სამსახურისგან ინფორმაციის მიწოდებას ითხოვენ. "ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება აფხაზეთში და რის გაკეთებას აპირებს რუსეთი რეგიონში სტაბილიზაციის დასამყარებლად," - აღნიშნეს რუსმა დეპუტატებმა გუშინ დუმის უშიშროებისა და საგარეო საქმეთა კომიტეტების სხდომაზე.

*24 საათი*

■ ■ ■

"ჩვენ თავს მოვალედ ვთვლით, განვაცხადოთ, რომ არაფერი გვაქვს ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაგაფშის კანდიდატურის საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ პოსტსაარჩევნო პერიოდში საკუთარი მშვიდობისმყოფელი და თავდაჭერილი პოლიტიკის წყალობით, ბაგაფშმა შეძლო ხალხის პატივისცემის მოპოვება. მან არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრორუსული ორიენტაციისაა და განზრახული აქვს, რუსეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაამყაროს და გააღრმაოს," - აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც გუშინ აფხაზეთის რუსულენოვანმა მოსახლეობამ გაავრცელა.

"ბოლო დროს აფხაზეთში შეიმჩნევა რუსეთის სახელმწიფო ჩინოვნიკების დიდი სურვილი, ზემოქმედება მოახდინონ აფხაზეთში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობაზე და მათი სიმპათიები ერთ რომელიმე კანდიდატზე შეაჩერონ... ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ, ალიკვეთოს მსგავსი ქმედებები რუსეთის ხელისუფლების მხრიდან," - აღნიშნულია განცხადებაში.

*24 საათი*

## აფხაზეთის გენპროკურორი მუშაობას შეუდგა

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას მიერ ოპოზიციასთან თანამშრომლობის ბრალდებით 16 ოქტომბერს თანამდებობიდან გათავისუფლებული და პარლამენტის მიერ გენერალურ პროკურორად აღდგენილი რაუფ კორუა უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა.

როგორც კორუამ განაცხადა, აფხაზეთის გენპროკურატურა 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მომხდარი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულის გამოძიებას გეგმავს.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერები გამომძიებლებს ემალებიან, სისხლის სამართლის ყველა საქმეს აუცილებლად ბოლომდე გამოიძიებენ.

როგორც კორუა აცხადებს, აღნიშნულმა პირებმა 28 ოქტომბერს აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს შენობა დაარბიეს, 29 ოქტომბერს სახელმწიფო ტელევიზიიდან ჯერ ეთერში გასასვლელად აუცილებელი აპარატურა გაიტაცეს, შემდეგ კი, 30 ოქტომბერს ტელევიზიის ელექტროენერგიით მკვებავი ქვესადგური ააფეთქეს, 31 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე ბლოკირებული ჰქონდათ პარლამენტის შენობა და 2 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა სამუშაო კაბინეტიდან გამოაგდეს.

*ინტერ-პრესი*

### რეგიონი

## ქუთაისში ონკანის წყალს ჭიები მოჰყვება

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ასეთი ფაქტი რამდენიმე დღის წინ, დევნილებით ჩასახლებულ რკინიგზის მე-12 სკოლაში დაფიქსირდა, სადაც ონკანიდან 30-40-სმ სიგრძის ჭია გამოძვრა. სანიტარიული სამსახურის განმარტებით, აღნიშნული ჭია ჰიბრას ოჯახს მიეკუთვნება და დაზიანებულ მილსადენში გუბურიდან მოხვდა.

დევნილთა განმარტებით, სხვადასხვა დაბინძურებელი ნივთიერება სასმელ წყალს მანამდეც ხშირად მოჰყვებოდა, მაგრამ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ვერაფრით მიაღწიეს. ჭიის აღმოჩენის შემდეგ მოსახლეობამ დახმარებისათვის "თავისუფლების ინსტიტუტის" ქუთაისის ოფისს მიმართა. **"რამდენიმე დღის წინ დევნილთა ერთ-ერთი კოლექტიური ცენტრიდან მოგვმართეს და მოიტანეს შუშის ბოთლში ჩასმული ჭია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ იგი ონკანიდან გადმოვიდა. დევნილები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ონკანის წყალს ხშირად მოჰყვება ჭიები, საქონლის ბეწვი და სხვა საბინძურე, რის გამოც არაერთხელ მიუმართავთ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, მაგრამ მათი მხრიდან ამ პრობლემის მოგვარებას თავი ვერ მოება,"** - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" ადგილობრივი რწმუნებული გოჩა ჩხეტია. ქუთაისში რომ წყალმომარაგებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ამას სანიტარიული სამსახურის მთავარი ექიმი ტარიელ სვანაძეც ადასტურებს. **"ეს არის ჩვეულებრივი ჰიბრა, რომელიც შეიძლება დაზიანებული ადგილიდან მილსადენში მოხვდეს. ამ შემთხვევაში დაზიანებულ მილთან გუბე ჩადგებოდა, სადაც ჭია გაჩნდა, წყლის წასვლის შემდეგ კი იგი მილში შეიწოვა. რაც მიუთითებს იმას, რომ ქალაქის წყლის სისტემა ჰერმეტული არ არის. ახლაც, ერთი კვირის განმავლობაში, ქალაქის ცენტრში წყალი არ ყოფილა, რის გამოც მილები გაჭუჭყიანებულია. ამ შემთხვევაში წყლის მოსვლამ შეიძლება უფრო მეტი უბედურება გამოიწვიოს, ვიდრე უწყლობამ,"** - აცხადებს ქუთაისის მთავარი სანიტარიული ექიმი ტარიელ სვანაძე. მისივე განმარტებით, სასმელი წყლის ხარისხი ქალაქის შემოსასვლელში ყოველდღიურად მოწმდება, აღნიშნულ ეტაპზე წლის ხარისხი დადებითია, ხოლო ქალაქის წყალმეურნეობაში შემოსვლის შემდეგ მასზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს.

ქუთაისის წყალმეურნეობის უფროსის, ზვიად მანდარიას განმარტებით, ამჟამად ქალაქის ტერიტორიაზე 100-150 დაზიანების კერაა, მათი დროული აღმოფხვრა უსახსრობის გამო ვერ ხერხდება. სპეციალისტების განმარტებით, ქუთაისის "წყალკანალი" მთლიანად ამორტიზებულია და მის შედარებით ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანას დაახლოებით 8 მილიონი ლარი სჭირდება. ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრთან აღნიშნული თანხის გამოყოფაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. **"როდესაც სამიოთხი დღის განმავლობაში მაგისტრალში წყალი არ მოხვდება, მილებში ჩვეულებრივი ჟანგვითი პროცესები მიმდინარეობს, რის გამოც, რა თქმა უნდა, 2-3 საათის განმავლობში არასტანდარტული წყალი წამოვა,"** - აცხადებს წყალკანალის ხელმძღვანელი ზვიად მანდარია.

# ირლანდიაში ყველაზე კარგად ცხოვრობენ

## რუსეთი კი "ცხოვრების ხარისხის" რეიტინგის ასეულშიც ვერ მოხვდა

*ჟურნალ "ეკონომისტის" სპეციალურმა ანალიტიკურმა განყოფილებამ ტრადიციული 111 ქვეყნის "ცხოვრების ხარისხის" რეიტინგი გამოაქვეყნა. ირლანდიელები გაკვირვებულები იყვნენ, როცა გაიგეს, რომ ცხოვრების ყველაზე კარგი პირობები მათ ქვეყანაშია.*

დიანა ჩაჩუა

ირლანდიამ "ცხოვრების ხარისხის" რეიტინგში წინ გაუსწრო ბოლო 17 წლის ისეთ ტრადიციულ ლიდერებს, როგორებიცაა შვეიცარია, ნორვეგია, შვედეთი და ლუქსემბურგი. ქვეყნების შეფასებისას გათვალისწინებული იყო ყველა ის ფაქტორი, რაც საზოგადოების არსებობას მეტ-ნაკლებად ეხება - დაწყებული შემოსავლების ოდენობიდან, ოჯახის კეთილდღეობით დასრულებული, საზოგადოებრივი თავისუფლებიდან - სამედიცინო მომსახურებამდე, დაწყებული სქესთა თანასწორუფლებიანობიდან, ამინდებით დასრულებული. "ეკონომისტის" რედაქტორის დანიელ ფრანკლინის განცხადებით, ირლანდიას გაუმართლა, რადგან მან ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ყველაზე მეტი დააგროვა - უმუშევრობის დაბალი დონე, პოლიტიკური თავისუფლების მაღალი დონე, ოჯახური ცხოვრების სტაბილურობა ა.შ. აღსანიშნავია, რომ ირლანდია წლების განმავლობაში განიცდიდა სერიოზულ ცვლილებებს, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით კი მან დიდი ხანია, თავის ევროპელ მეზობლებს გაასწრო.

და მაინც, ჟურნალ "ეკონომისტის" დასკვნები ირლანდიელებისთვის მოულოდნელი და შოკის მომგვრელი იყო, რადგან ისინი, ტრადიციულად, საკუთარ ქვეყანას მსოფლიოში ყველაზე წარმატებულად არ მიიჩნევენ. თუმცა ირლანდიელების სკეპტიციზმის მიუხედავად, ფაქტია, რომ ობიექტური მახასიათებლების ჯამის წყალობით, ზურმუხტის კუნძულმა რეიტინგის ისეთ ფავორიტებს გადაასწრო, როგორებიცაა შვეიცარია, ნორვეგია, ლუქსემბური და შვედეთი.

2004 წლის რეიტინგში პირველი ათეული ასე გამოიყურება - ირლანდია, შვეიცარია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, შვედეთი, ავსტრალია, ისლანდია, იტალია, დანია და ესპანეთი. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი ქულები საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა მოიპოვეს. ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე არსებულმა მაღალმა შემოსავლებმა ვერ შეძლო გაექვითა განქორწინებების და სოციალური უთანასწორობის მაღალი პროცენტი. როგორც ბრიტანული გამოცემა "გარდიანი" წერს, ცხოვრების დონე დიდ ბრიტანეთში, "ძველ" ევროკავშირელებთან შედარებით, ყველაზე დაბალია.

"ეკონომისტის" რეიტინგში აშშ-მ მე-13, ჩინეთმა მე-60, ხოლო საქართველოს დიდმა მეზობელმა რუსეთმა 105-ე ადგილები დაიკავეს. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთს ყველაზე მეტად ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავლები და ცხოვრების საეჭვო უსაფრთხოება უშლის ხელს. რეიტინგს უკანასკნელი პოზიციით ზიმბაბვე ასრულებს, სადაც რუსეთის პრობლემებს შიმშილი და შიდსთან დაკავშირებული რთული სიტუაცია ემატება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკის ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ "ხადორჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი განსაზღვრა. ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 6.51 თეთრი ეღირება. სემეკის გადაწყვეტილებით, ეს ტარიფი 2005 წლის 1 ნოემბრამდე იქნება ძალაში. "ხადორჰესის" ამოქმედებით კახეთის რამდენიმე რაიონს ელექტროენერგიის პრობლემა მოეხსნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობა საკრებულოს 2005 წლის ბიუჯეტის პირველად ვარიანტს მომავალი კვირის დასაწყისში წარუდგენს. დედაქალაქის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის, ამირან ჯებისაშვილის განცხადებით, მომავალი წლის საქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ვარიანტი უკვე მზად არის და მასში ცვლილებები პარლამენტის მიერ ახალი "საგადასახადო კოდექსის" დამტკიცების მიხედვით განხორციელდება. წინასწარი მონაცემებით, 2005 წლის თბილისის ბიუჯეტის პარამეტრები 375 - 380 მილიონი ლარის ფარგლებში განისაზღვრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების სახით, ყაზახეთმა 10 000 ტონა ხორბალი გამოყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილისა და აზერბაიჯანსა და საქართველოში ყაზახეთის ელჩის ანდარ შუკპუტოვის შეხვედრა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური ბიუჯეტიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად 460 ათასი ლარი გადაირიცხა, ამ თანხიდან ყველაზე მეტი, 235 ათასი ლარი - შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველაზე ნაკლები - 6 ათასი კი, მთავრობის კანცელარიის ანგარიშზე მოხვდა. თავდაცვის სამინისტრომ მიიღო 38 ათასი ლარი, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ - 70 ათასი ლარი, საქართველოს პარლამენტმა - 22 ათასი ლარი. სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს კი 89 ათასი ლარი გადაერიცხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7800 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქტელერადიომაუწყებლობის" ფინანსური საქმიანობისა და მისთვის გადაცემული ქონების შემოწმების მიზნით, შესაძლოა საქართველოს პარლამენტმა კონტროლის პალატას არაგეგმიური რევიზიის ჩატარება დაავალოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი საქართველოს პარლამენტში პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა. საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი განიხილავს. ბათუმელი კანონმდებლები "პრივატიზაციის შესახებ" კანონში ცვლილებებს ითხოვენ, რაც ცენტრსა და რეგიონს შორის სახელმწიფო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილებათა გამიჯვნას გულისხმობს. **ინტერ-პრესი**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**22 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), წყნეთის, თამარაშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გრანელის, ჯაბაურის, დილომბარის, დავითაშვილის, ლამის, პაატა სააკაძის, ბაგრატიონის, არსენალის მთის, ახალი არსენალის, ასპინძის, ბოდავის, სალიას, გუმათის, ადიგენის, ნავთლუღის, თამარაშენის, ბერიაშვილის, ძეგამის, ახუთის, სიღნაღის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი "საფინანსო ამნისტიის" ახალ ვარიანტს "ვიზას" აძლევს

თამარ ივანიძე

*ახალმა ხელისუფლებამ შევარდნაძის დროინდელი მაღალი თანამდებობის პირების "ამნისტირებაზე" უარი განაცხადა. იმ თანამდებობათა ნუსხას, ვისაც ამნისტია არ შეეხება, ხელისუფლება დამატებითი მსჯელობის შემდეგ განსაზღვრავს. "ფინანსურ ამნისტიასთან" დაკავშირებით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს შორის ხანგრძლივი კონსულტაციები ხუთშაბათს, გვიან ღამით დასრულდა. ამ ცვლილების გარდა, როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა განაცხადა, ამნისტიის შესახებ მომზადებული ცალკე კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებიც სამეწარმეო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის გამო არიან გასამართლებულები, ან რომელთა საქმეებიც გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაშია.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"გაერთიანებული ოპოზიციის" წინადადებები ხელისუფლებამ არ გაიზიარა.*

**"სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, რომლებიც ამა თუ იმ უწყებებს ედგნენ სათავეში, ამნისტია არ გავრცელდება. ასეთებად შეიძლება პრეზიდენტი, დეპუტატები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები მოვიაზროთ,"** - განაცხადა ხუროშვილმა. მისი თქმით, ამნისტია შეეხებ-ათ საშუალო დონის მოხელეებს, როგორებიც არიან რევიზორები. **"ჩვენ მივიღებთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც რევიზორების ქონების წარმომავლობას მთავრობა აღარ მოიკითხავს. ხოლო თუ ისინი დანაშაულს კიდევ ჩაიდენენ, მხოლოდ ამ დანაშაულის ჩადენის გამო აგებენ პასუხს,"** - აღნიშნა ხუროშვილმა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის განცხადებით კი, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" იმსჯელებს იმაზეც, კონკრეტულად ვინ შევა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა ნუსხაში.

რაც შეეხება "გაერთიანებული ოპოზიციის" ინიციატივას, ამნისტია შეეხოს იმ მეწარმეებსაც, რომლებსაც აღიარებული აქვთ დავალიანებები და რომლებზეც დარიცხულია გადასახადები. მთავრობა ამ შენიშვნას არ იზიარებს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" პოზიციას კომიტეტის სხდომებზე სწორედ ზურაბ ტყემალაძე გამოხატავდა: **"მეწარმეებს გააჩნიათ ვიდეო-კასეტები, სადაც ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მათ 2003 წლის შემოდგომაზე გადასახადების არგადახდისკენ მოუწოდებენ. რადგან მსხვილი სამრეწველო ობიექტების საურავების ჩამოწერაზე საუბარი არ შეიძლება იყოს, იქნებ მთავრობამ მცირე ბიზნესში დასაქმებულებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებზე დარიცხული საურავების ჩამოწერა მაინც უზრუნველყოს,"** - განაცხადა ტყემალაძემ. რასაც მთავრობის წარმომადგენლის რეპლიკა მოჰყვა იმის თაობაზე, რომ ეს ძალიან ჰგავს კერძო ინტერესების ლობირებას. ტყემალაძე ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებს: **"სამეწარმეო საქმიანობას ხუთი წლის წინათ ჩამოვშორდი,** - აღნიშნავს ზურაბ ტყემალაძე, - **აქედან გამომდინარე, დავალიანება, ბუნებრივია, ვერ მექნება. თქვენ თუ იმას გულისხმობთ, რომ რომელიმე ორგანიზაციის დამფუძნებელიც ვარ და ამ ორგანიზაციაში გარკვეულ წილსაც ვფლობ, მინდა გითხრათ, რომ ამ ორგანიზაციას არავითარი აღრიცხული დავალიანება არ აქვს. ჩემი ინიციატივა შეეხება გადასახადებისაგან ინდივიდუალური მეწარმეებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების გათავისუფლებას, თუმცა მათი ლობირება რომ შემეძლოს, ამას სიამოვნებით გავაკეთებდი, რადგან ამ საქმეში სასირცხვილო არაფერია."**

რაც შეეხება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის პოზიციას - მას "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტის პირველადი ვარიანტი უფრო მოსწონს.

როგორც რომან გოცირიძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, კანონპროექტის პირველი ვარიანტის მიღებით ქვეყანაში ეკონომიკური ეფექტი ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე შეცვლილი ვარიანტით.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს ერთხმად დაუჭირა მხარი. თუმცა, როგორც ფრაქცია "გაერთიანებული ოპოზიციის" წევრმა ირაკლი იაშვილმა განაცხადა, კანონპროექტში ყველა გამონაკლისი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული.

# აუდიტი რკინიგზაში, "მადნეულში" და ფოთის პორტში

## რკინიგზის აუდიტორული შემოწმება არაფრისმთქმელი დასკვნის შემუშავებით დასრულდა

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გახლდათ სამ სახელმწიფო საწარმოში - "მადნეულში", ფოთის პორტსა და რკინიგზაში საერთაშორისო აუდიტის შეყვანა. სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, ამ მოთხოვნის შესრულება ყველაზე მეტად გაუძნელდა ძველ ხელისუფლებას, რომლის ძალაუფლება ამ სამი საწარმოდან მიღებულ შავ ფულზე იყო დამყარებული. საბოლოოდ გადაწყვეტილება აუდიტის ჩატარების შესახებ მაინც იქნა მიღებული, თუმცა - საკმაოდ დაგვიანებით.*
*"24 საათის" ინფორმაციით, საერთაშორისო აუდიტებმა სამ უმსხვილეს სახელმწიფო საწარმოში მუშაობა უკვე დაასრულეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საწარმოების განსაკუთრებული "გამჭვირვალობა" არც ახალი ხელისუფლების ინტერესებში შედის. მართალია, ოფიციალურად ეს დასკვნები საწარმოთა "შიდა მოხმარებისთვისაა", მაგრამ საკითხის სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცხადია, მათდამი საზოგადოებრივი ინტერესი და მოლოდინი იმისა, რომ ხელისუფლება ამ ინფორმაციას "გახსნის", დიდია. "24 საათმა" დღეისთვის მხოლოდ რკინიგზის აუდიტორული შემოწმების შედეგების მოპოვება შეძლო. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დასკვნაც, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, საკმაოდ ზოგადია, ფაქტობრივად - არაფრისმთქმელი, რაც აუდიტორულ შემოწმებას, პრაქტიკულად, აზრს უკარგავს.*

ეთერ მამულაშვილი

აუდიტორულმა კომპანიამ "ერნსტ ენდ იანგმა", რომელიც შპს "საქართველოს რკინიგზას" ამოწმებდა, ამ ცოტა ხნის წინათ დასკვნითი დოკუმენტი ჩააბარა საწარმოს ხელმძღვანელობას.

**"ასეთი ცუდი დასკვნა მე პირადად არასდროს მინახავს,"** - ამბობს რკინიგზის ფინანსური დირექტორი არჩილ კონცელიძე. იგი ირწმუნება, რომ ამაში აუდიტორული კომპანია ყველაზე ნაკლებადაა დამნასავე. აუდიტმა საწარმოს შემოწმების პროცესში ვერ მოიპოვა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რაც შესაბამისი დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საფუძველს მისცემდა.

მაგალითად, საწარმოს ძირითადი საშუალებების ცენტრალიზებული რეესტრის გაცნობა "ერნსტ ენდ იანგის" აუდიტებმა იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოახერხეს, რომ ასეთი დოკუმენტი "საქართველოს რკინიგზის" არსებობის მანძილზე ბუნებაში არ არსებობდა. არადა, როგორც საწარმოს ფინანსური დირექტორი ამბობს, ასეთი ინფორმაციის ქონა ნებისმიერი საწარმოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძირითადი საშუალებების ცენტრალიზებული რეესტრი საწარმოს ბალანსზე მყოფი ორგანიზაციებისა და ქონების ნუსხას გულისხმობს, რომლის საერთო ღირებულება, არჩილ კონცელიძის ინფორმაციით, 400 მილიონ ლარს უნდა აღწევდეს. აუდიტისთვის საჭირო სხვა დოკუმენტების უმრავლესობა ან უბრალოდ არ არსებობს, ან უგზო-უკლოდ არის დაკარგული.

ანუ ეს მარტივად ნიშნავს, რომ აუდიტმა იმის გარკვევაც კი ვერ მოახერხა, თუ რეალურად რა ორგანიზაციებს და ქონებას მოიცავს შპს "რკინიგზა", აღარაფერს ვიტყვით სხვა ფინანსურ დეტალებზე, იმაზე, თუ ვინ არის რკინიგზის მოვალე და ვინ - მევალე და ასე შემდეგ. ანუ შეიძლება ითქვას, რომ აუდიტორულ შემოწმებას რკინიგზაში პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ მოუტანია, რაც რკინიგზით მაკონტროლებელთა უფრო აქტიურად დაინტერესების საფუძველს ქმნის.

**"აუდიტმა დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა სრული რეესტრის ნახვაც ვერ მოახერხა. ჩვენ ვიცით, რომ დებიტორული დავალიანება ამ დროისთვის დაახლოებით 70, ხოლო კრედიტორული - 40 მილიონს აღწევს, თუმცა ვინ არიან ჩვენი მოვალეები ან ჩვენ ვისი ვალი გვმართებს, ამის ზუსტი ნუსხა არ გაგვაჩნია. ფინანსურ კონტროლზე ხომ საუბარი ზედმეტია, ასეთი რამ საწარმოში წლების განმავლობაში არ ხდებოდა. აუდიტებმა ვერ შეძლეს საწარმოს მოგება-ზარალის, ნაღდი ფულისა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებების გაშიფვრა, ბუღალტერია აქ ფაქტობრივად ხელით კეთდებოდა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს არჩილ კონცელიძემ

ბუღალტრული აღრიცხვისა და ძირითადი ბუღალტრული ჩანაწერების შეუსაბამობაზე საკუთარ დასკვნაში "ერნსტ ენდ იანგიც" მიუთითებს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ბუღალტრული აღრიცხვის არაადეკვატურობის გამო, მათ არ მოუმზადებიათ ფინანსური ანგარიშგების ყველა ახსნა-განმარტება, რასაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს. თავად დასკვნა კი, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ საკმაოდ ზოგადი და არც ანალიზის და არც დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

რაც შეეხება სს "მადნეულს" - აქ "დელოი ენდ ტუშმა" მუშაობა დაასრულა და შესაბამისი დაკვნაც მას კარგა ხანია, მომზადებული აქვს, რომლის გაცემასაც აუდიტორული კომპანია არ ჩქარობს. კომპანიაში ამის მიზეზად შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებლობას ასახელებენ და აცხადებენ, რომ "მადნეული" ამ დასკვნას თანხის გადახდისთანავე მიიღებს.

როგორც ჩანს, საწარმოს ხელმძღვანელები, რომლებიც ახალი ხელისუფლების პირობებში ორჯერ შეიცვალნენ, აუდიტორთა დასკვნით მაინცდამაინც დაინტერესებულნი არ იყვნენ და ამიტომაც თანხის ჩარიცხვას არ ჩქარობდნენ. "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე მამუკა ცაგარელი ამბობს, რომ ხსენებულ დასკვნას ისინი უახლოეს დღეებში ჩაიბარებენ. თუმცა, განსაკუთრებული მოლოდინი იმისა, რომ ეს დასკვნა მათ საწარმოს შემდგომ მუშაობაში სერიოზულ დახმარებას გაუწევს და რკინიგზის აუდიტორულ დასკვნაზე უფრო მრავლისმთქმელი იქნება, არავის აქვს. **"დღეს საწარმოს ბალანსზე ძალიან ბევრი ისეთი ქონება ირიცხება, რომელიც მოძველებულია და უფუნქციოდ არის დარჩენილი, თუმცა "მადნეული" ამ ქონების გადასახადს ჩვეულებრივ იხდის, იმის გამო, რომ ჩვენ ჩამოსაწერი ქონების ზუსტ ნუსხას არ ვფლობთ. აუდიტი თავის დასკვნაში იტყვის, რომ ესა და ეს ქონება უვარგისი და ჩამოსაწერია, რაც საწარმოს მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს",** - გვითხრა მამუკა ცაგარელმა. თუმცა, როგორც ვთქვით, ამ დასკვნის გაცნობამდე კომპანიამ ჯერ მისი საფასური უნდა გადაიხადოს.

"პრაის ვოთერ ჰაუს კუპერსი" ის მესამე აუდიტორული კომპანია იყო, რომელიც "ფოთის პორტს" ამოწმებდა. აქაც აუდიტებს მუშაობა უკვე დასრულებული აქვთ და დასკვნის დრაფტიც ამ ცოტა ხნის წინათ წარმოადგინეს. დასკვნის საბოლოო ვარიანტს "ფოთის პორტის" ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში ჩაიბარებს და მის დეტალებზე "შესაძლებლობის ფარგლებში" "24 საათი" უახლოეს პერიოდში გამცნობთ.

# "გაზპრომი" ბრიტანეთს უმიზნებს

თორნიკე შარაშენიძე

რუსული გიგანტი "გაზპრომი" აპირებს, უახლოეს მომავალში ბრიტანულ ბაზარზე თავისი წილი მნიშვნელოვნად გაზარდოს. ეს იმედები სრულიად რეალურია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში ბუნებრივი გაზის უდიდესი მომხმარებელი - ბრიტანეთი უპირველესად ჩრდილოეთის ზღვის მარაგებზეა დამოკიდებული. იქაური გაზის მარაგები კი 2005 წლიდან საგრძნობლად შემცირდება.

"გაზპრომი" 1999 წლიდან მოყოლებული აწვდის გაზს ბრიტანულ საყოფაცხოვრებო კომპანიებს და ახლა აპირებს, სამრეწველო გიგანტებზე გავიდეს. თუკი ეს განხორციელდა, 2010 წლისათვის რუსული გიგანტის წილი ბრიტანეთის ბაზარზე 10 პროცენტზე ავა.

ამ გეგმებში უმნიშვნელოვანეს როლს რუსეთისა და ბრიტანეთის დამაკავშირებელი გაზსადენი ითამაშებს. გაზსადენის პროექტი უკვე საკმაოდ რეალურია. თავიდან იგი გერმანიამდე გავა ბალტიის ზღვის გავლით (ამის გამოცდილება "გაზპრომს" გააჩნია, მან უკვე გაიყვანა თურქეთში "ცისფერი ნაკადის" სახელით ცნობილი გაზსადენი შავი ზღვის გავლით).

"გაზპრომი" ახლა მოლაპარაკებებს აწარმოებს ბრიტანულ ბუნებრივი გაზის გიგანტ "სენტრიკასთან" ამ პროექტში ინვესტიციების ჩადების თაობაზე. თუკი "სენტრიკა" დათანხმდა, იგი "გაზპრომის" გაზს გაზსადენის მეშვეობით პირდაპირ მიიღებს.

გარდა ამისა, "გაზპრომი" აპირებს გავიდეს საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის ბაზარზეც. ეს არარეალური სულაც არ არის ამ კომპანიის პოტენციალის გათვალისწინებით. "გაზპრომი" თავის სფეროში მსოფლიოს უპირობო ლიდერია და მასზე მთელი მსოფლიოს გაზმომარაგების ერთი მეოთხედი მოდის.

# შანსი, რომელიც რუსეთს არასოდეს მიეცემა

პირველი გვერდიდან

მარცხის უმთავრესი მიზეზი, პირველ რიგში, უკრაინელთა სრული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში უნდა ვეძებოთ. 13 წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან და უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობა დღესაც გახლეჩილია მთავარ საკითხში - მაგალითად, დასავლეთ უკრაინაში რუსეთთან კავშირის გაღრმავების გაგონებაც თუ არ სურთ, ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუს მოძმე ერთან გაერთიანება კვლავაც დღის წესრიგში დგას. რაც შეეხება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილსა და დედაქალაქს, ის ორად არის გაყოფილი (მართალია, "ევროპელობის" მოსურნეები ჭარბობენ, მაგრამ სლავური ერთიანობის იდეის მომხრენიც საკმაოდ ბევრი არიან).

შედეგად ვიღებთ უკიდურეს პოლიტიკურ პოლარიზაციას, 31 ოქტომბერს გამართულ პირველ ტურში უკრაინის რეგიონების 2/3-ში იუშენკომ გაიმარჯვა, ზოგიერთ რეგიონში მან თითქმის ათჯერ გაუსწრო კონკურენტს. შედეგები მართლაც საშიშია - უკრაინა გეოგრაფიულად უკვე გაიხლიჩა. რა მოხდება, იუშენკო სამართლიან ბრძოლაში რომ დამარცხდეს? მართალია, ასეთი შემთხვევა რთულად წარმოსადგენია (პირველ ტურში გამარჯვებამ იუშენკოს მხარეს, შესაძლოა, ის ჩინოვნიკებიც აღმოაჩინოს, რომლებიც, როგორც წესი, გამარჯვებულისკენ იხრებიან ხოლმე), მაგრამ ჰიპოტეტურად შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში უკრაინის დასავლეთ ნაწილში არ მოისურვებენ იანუკოვიჩის გამარჯვების აღიარებას და ქვეყანაში უკვე არ-



ვიქტორ იანუკოვიჩი



ვიქტორ იუშენკო

სებული პოლიტიკური დაპირისპირება ძალიან საშიშ ხასიათს შეიძენს.

მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული გაურკვევლობისა, უკრაინის არჩევნებმა ნათლად უჩვენა, რომ 21 ნოემბრის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იანუკოვიჩმა მოახერხა გამარჯვება, რუსეთს "უკრაინისთვის ომი" წაგებული ექნება. ამის გარანტიას თეთრი სახლი იძლევა. უკრაინის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით ოფიციალურმა ვაშინგტონმა გუშინაც გააკეთა განცხადება. ძნელი მისახვედრი არ არის, ვის მოუწოდებს ბუშის ადმინისტრაცია, თავი შეიკავოს გაყალბებისგან. თანაც საგულისხმოა, რომ მსგავსი განცხადება უკვე მეორედ ისმის. სახლში არჩევნების მოგების შემდეგ ბუშმა უკრაინისთვისაც "მოიცალა" და აქტიურად ჩაერთო საარჩევნო ბატალიებში. პირველი განცხადება, სადაც დაფიქსირებული იყო 31 ოქტომბრის დროს დაშვებული ხარვეზებით უკმაყოფილება, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე გაჩნდა. მეტიც, ბუშმა გავლენიან სენატორს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელს, რიჩარდ ლუგარს დაავალა უკრაინაში გამგზავრება და მეორე ტურის მიმდინარეობაზე დაკვირვება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ პირველ ტურამდე აშშ უკრაინის ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების შემთხვევაში იზოლაციით დაემუქრა, ნათელი ხდება, რომ მანქინაციების შედეგად გაპრეზიდენტება იანუკოვიჩისთვისაც აღარ არის ისეთი მომხიბლავი. ასე რომ, მეორე ტურის ოფიციალურ შედეგებამდეც ცალსახად შეიძლება თქმა, რომ რუსეთმა წააგო.

იგივე პათოსი შეიმჩნევა უკრაინაში იანუკოვიჩის დასახმარებლად მივლენილი რუსი პოლიტტექნოლოგების განცხადებებშიც. გუშინ უკრაინის პრემიერ-მინისტრის საარჩევნო შტაბის ფაქტობრივი ხელმძღვანელი გლებ პავლოვსკი "გაზეტა.რუ"-სთან ინტერვიუში ამბობდა, რომ კიევში სიტუაცია საშიშ, რევოლუციურ ხასიათს იღებს. "თუ იგი (იუშენკო) შეძლებს კამათის ქუჩაში გადატანას, მას გამარჯვების მეტი შანსი ექნება." რუსი ექსპერტი არ მალავს, რომ რუსეთი ორივე სცენარისთვის მზად არის. "რუსეთის პოზიციები უკრაინაში იმდენად მყარია, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვება, უდავოდ, პირველ რიგში რუსეთმა უნდა აღიაროს... ამასთან დაკავშირებით ოპოზიციასაც არ აქვს ილუზიები. აი, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს - არჩევნები გვიჩვენებს."

# ეგვიპტეს კალიები შეესია

ეგვიპტეს წითელი კალიები შეესია. მწერების უზარმაზარმა გუნდმა კაიროს საერთაშორისო აეროპორტის საჰაერო სივრცე მთლიანად დაფარა, რამაც საფრთხე შეუქმნა მის გამართულ მუშაობას. კალიების გუნდი კაიროს ცენტრის, ჰელიოპოლისისა და დოკის ცენტრალური რაიონების თავზე დაბალ სიმაღლეზე მთელ სივრცეს ფარავენ. ისინი ანადგურებენ ნათესებს, ფარავენ შენობა-ნაგებობების კედლებსა და ფანჯრებს, ართულებენ ავტოსატრანსპორტო მოძრაობას, გამვლელნი კი იძულებულნი არიან, თავი დაწესებულებებს შეაფარონ.

კალიების გუნდის გადმონაცვლება ეგვიპტეში ლიბიიდან მოხდა. განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მერსამატრუხისა და სივას დასავლეთ მიწების 75 პროცენტი. კალიები შეესივნენ ასევე ალექსანდრიის, ელ-ბუხეირისა და გიზას პროვინციებს. ნათესების მთლიანად განადგურების თავიდან აცილების მიზნით, შემოსეულ მწერებს სპეციალური ბრიგადები ფოსფორზე დამზადებული პესტიციდებით, ხოლო სოფლების მოსახლეობა საბურავების დაწვით ებრძვის. დღეღამის განმავლობაში ერთ წითელ კალიას იმ რაოდენობის მცენარეულის განადგურება შეუძლია, რაც ორჯერ აღემატება მის წონას. გამომდინარე აქედან, ერთ ტონა კალიების გუნდს ერთი დღის განმავლობაში იმ მარაგის განადგურება ძალუძს, რაც 2 500 ადამიანის გამოსაკვებად არის საკმარისი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების მტკიცებით, ასეთი მასშტაბის სტიქიური უბედურება ქვეყანაში 20 წელია, რაც არ ყოფილა, თუმცა, გაერო-ს მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტის კრისტიან პანტენიუსის თქმით, ამინდის გამო წითელი კალიების შემოსევა დიდად არ აზარალებს კაიროსა და მის მიმდებარე რაიონებს. კალიების გადაადგილების სიჩქარე და მიმართულება მთლიანად ქარზეა დამოკიდებული. გაერო-ს წარმომადგენელთა თქმით, მწერების ნაწილი ქარის გამო განადგურდება, ხოლო ნაწილი სამხრეთის მიმართულებით გადაადგილდება, საუდის არაბეთისა და სუდანისაკენ. სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუდის არაბეთისა და სუდანის მთავრობები უკვე გაფრთხილებულნი არიან მოსალოდნელი სტიქიური უბედურების საფრთხის შესახებ.

კალიების შემოსევა დაფიქსირდა ასევე ტუნისის სამხრეთ რაიონებში, ლიბიაში, ალჟირსა და მავრიტანიაში, სადაც საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული მთელი მოსავლის განადგურების საშიშროების გამო.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ისრაელი.** ჩრდილოატლანტიკურმა ორგანიზაციამ ისრაელს პირველად შესთავაზა საერთაშორისო ერთობლივ სწავლებებსა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიტერორისტულ მანევრებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული ინციატივის განხორციელება ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს შორის მიმდინარე დიალოგის გაფართოების ჩარჩოებში ხდება. სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან ასევე ექვსი არაბული სახელმწიფოს - ეგვიპტის, იორდანიის, ტუნისის, ალჟირის, მაროკოსა და მავრიტანიის არმიები. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ელ-ფალუჯაში მოქმედი ანტისახელისუფლებო ფორმირებების ხელმძღვანელობამ ინფორმაცია გაავრცელა, სადაც მოცემულია 10 დღიანი სამხედრო ოპერაციის შედეგად ამერიკული მხარის დანაკარგები. ელ-ფალუჯის მოჯაჰედთა საბჭოს კომუნიკეში ნათქვამია, რომ იმ ჯგუფებმა, რომლებიც ამერიკელებს უწევდნენ წინააღმდეგობას, ორი F-16 ტიპის თვითმფრინავის, სამხედრო ვერტმფრენების, 5 უპილოტო მზვერავი-თვითმფრინავის, სატრანსპორტო ვერტმფრენი "შინუკის", სადაც 60 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა, 11 "აბრამს"-ის ტიპის ტანკისა და 22 სამხედრო ავტომობილის განადგურება შეძლეს. გავრცელებულ დოკუმენტში მოჯაჰედები ასევე ირწმუნებიან, რომ ბოევიკებმა ტყვედ აიყვანეს 126 ამერიკელი ჯარისკაცი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**გაერო.** გაერო-ს უშიშროების საბჭომ სუდანის კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ამ აფრიკული ქვეყნის სამხრეთში კონლიქტისა და დასავლეთით დარფურის რეგიონში არსებული დაპირისპირების სასწრაფოდ რეგულირებისაკენ მოუწოდა.

საბჭოს 15 წევრის მიერ ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციის თანახმად, წახალისების მიზნით სუდანისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარების გაწევაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, რეზოლუციაში გაერო-ს უშიშროების საბჭო მიესალმება დარფურის კონფლიქტში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნასა და იქ შუამავლის რანგში აფრიკული კავშირის საქმიანობას. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ევროპა.** დიდ ბრიტანეთში საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ოფიციალური ვიზიტი დასრულდა. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ყოველწლიურ სამიტზე ფრანგული მხარე ახალი, გაცილებით ჯანსაღი და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის შექმნის წინადადებით გამოვიდა. ახალი წესრიგის შექმნის უზრუნველყოფა კი გაერო-მ უნდა აიღოს საკუთარ თავზე, თუმცა, საამისოდ თავად გაერო-ს რეფორმირება და გაძლიერებაა საჭირო. სამიტის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ დასავლეთი სხვებს თავს არ უნდა ახვევდეს თავის ღირებულებებს, რადგან ესეც უკვე დემოკრატიული პრინციპების აღრევაა, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყო მართალი ერაყულ კამპანიასთან მიმართებაში, ისტორია განსჯის. "ძალის ლოგიკაზე დამყარებული მშვიდობა აუცილებლად იქცევა კონფლიქტის წყაროდ," - აღნიშნა ჟაკ შირაკმა.

საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი იზიარებენ პოზიციებს ირანთან, ავღანეთთან, ბალკანეთთან, ევროპის ერთიან თავდაცვის სისტემასა და კოტ დ`ივუარში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ორ ევროპულ სახელმწიფოს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევ ერთადერთ მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ ერაყის საკითხი რჩება. სააგენტო "სიენენ"-ის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკური კურსის გამამყარებელი და იმავდროულად გამაღიზიანებელი ვიზიტი ოქსფორდის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრით დაასრულა. **24 საათი**

■ ■ ■

**დსთ.** უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა და უზბეკეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, ნდობის გამყარებისა და თანამშრომლობის განვითარების შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. გარდა ამისა, ხელი მოეწერა ასევე შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ამ ორი ქვეყნის მოქალაქეების მიგრაციის გამარტივებასა და იმ პირთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომლებსაც რეგულარულად უწევთ უზბეკეთ-თურქმენეთის საზღვრის გადაკვეთა იქვე მდებარე სამეურნეო ობიექტების მომსახურებისათვის. **იტარ-ტასი**

# იტალიის საგარეო უწყებას ყოფილი ნეოფაშისტი უხელმძღვანელებს

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ საგარეო საქმეთა მინისტრად ნეოფაშისტური პარტიის - "ნაციონალური ალიანსის" ყოფილი ლიდერი ჯანფრანკო ფინი დანიშნა.

დანიშვნა კონსერვატიული მმართველი კოალიციის ფარგლებში მიმდინარე რთული მანევრებისა და ფინის ძალისხმევის შედეგი გახლავთ, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის იმიჯის გამოსწორებას გამუდმებით ცდილობდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მრავალ საკითხში ფინიმ თავისი პოზიციების შერბილება მოახერხა, ის მაინც კონსერვატორად რჩება და "მკვეთრი ხაზის" პოლიტიკას უჭერს მხარს. როგორც პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი მიიჩნევს, მისი მსოფლმხედველობის წყალობით, მას "პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციაში ახალი მეგობრების" შეძენაც შეუძლია.

ბოლო წლებში ფინი არა მარტო ანტისემიტიზმს გაემიჯნა, არამედ აცხადებდა, რომ ისრაელისა და არიელ შარონის დიდი მხარდამჭერი გახლავთ. იგი ასევე იტალიელ დიქტატორ მუსოლინის მისი რასისტული კანონების გამო გმობდა, რასაც ნაცისტურ ბანაკებში 6 ათასზე მეტი იტალიელი ებრაელის დეპორტაცია და სიკვ-



ყოფილი ნეოფაშისტი ისრაელისა და პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის აპოლოგეტი ხდება.

დილი მოჰყვა. მან ბოლო წლებში მოინახულა ოსვენციმიც და პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

გასულ წელს, როდესაც ფინი ისრაელში იმყოფებოდა, შარონმა მას "კარგი და მეგობრული ლიდერი" უწოდა.

ფინის მიერ ფაშიზმის სულ უფრო აქტიური კრიტიკის წყალობით, გასულ წელს "ნაციონალური ალიანსი" დიქტატორის შვილიშვილმა, ალესანდრა მუსოლინიმ დატოვა და საკუთარი პარტია დააარსა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იტალიაში მის დანიშვნასთან დაკავშირებული უკმაყოფილება არა მის ნეოფაშისტურ წარსულს, არამედ მის გადამეტებულ პროებრაულ პოზიციებს უკავშირდება.

იმ პოლიტიკოსთა შორის, რომლებმაც ფინის ბიოგრაფიის შესახებ წამოწიეს საკითხი, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე კოალიციაში მისი მოკავშირე, პოპულისტური პარტიის "ჩრდილოეთის ლიგის" დეპუტატი ედუარდ ბალამანი გახლავთ. ბალამანმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ იტალია საერთაშორისო ასპარეზზე ფინისა და მისი პარტიის სახით იქნება წარმოდგენილი.

"უკიდურესად რთული იქნება რიგ ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება, სადაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მას ფაშიზმის მემკვიდრედ აღიქვამენ," - განაცხადა მან.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მთავარ კანდიდატად ფინი მას შემდეგ იქცა, როდესაც ბერლუსკონიმ საგარეო უწყების ყოფილ ხელმძღვანელს, ფრანკო ფრატინის ევროკომისიაში იტალიის წარმომადგენლის ადგილი შესთავაზა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ შეხვდებიან ფინის დანიშვნას მისი თანაპარტიელები. უნდა აღინიშნოს, რომ მისი კოლეგების უმრავლესობამ არცთუ დადებითად შეაფასა მისი მცდელობა, რომ "ნაციონალური ალიანსი" უფრო ზომიერ პოლიტიკურ პარტიად ექცია.

"ნაციონალური ალიანსი" 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა და პარტია "იტალიის სოციალურ მოძრაობა"-ს ჩაენაცვლა, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში მუსოლინის იდეების გასაგრძელებლად შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ საკითხთა უმრავლესობის მიმართ პარტიას ულტრა-მემარჯვენე პოზიციები უჭირავს, ეკონომიკურ საკითხებში ის უფრო მემარცხენე მიდგომებს ემხრობა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას ითვალისწინებს.

# ღაზაში მაჰმუდ აბასზე თავდასხმის მონაწილეები დააკავეს

ღაზას სექტორში პალესტინის უსაფრთხოების სამსახურმა რამდენიმე ადამიანი დააკავა, რომლებიც 14 ნოემბერს შეიარაღებულ ინციდენტში მონაწილეობაში არიან ეჭვმიტანილი. აღნიშნული ინციდენტი მაჰმუდ აბასისისა და მუჰამედ დაჰლანის მიერ არაფატის ნეშტის მონახულების დროს მოხდა.

სროლის შედეგად, რომელიც რამდენიმე პალესტინელმა ბოევიკმა გახსნა, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (პგო) მეთაურის ორი მცველი დაიღუპა.

პალესტინური წყაროების ცნობით, ეჭვმიტანილები "ფათჰ"-ის გასამხედროებული ფრთის - "თანზიმ"-ის მეთაურის აჰმედ ჰილესის მხარდამჭერები არიან.

თვითმხილველთა თქმით, იმ მომენტში, როდესაც პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის ახალი გენერალური მდივანი, მაჰმუდ აბასი დაცვის თანხლებით დანიშნულების ადგილზე მივიდა, უც-



აბასი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევას ცდილობს.

ნობმა პირებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნეს.

დაახლოებით 30 შეიარაღებული პირი სამგლოვიარო კარავში მაჰმუდ აბასის კვალდაკვალ შეიჭრა და იქ შეკრებილთა მისამართით სროლა დაიწყო. ბოევიკები სკანდირებდნენ - "აბასი და დაჰლანი ამერიკის აგენტები არიან". თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

სროლის დროს, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, აბასის ორი მცველი დაიღუპა, ხუთი ადამიანი კი დაიჭრა. თავად მაჰმუდ აბასი არ დაზარალებულა.

აღსანიშნავია, რომ აბასმა მასზე თავდასხმის შესახებ ხმები კატეგორიულად უარყო. ებრაული გაზეთი "The Jerusalem Post"-ის ცნობით, იგი მიიჩნევს, რომ ღაზაში მომხდარი ინციდენტის მისი სიცოცხლის ხელყოფად შერაცხვა გაუმართლებელია. "ამ თავდასხმას პირადული ან კერძო ხასიათი არ ჰქონია. ეს არაფატის სიკვდილით გამოწვეული გადამეტებული ემოციების შედეგი გახლავთ," - განაცხადა აბასმა.

ისრაელის თავდაცვის უწყება შიშობს, რომ ექსტრემისტული პალესტინური დაჯგუფებები, რომლებიც ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, უახლოეს მომავალში პგო-ს ახალ ლიდერზე თავდასხმას მოაწყობენ.

თავდაცვის წარმომადგენლები გამორიცხავენ, რომ 14 ნოემბრის ინციდენტი, რომლის დროსაც პალესტინელებმა აბასის თანმხლები პირები დაცხრილეს, თავად აბასზე თავდასხმა ყოფილიყო. აღნიშნული შემთხვევა უფრო გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა, რომ ღაზას სექტორში მყოფი "ფათჰის" შეიარაღებული აქტივისტების უგულებელყოფა დაუშვებელია. აღნიშნული დაჯგუფებები მუსა არაფატთან და "თანზიმის" ლიდერთან აჰმედ ჰილასთან არიან დაკავშირებული.

"ეს ამ ტიპის უკანასკნელი ინციდენტი არ გახლავთ", - აღნიშნავს ერთ-ერთი ებრაული წყარო. თუმცა, აბასზე თავდასხმის შესაძლებლობა იმ გარემოების გათვალისწინებით მატულობს, რომ ტერორის შეწყვეტისა და ისრაელთან დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოების თაობაზე შეთანხმების მიღწევა ახლოვდება.

პგო-ს ახალი ლიდერი ტერორიზმისა და ანარქიის წინააღმდეგ 2000 წლის სექტემბერში გამოცხადებული ინტიფადას პერიოდშიც გამოდიოდა და ცდილობდა, ამგვარი მიდგომა 2003 წელს, მისი ნახევარწლიანი პრემიერ-მინისტრობის დროსაც შეენარჩუნებინა.

ამჟამად აბასი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევას ცდილობს. თუ მას იანვარში პალესტინის ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელად აირჩევენ, ის კიდევ ერთხელ შეეცდება ისრაელთან შეთანხმების მიღწევას.

ირანი, სირია და "ჰესბოლა", თავის მხრივ, ისრაელისა და პალესტინელების დროებით შერიგებას მკვეთრად უპირისპირდებიან. ისინი ტერორისტულ ორგანიზაციებზე ზეწოლას ახდენენ და მათგან ისრაელის წინააღმდეგ ახალი ტერორისტული შეტევების განხორციელებას მოითხოვენ.

ირანი აბასს საფრთხედ მიიჩნევს და ამდენად, შესაძლოა, მისი და მუჰამედ დაჰლანის ლიკვიდაციას უახლოეს მომავალში შეეცადოს.

გასულ კვირას, როდესაც აბასი პარიზში არაფატის სარეცელთან იმყოფებოდა, უცნობმა პირებმა რამალაში მისი საცხოვრებელი სახლი დაცხრილეს. ებრაელი ჩინოვნიკები აღნიშნავენ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე "ფათჰის" შეიარაღებული აქტივისტებისა და "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" მხრიდან მომდინარეობს. დაფინანსების დიდ ნაწილს და "ჰესბოლა"-ს პირდაპირ განკარგულებებს სწორედ ეს ადამიანები იღებენ.

გარდა ამისა, აბასის წინააღმდეგ საქმიანობა, შესაძლოა, "ისლამურმა ჯიჰადმაც" დაიწყოს. რაც შეეხება "ჰამასს", ის გაცილებით დისციპლინირებული ორგანიზაცია გახლავთ და მისი წევრები, სავარაუდოდ, მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაუცდიან.

*ბიბისი*

# ჩვეულებრივი ვაკური კონფლიქტი

*თბილისის ცენტრალურ უბნებში დღეს შენობა ისე ველარ აშენდება, მეზობელი რომ არ დააზარალოს, ან პრეტენზია მაინც არ გაუჩინოს. ეს, უპირველესად, ვაკეს ეხება, რადგან აქ მიწაზე ასაშენებელი ადგილი, კარგა ხანია, აღარ დარჩა და გაფართოების ერთადერთ საშუალებად სართულების დაშენება იქცა. ამ ფონზე, სკოლა "მერმისსა" და ბანკ "რესპუბლიკას" შორის დავა ტიპური "ვაკური" კონფლიქტია - ანუ ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ სკოლისა და ბანკის შენობას ერთმანეთისგან ორი მეტრი ძლივს აშორებს.*

ნანა ქადაგიშვილი

აღნიშნული ორი შენობა თავის დროზე ერთდროულად აშენდა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ლამის, ერთმანეთს მიხუტებული, მშვიდობიანად იდგა. ერთი (ჭავჭავაძის ქ. №17ა), როგორც ამბობენ, სოფლის მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტს ეკუთვნოდა, მეორეს (ატენის №2) ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი სათავსოდ იყენებდა. 1997 წელს პირველი მათგანი (ოთხსართულიანი) კერძო სკოლა "მერმისმა" არენდით აილო და რამდენიმე წელიწადში, თითქმის, მთელი შენობა შეისყიდა კიდეც. ბანკმა "რესპუბლიკამ" კი უკვე სკოლის მეზობლად მდებარე ორსართულიანი შენობა 2003 წელს შეიძინა. როგორც ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, ბოლო წლებში ეს შენობა უკვე სამ კერძო ორგანიზაციას ეკუთვნოდა და მათ ეს ქონება ბანკის საწესდებო კაპიტალში შეიტანეს.

ასეა თუ ისე, შარშან "რესპუბლიკამ" ატენის №2-ში მდებარე ორსართულიან შენობაზე სამი სართულის დაშენება დაიწყო. მშენებლობის პროექტი 2003 წლის 11 ივნისს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მაშინდელ უფროსთან ირაკლი როსტომაშვილთან შეათანხმა და 2003 წლის 31 ივლისს მშენებლობის ნებართვაც მიიღო. თუმცა, როცა ამ სამი სართულის დაშენება დასრულდა, აღმოჩნდა, რომ განახლებულმა მეზობელმა სკოლას ორ სართულზე დერეფნის მხარეს მდებარე ორი ფანჯარა დაუფარა. **"დერეფნები ისე ჩაბნელდა, დღისითაც სინათლის ანთება გვიწევს",** - ჩივის "მერმისის" დირექტორი ქეთი დოლიძე.

ბანკის ხელმძღვანელობა თანახმაა, ჩაბნელებული დერეფნების სანაცვლოდ, სკოლას 5-10 ათასი ლარი შესთავაზოს, მაგრამ, როგორც ქეთი დოლიძე აცხადებს, მიყენებული ზიანი უფრო ძვირი უჯდება. სკოლის ხელმძღვანელობას ზურგს ის ფაქტი უმაგრებს, რომ ბანკის მშენებლობის პროექტი ინსოლაციის გეგმის გარეშეა შეთანხმებული. **"არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა შენობის მდგომარეობა რომ შეამოწმა, ინსოლაციის გეგმის გაკეთება საჭიროდ არ მიიჩნია",** - განგვიცხადა ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწემ გელა მექვაბიშვილმა. თუმცა, სპეციალისტების განმარტებით, პროექტს შეთანხმებისას ინსოლაციის გეგმა აუცილებლად უნდა ახლდეს თან, რაც, როგორც ჩანს, არქიტექტურის სამსახურის მაშინდელ უფროსს პროექტის შეთანხმებისას არ გახსენებია. თუმცა, როგორც "24 საათმა" შეიტყო, ბანკმა ნაკლულ დოკუმენტზე ზრუნვა უკვე დაიწყო. ამის გარდა, "რესპუბლიკის" ხელმძღვანელობამ "ზურგის გასამაგრებელი" საბუთიც იპოვა. **"სკოლის შენობაში ფანჯრები მერეა გამოჭრილი; შესაძლოა, სკოლამ შენობა ფანჯრიანად ჩაიბარა, მაგრამ ვინც გაჭრა, უკანონოდ გააკეთა. ამას გამოვარკვევთ და შეიძლება, პრეტენზიები იქით წავუყენოთ,"** - აცხადებს ბანკის ხელმძღვანელობა.

როგორც შპს "თბილქალაქპროექტში" განგვიმარტეს, როცა ორი შენობა ერთმანეთისგან ხუთ მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული, არც ერთ მათგანს ერთმანეთის მხარეს ფანჯარა გაჭრილი არ უნდა ჰქონდეს. **"ეს ფანჯრები ან უნებართვოდ არის გაკეთებული, ან არქიტექტურის სამსახურმა პროექტი ნორმების დარღვევით შეითანხმა",** - განმარტავს სპეციალიტი. სკოლის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ მან შენობა ფანჯრიანად ჩაიბარა და დღეს ამ ფანჯრებს ბანკის შენობა აბნელებს. ამიტომ, ბანკმა დღევანდელ ფაქტზე უნდა აგოს პასუხი.

# პოლონური პროექტი

*პოლონეთის მთავრობამ გადაწყვიტა, განვითარებად ქვეყნებში დააფინანსოს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობის პროექტი. ამის პერეცედენტი საქართველოში მოხდა. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ქართული თვითმმართველობის ასოციაცია "სათმას" პროექტი - "აია" 25 ათასი დოლარით დააფინანსა.*

ნინო ბერელიძე

პროექტის მთავარი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. როგორც ორივე მხარის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ეს თანამშრომლობა მხოლოდ დასაწყისია. ამ ურთიერთობას საფუძველი სულ ახლახან ჩაეყარა, მაგრამ მალე დადგება ისეთი პერიოდი, როდესაც საკუთარი თავისა და გამოცდილების იმედადღა ვიქნებით.

"თვითმმართველობის სფეროში გამოცდილების დაგროვება თოთხმეტი წლის წინათ დავიწყეთ, გამოცდილების დაგროვებაში საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებოდნენ. დღეს იმის გამოყენება დავიწყეთ, რაც ვისწავლეთ. პოლონეთში არის ისეთი ქალაქები, რომლებიც მართავენ საზოგადოებას და ეს საზოგადოება კმაყოფილია. მთავარია, მართვა ისწავლო. მმართველის მთავარი თვისება სწორი დავალების მიცემაა. პოლიტიკა და პროფესიონალი პოლიტიკოსი ყველას ერთნაირად სჭირდება. თქვენ პირველ ნაბიჯებს ახლა დგამთ და ანაბანას სწავლობთ. ჩათვალეთ, რომ ხუთი წუთი გაქვთ და თუ ეს ვერ გამოიყენეთ, არავის დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. ჩვენ სიამოვნებით გიზიარებთ გამოცდილებას, მაგრამ 10 წლის შემდეგ შედეგს მოვითხოვთ", - აღნიშნა თავის გამოსვლაში იანუშ შევჩუკმა. პროექტის სახელწოდება "აია" სიმბოლურია და ელინური ეპოქის, საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის ერთ-ერთი ცენტრის, ქართული ქალაქ აიას სახელიდან მომდინარეობს.

ასოციაცია "სათმა"-ს თავმჯდომარე ზვიად არჩუაძე: "ეს პროექტი ოთხ თვეს გასტანს და პირველ ეტაპზე მომზადდება პოლონურ, გერმანულ და ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი, სადაც "სათმა"-ს საქმიანობასთან ერთად განთავსდება ინფორმაცია საქართველოს თვითმმართველობისა და ქალაქების შესახებ; აგრეთვე, სახელმძღვანელო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდიკაზე. მომავალში ჩვენ მიერ მომზადდება და განხორციელდება სამი პროექტი. ვფიქრობ, ეს ნაბიჯები უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის, რადგან ყველას გვაქვს სურვილი, უკეთეს ქალაქებში ვიცხოვროთ. ამ მცირე თანხით მოკლე ვადაში უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე წლების მანძილზე - მილიონებით".


## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შ.პ.ს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

**აუცილებელი მოთხოვნები:**

ა) ასაკი - 24 წლამდე;

ბ) განათლება - უმაღლესი;

გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,**

ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ 30 ნოემბრამდე.

ფაქსი: 94-18-94.

ელ-ფოსტა: hr@arti.ge

**გვესაჭიროება ჩეხურ-ინგლისურ-ქართული ენების გამოცდილი თარჯიმანი კომპიუტერის ცოდნით.**
**გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:**
**ტელ: 244310, 244305 ; მობილური: 899 176440**
**ელ. ფოსტა: tamriko.natsvlishvili@pagmbh.ge**


# რას ვიცავთ დამოუკიდებლობის მე-14 წლისთავზე

*გუშინ სახალხო დამცველის ოფისში ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა სასულიერო აკადემიის იმ სტუდენტების მხარდასაჭერად, ვინც 8 ნოემბერს ჩვენს გაზეთში ღია წერილი გამოაქვეყნა ეკლესიაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა კიდეც, - ამ დარბაზს ამდენი ხალხი არ ახსოვსო. ეტყობა, ის, რაც ამ ბოლო პერიოდში ხდება, მართლაც იმსახურებს ფართო საზოგადოების ყურადღებას.*



ვახო ბესელიას ფოტო

*შეხვედრის ბოლოს საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მიმართვას.*

ნინო ცინცაძე

შეხვედრა თავად სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გახსნა.

**"ჩემს დამოკიდებულებას გამოვხატავ, როგორც ომბუდსმენი, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და როგორც სასულიერო სემინარიის ყოფილი სტუდენტი. ის რეაქცია, რაც სტუდენტთა ამ წერილს მოჰყვა, სრულიად წარმოუდგენელია. აქ ბევრი ჩემი თანაკურსელია. ჩვენ ყველას გვახსოვს პერიოდი, როდესაც სემინარია გაცხოველებული დისკუსიების ადგილი იყო. სადისკუსიო თემები ხშირად სცდებოდა კიდეც ამ წერილში გამოქვეყნებულ საკითხებს; შეეხებოდა როგორც დოგმატიკას, ასევე, პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს, შეეხებოდა ყველაფერს იმას, რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო. აშკარად იგრძნობოდა, რომ მაშინ სემინარიაში ქვეყნის პულსაციაზე ედოთ ხელი. შემდეგ, რატომღაც, ეს სულისკვეთება ჩაქრა. მე ძალიან გამიხარდა, როდესაც ეს წერილი წავიკითხე, რადგან დავინახე, რომ ეს პულსაცია ისევ გაისმა. აზრის თავისუფლად გამოხატვა ეს არის კონსტიტუციით მინიჭებული გარანტირებული უფლება"**, - განაცხადა მან. შემდეგ კი ომბუდსმენმა სიტყვა პოლიტოლოგ გია ნოდიას გადასცა და დისკუსიის გაძღოლაც მას სთხოვა. ყველას კარგად ახსოვს პრეზიდენტის მიერ ამ ორი დღის წინათ გაკეთებული განცხადება - საეკლესიო საქმეებში სახელმწიფო რომ არ უნდა ჩაერიოს. გია ნოდიას აზრით, ეს განცხადება არასწორად იყო ინტერპრეტირებული.

**"რა თქმა უნდა, მართალია, რომ სახელმწიფო ეკლესიის საქმიანობაში არ უნდა ჩერიოს, მაგრამ ბევრმა ეს ისე გაიგო, თითქოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას არ უნდა აინტერესებდეს, რა ხდება ეკლესიაში. ეკლესია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ამიტომ, თუნდაც საერო საზოგადოება, რომელიც არ შეადგენს ეკლესიის მრევლს, ვერ იქნება გულგრილი იმ პროცესებისადმი, რაც ეკლესიაში მიმდინარეობს"**, - თქვა გია ნოდიამ.

როგორც მწერალმა ნაირა გელაშვილმა განაცხადა, საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც ეს მოვლენები მოულოდნელი აღმოჩნდა, ალბათ, ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს ყურადღებას არ აქცევდა. მათ, ალბათ, ყურადღების მიღმა დარჩათ, როგორ დაესხნენ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ერთად თავს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელმაც სრულიად უწყინარი წერილი მისწერა ილია მეორეს. იმ წერილში ისინი პატრიარქისაგან ითხოვდნენ, რეაგირება მოეხდინა იმ ფუნდამენტალისტურ და აგრესიულ გამოხდომებზე, რასაც ეკლესიის წევრთაგან ხშირად ჰქონდა ადგილი. ამ ადამიანებმა პასუხად ის მიიღეს, რომ პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მხრიდან ეკლესიისა და სამშობლოს მტრებად გამოცხადდნენ.

**"როდესაც საპატრიარქოს სურს, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდეს და მას მიენიჭა კიდეც კონსტიტუციური შეთანხმებით ეს უფლება, მაშინ, როცა ჯერი ელემენტარულ გამჭვირვალობაზე მიდგება, მისი პასუხი არ უნდა იყოს, რომ ეკლესიის საქმეებში ჩარევის უფლება არავის აქვს. 14 წლის წინ ჩვენ დავარღვიეთ სტერეოტიპი, თითქოს მთავრობის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება. დღეს უნდა დაირღვეს სტერეოტიპი, რომ ის, ვინც ეკლესიისა და, თუნდაც, პატრიარქის წინააღმდეგ რამეს იტყვის, სამშობლოსა და ეკლესიის მტერია"**, - განაცხადა სასულიერო აკადემიის ყოფილმა სტუდენტმა, თეოლოგმა, ლევან აბაშიძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ მართლმადიდებლური გაზეთების ჟურნალისტები, რომლებმაც დასვეს შეკითხვა, თუ რამდენად აქვს უფლება სამოქალაქო საზოგადოებას პასუხი მოსთხოვოს საპატრიარქოს.

**"ეკლესია არის ყველგან - სკოლებში, უმაღლესებში, ჩვენს ოჯახებში. დღეს ისეთი ვითარებაა, რომ მკვეთრი საზღვრის გავლება სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკლესიას შორის შეუძლებელია. ეკლესიის წევრებიც და სამოქალაქო საზოგადოების წევრებიც, პირველ რიგში, საჯარო კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია, ვინმეს სიტყვის თავისუფლად თქმა აუკრძალო და, მით უმეტეს, ამისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენო. თავად უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის იგი მზად საზოგადოებასთან ღია ურთიერთობისა და დიალოგისათვის"**, - ასეთი იყო სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილი ადამიანების პასუხი.

შეხვედრის ბოლოს საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მიმართვას, რომლის საბოლოო ვარიანტიც პრესაში გამოქვეყნდება.

# მთავარია საპრეზიდენტო უმრავლესობა შეგროვდეს

*გუშინ საკრებულოს საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე ქალაქის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავდნენ. ოპოზიცია რომ უმრავლესობის მიერ გამოტანილ საკითხს არ დაეთანხმებოდა, ამის შესახებ ჩვენს გაზეთში გუშინ ვიუწყებოდით. ფრაქცია "ახლებისა" და "ლეიბორისტების" წარმომადგენლები აეროპორტის ტრასის შესაკეთებლად დამატებით 4 მილიონ 240 ათასი ლარის გამოყოფასა და საახალწლო ღონისძიებებისთვის 250 ათასი ლარის დამატებას მხარს არ უჭერენ. უმრავლესობამ, როგორც ყოველთვის, საკითხის დაუბრკოლებლად გატანა სცადა. ამისთვის კანონიც კი დაარღვიეს, თუმცა მოგვიანებით შეცდომის გასწორება არჩიეს და საკითხის განხილვა მომავალი სხდომისთვის გადადეს.*

თამარ დვალი

საკმარისია საკრებულოს რამდენიმე სხდომას დაესწროთ და ნახავთ, თუ რა ადვილია აქ გადაწყვეტილებების მიღება და შემდეგ მათი დამტკიცება. საპრეზიდენტო უმრავლესობა ყოველთვის აგროვებს საკმარის ხმებს და ოპოზიციის წინააღმდეგობასაც აზრი ეკარგება. გუშინდელი სხდომა ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება კანონის გვერდზე ავლით მიიღონ გადაწყვეტილება და რამდენიმე წუთში, ასევე კანონდარღვევით, გააუქმონ.

საქალაქო ბიუჯეტის ხარჯების რვა მილიონი ლარით გაზრდას დეპუტატების მთელი შემადგენლობა უჭერდა მხარს, თუმცა ოპოზიციონერები ორი პუნქტის დაწვრილებით განხილვას მოითხოვდნენ. საქმე ეხება აეროპორტის გზის შეკეთებისთვის დამატებით ოთხი მილიონ 240 ათასი ლარის გამოყოფასა და საახალწლო დღესასწაულისთვის 250 ათასი ლარის გადარიცხვას. სხვა საკითხებისაგან განსხვავებით, ბიუჯეტის მიღებასა და მასში ცვლილებების შეტანას საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა სჭირდება. მას შემდეგ, რაც საქალაქო თავდაცვის, განათლებისა და სხვადასხვა სოციალური ღონისძიებისთვის თანხის გადანაწილების საკითხი გაირკვა, საპრეზიდენტო უმრავლესობა ოპოზიციონერთა წინააღმდეგობას წააწყდა. თუკი კენჭისყრა სიითი უმრავლესობით ჩატარდებოდა, მაშინ ორი საკითხი ჩავარდებოდა. საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერით მიიღებდნენ. როგორც სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც საპრეზიდენტო უმრავლესობამ ორივე პუნქტის დადებითად გადაწყვეტა შეძლო. სხდომის ბოლოს ბეგაშვილმა აღმოაჩინა, რომ კენჭისყრა კანონდარღვევით მოხდა და საკითხის განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადადო.

"ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა სჭირდება, რაც იმას გულისხმობს, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტას 25 დეპუტატი მაინც უნდა უჭერდეს მხარს. რადგანაც დღეს ეს ვერ მოხერხდებოდა, საპრეზიდენტო უმრავლესობამ გადაწყვეტილება უბრალო უმრავლესობით მიიღო. ბოლოს "მიხვდნენ" თავიანთ შეცდომას და უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილება კვლავ კანონდარღვევით გააუქმეს. არ მესმის, რა საჭიროა ახალი წლის დღესასწაულისთვის 250 ათასი ლარის გამოყოფა, როცა ქვეყანაში ამდენი გაჭირვებული ადამიანი დადის. საპრეზიდენტო უმრავლესობა ერთგვარ საბანკეტო-სამასკარადო კანტორად გადაიქცა, რომელიც მხოლოდ ბანკეტებს აფინანსებს", - განაცხადა ფრაქცია "ლეიბორისტების" ლიდერმა გიორგი გუგავამ.

საახალწლო ღონისძიებებისთვის თანხების დამატებას არც "ახლები" ეთანხმებიან. გიორგი მოსიძის ეჭვს აეროპორტის გზის შეკეთებაც იწვევს: "აეროპორტის გზატკეცილის შეკეთება უკვე დაწყებულია და თანხებიც გადარიცხულია. ახლა აცხადებენ, თითქოს მხოლოდ აეროპორტისკენ მიმავალი სავალი გზის დაგება იყო გათვალისწინებული და იქიდან აქეთ მომავალი გზის - არა. როგორ წარმოგიდგენიათ, პრეზიდენტი აქედან გაფრინდებოდა და უკან აღარ დაბუნდებოდა, თუ როგორაა ამათი საქმე"?

გზის საფარის აღდგენისა და საახალწლო ღონისძიებების ორგანიზების გარდა, საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, მუნიციპალურ ბიუჯეტს დამატებული რვა მილიონი ლარიდან, პედაგოგებისთვის უფასო ბუნებრივი აირის ვაუჩერების განაღდებას 3 მილიონ 800 ათასი ლარი დაემატება.

ფოსტა

# "იმედის ქალაქის" რეალობა - საიდან ამდენი ცინიზმი?!

*ქვიშისა და ზღვის საუფლო, სანაპირო უდაბნოს ჰგავს და იქვე წყლის უზარმაზარი სივრცეა. ესაა ურეკი - გურიის ზღვისპირა მშვენება. ორიოდ ნაბიჯში ცამდე აწვდილი ფიჭვების სარტყელი, თითქოსდა, დარაჯად უდგას მაგნეტიტს. ეს სილაში გაფანტული მაგნიტის უმცირესი მარცვლები უნიკალურია. ამგვარი ადგილი მხოლოდ შვეიცარიაში ყოფილა და... საქართველოში. დაღლილ, გაპარტახებულ საქართველოში, რომელიც ჭაობიდანაა ამოსაყვანი, ადამიანთა მშაკვრული თუ უჭკუო ზრახვების ღრმა ჭაობიდან.*

ნატო ამონაშვილი-თევზაძე

ჭაობში იყო ეს მხარეც ოდესღაც, მხოლოდ დიდმა ძალისხმევამ და კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ შეძლო აქაურობის მნიშვნელოვან სამკურნალო სავანედ ქცევა. მაგნეტიტის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ შეუსწავლელია - აქ ფეხს იდგამენ ხეიბრები, სიარულსა თუ მოძრაობას იწყებენ უმოძრაონი. რამდენიმე შემთხვევა ჩვენ თვალწინ მოხდა - აუტანელი ტკივილები გაქრა, დაწყვეტილი მყესები განიკურნა, უმოძრაო ბავშვმა ხოხვა დაიწყო და ფეხზე გავლას ცდილობდა; ასევე, ავადმყოფი პატარა უმოძრაო ხელს თავისუფლად ხმარობს და ფეხზე დგომაც რეალობად ესახება. "მე გავივლი", - ამბობს ის. ამ ბავშვების ლოცვის სიტყვები ასეთია: "ღმერთო, მარი გაზარდე; ღმერთო, დიანას უშველე"... მათთვის, ალბათ, ეს რბილი ქვიშა და დიდი წყალი უზარმაზარი, კეთილი სამყაროა, სადაც ღმერთია - მათი პატარა გულების ნუგეში.

აქ "იმედის ქალაქი" დაფუძნდა. მას მერე ერთი წელი გავიდა, ქალაქს კი მხოლოდ პრეზენტაციისას გახსნილი პარკი ამშვენებს. ისიც არცთუ ისე სამომავლოდ ნაშენებს ჰგავს. პარკის ერთ-ერთი მოსართავი ნაგვის ურნებია, სხვადასხვაფრად შეღებილი, ყოველ მეტრში სიმეტრიულად ჩასმული. ეს მაშინ, როდესაც ქუჩებში ამგვარ ურნას ვერსად წააწყდები. ყოველ რამდენიმე მეტრში ნაგავი ყრია, რაც ღორების საყვარელ თავშესაყრად ქცეულა. აქ არაა კანალიზაცია. ქუჩა ასფალტის უსწორმასწორო ზოლს წარმოადგენს, არანაირი "ტროტუარი". ზაფხულის სეზონის შემდეგ აქაურობა ბნელდება, დენი ქალაქს კვირაობით თუ თვეობით საერთოდ არ მიეწოდება. რაიმე ღონისძიების დროს კი უწყვეტადაა განათებული ყველაფერი. ხალხი რომელიმე ბატონ N-ის ან კიდევ მისი ოჯახის წევრების დაბადების დღეს ელოდება, სტუმრები ჩამოვლენ და იქნებ სინათლეც გვიწყალობონო... ანდა, იქნებ კონცერტი გაიმართოსო.

ნათქვამია, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო, მაგრამ მუდმივად ჩვენი ქვეყანა რატომ უნდა მოიაზრებოდეს ასეთ ადგილად. ის, რაც ერის სიმდიდრეს წარმოადგენს, რატომ უნდა იყოს საფრთხის ქვეშ და რატომ უნდა ართმევდნენ ადამიანებს მისით სარგებლობის უფლებას.

ამ პატარა ქალაქში უამრავი "რატომ" ისმის: რატომ უნდა შეისყიდოს ერთმა, თუნდაც, ორმა პიროვნებამ ქალაქი, მისი მიწები, შენობები, სანაპირო; რატომ უნდა გადაკეტოს ნაპირი უზარმაზარი ბეტონის ფილებით და დაისაკუთროს ზღვა, არ მიუშვას იქამდე ადამიანები, რომლებიც არათუ გასართობად, უფრო სამკურნალოდ მიდიან იქ; რატომ არ უნდა ემორჩილებოდეს ის სასამართლო პროცესის თანმხლებ პროცედურებს; რატომ არ უნდა გაუწიოს არავითარი ანგარიში ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით მათ, ვინც მისგან ფული არ აიღო და თავის უფლებებს იცავს; რატომ უნდა მიაყენონ მისმა რწმუნებულებმა ამ ხალხს გამუდმებით შეურაცხყოფა?!

70 წლის ქალბატონს ასე მიმართავენ, - რა გინდა ბებო, სამუშაო გექნებაო. რა სამუშაო, შვილოო, - ინტერესდება მოხუცი. ეს შვილის ტოლი კაცი კი პასუხობს, - ტუალეტების ჩამრეცხავად იმუშავებო... ანდა (როდესაც მძიმე ტექნიკით არასამართლებრივად აპირებენ სანაპიროზე ნგრევას) აღშფოთებულ, გამწარებულ ხალხს, მხოლოდ ხმის უფლება რომ შერჩენია და ამიტომაც ყვირიან, პასუხად ეუბნებიან, - ფსიქიატრები ვართ, ზღვის ნაპირზე დიდი საავადმყოფო უნდა ავაშენოთ და ყველას იქ მოგათავსებთო. საიდან ასეთი ცინიზმი? ნუთუ არაფერი შეიცვალა ჩვენს ცნობიერებაში ბოლო წლის მოვლენების გავლენით და კვლავინდებურად მხოლოდ ფული, ნაცნობობა და გავლენის სფეროები ანათებს?

"სამი წელია, ასეთ დღეში ვართ", - ჰყვებიან ურეკელები; ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც სხვა ცნობილ პიროვნებებს უნდოდათ აქაურობის დაპატრონება. მოსახლეობა ეზოებში სპილენძისა და ალუმინის ნივთებს აგროვებდა, აბარებდა, რომ სამოძრაო ფული ჰქონოდათ მუდმივად სასამართლოს გზაზე დამდგრებს. ვინც არ იბრძოლა და ფული აიღო, ახლა ნანობს უზარმაზარ ბეტონის ფილებით გადაკეტილ სივრცეს რომ შესცქერის. ვინც დღემდე იცავს თავის უფლებებს, მათთვის ეს ჩვეულებად ქცეულა. "ჩვენ არ დავიღლებით, ეს ზღვარი უკვე გადავლახეთ", - ამბობენ ისინი... და ისევ მძიმე ტექნიკა ქუჩებში და სანაპიროზე ნგრევის ხმა, როდესაც სასამართლო პროცესი არ დასრულებულა და ამის იურიდიული უფლება არ არსებობს. სასამართლო გადაიდო, დანიშნულ დროს თბილისში ჩასული ურეკელები უკან გამოაბრუნეს, - მოსამართლე შვებულებაში გავიდაო... ხალხის ადვოკატს ადგილობრივი პროკურორი თავს არიდებს, გამგებელი ხალხს გაურბის, მოსამართლეც დაიმალაო, - ასე ამბობენ აქ. განმეორებით ნგრევის ხმაზე იქვე, გურულ ოჯახში აღშფოთებული ქმარი ცოლს ეძახის, - "გამოდი, ვიყვიროთ"!

რისი იმედით ყვირის ეს ხალხი, ვისი იმედით, ისევ ჩვენი - მათი თანამოქალაქეების, საქართველოს მოქალაქეების იმედით; პირველ რიგში კი, მათი იმედით, ვისაც თვითონვე ანდეს ქვეყანა. ეს იმედი არ უნდა მოკვდეს, არ უნდა განქარდეს. ის ხომ მომავალთან დამაკავშირებელი ხიდია; იმ მომავალთან, რომელიც იტყვის - ჩვენც ქვეყანა გვქვია და ჩვენც ხალხი ვართო. იმედმა დარდი უნდა განაქარვოს, იმედმა რწმენა უნდა გაამყაროს, გვაჩვენოს, რომ ყოველი საქმე სიყვარულზე და სამართალზეა დაფუძნებული და არა ვიღაცის არაკანონიერ ინტერესზე. გულგატეხილი ადამიანები არ უნდა ამბობდნენ, - არც ერთი მთავრობა ხალხისთვის არ ყოფილაო.

არამყარ საფუძველზე არასწორად აშენებული დიდხანს ვერ გაძლებს. ეს რეალობის ერთ-ერთი კანონია. ამ იმედის ამარაა დარჩენილი იმედის ქალაქიც...


**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი (CRC) აცხადებს კონკურსს 2005 წლის გაზაფხულზე ერთკვირიან სესიებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია ვიზიტი უნივერსიტეტში, სადაც საშუალება მიეცემათ დაამუშაონ სასწავლო პროგრამა, ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებელში სოციალურ ან ჰუმანიტარულ დისციპლინას, ამზადებდეს ახალ სასწავლო კურსს ან სრულყოფდეს არსებულს
- ფლობდეს ინგლისურ ენას
- წარმოადგინოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი

*http://www.ceu.hu/crc/*

2005 წლის გაზაფხულისთვის ჩატარდება შემდეგი ტიპის სესიები:

**ღია სახლის სესიები (Open House Sessions):**

**ანთროპოლოგია** 28 თებერვალი-4 მარტი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 იანვარი 2005)**

- **ინოვაციური კურსების სესიები:**

**ისტორია** 21-25 თებერვალი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 იანვარი 2005)**
(მე- 19-21 საუკუნეების რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შექმნა)

**ფილოსოფია** 7-11 მარტი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 თებერვალი 2005)**
(ენისა და გონების ფილოსოფია)

**მედიეველისტიკა** 30 მარტი-6 აპრილი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 20 თებერვალი 2005)**
(შუა საუკუნეების პოლიტიკური მაგალითების გამოყენება პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში)

**გარემოს დაცვის ისტორია** 4-8 აპრილი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 20 თებერვალი 2005)**

**სამართალი** 25-29 აპრილი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 10 მარტი 2005)**
(გლობალიზაცია; ჰარმონიზაციის ეფექტი
კორპორატიული მართვა, უსაფრთხოების რეგულირება და სპორტის სამართალი)

- **თემატური საკითხები სასწავლო პროგრამის განვითარებაში:**

**სახელმწიფო მართვა** 21-26 მარტი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 თებერვალი 2005)**
კორუფცია და ანტი-კორუფცია; საუნივერსიტეტო სწავლება

*სესიების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის, საგანაცხადო ფორმებისა და კონსულტაციებისათვის, მიმართეთ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისს, შემდეგ მისამართზე: ჭოველიძის ქ. 10, ტელ: 25 04 63, 25 05 92; ან ეწვიეთ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდს:*

*http://www.ceu.hu/crc/*

# ყოფილი პოლიციელები ხულიგნობაში ამხილეს

ზვიად რუაძე
*კახეთი*

*გურჯაანის პოლიციამ ყოფილი კოლეგები - მამა-შვილი ალექსანდრე და გიორგი ზაალიშვილები დააკავა. მათ მიმართ საქმე რაიონულმა პროკურატურამ ხულიგნობის მუხლით აღძრა. სასამართლომ ყოფილ პოლიციელებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც შეუფარდა. დაკავებულთა ოჯახის წევრები წაყენებულ ბრალდებას აპროტესტებენ და საქმის გასაჩივრებას საოლქო პროკურატურაში აპირებენ.*



*ალექსანდრე და გიორგი ზაალიშვილების შემთხვევა რიგით უკვე მეორეა, როდესაც პოლიციელები მათი კოლეგა ძალოვანების სამიზნე აღმოჩნდნენ.*

ალექსანდრე და გიორგი ზაალიშვილების შემთხვევა რიგით უკვე მეორეა, როდესაც პოლიციელები მათი კოლეგა ძალოვანების სამიზნე აღმოჩნდნენ. თუმცა, რამდენიმე თვის წინ დაკავებული პოლიციელის, ზურაბ შავკაციშვილისგან განსხვავებით, ზაალიშვილების სასამართლო პროცესი ხმაურიანი აღმოჩნდა. მოსამართლე მაგული ღვალაძემ ალექსანდრე და გიორგი ზაალიშვილებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა ხულიგნობის გამო შეუფარდა. კერძოდ, პროკურატურის ბრალდებით, მამაშვილმა ზაალიშვილებმა ხელისუფლების წარმომადგენლის, კონკრეტულად, გურჯაანის პოლიციის უფროსის დავით მჭედლიშვილის მიმართ ჩაიდინეს ხულიგნობა.

ალექსანდრე ზაალიშვილი თითქმის 35 წელია, რაც პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, ბოლოს მას სამძებრო განყოფილების ინსპექტორის თანამდებობა ეკავა. მისი შვილი გიორგი 1999 წლიდან სამძებრო განყოფილებაში მუშაობდა. მამა-შვილი სამსახურიდან ოთხი თვის წინ გაათავისუფლეს. ამის მიზეზი კი, როგორც დავით მჭედლიშვილი აცხადებს, რამდენიმე თვის წინ მომხდარი ინციდენტი გახდა. პოლიციის უფროსის თქმით, გიორგი ზაალიშვილი პოლიციის ეზოში მისი და სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსის ალექსანდრე შაბურიშვილის მისამართით უცენზურო სიტყვებით იგინებოდა. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. სამსახურიდან გათავისუფლებული მამა-შვილი პოლიციის უფროსს კაბინეტში თავს დაესხა და ფიზიკურ ანგარიშსწორებას ცდილობდა. "ჩემ წინააღმდეგ ყოველთვის შანტაჟის მეთოდებს იყენებდნენ, მეუბნებოდნენ, ქურდების "ფაიტონი" ხარ და მათთან ხარ შეკრულიო, მათი ბოლო ქმედება კი ყოველგვარ ზღვარს გასცდა," - ამბობს მჭედლიშვილი.

სხვათა შორის, მჭედლიშვილს ბრალდებებს დაკავებულთა ოჯახის წევრებიც უყენებენ და მისი ქონების კანონიერების შემოწმებასაც ითხოვენ. უფრო მეტიც, ზაალიშვილები ხელს სამხარეო პოლიციის უფროსისკენაც იშვერენ და ქურდების მფარველს უწოდებენ. "რუსთავში მჭედლიშვილს ყველა კარგად იცნობს, მას "სატანას" ეძახდნენ. მჭედლიშვილი და ანჯაფარიძე იმ პოლიციელთა რიგებს განეკუთვნებიან, რომლებიც ქურდებს ლობირებენ და არჩევნების დროს აქციებს აწყობინებდნენ. ის ორი "მერსედესი", რომელიც გურჯაანის პოლიციის უფროსს აქვს, სწორედ ქურდების ნაჩუქარია," - აცხადებენ დაკავებულის ოჯახის წევრები და ირწმუნებიან, რომ ალექსანდრე და გიორგი ზაალიშვილები მათ ხელთ არსებული კომპრომატების გამო დააკავეს. თავად დაკავებულები კი აცხადებენ, რომ მათი გისოსებს მიღმა ყოფნა მჭედლიშვილის პირად ინტერესებში შედიოდა. მამა-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად დავით მჭედლიშვილი პოლიციაში რეორგანიზაციას ასახელებს.

გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ მამა-შვილს ხულიგნური საქციელი არაერთხელ ჩაუდენიათ. როგორც რაიონის პროკურორი ალექსანდრე ფერიაშვილი აცხადებს, თავდაპირველად მათ ამგვარი საქციელი 1999 წელს ჩაიდინეს - მოქალაქე მიშა ელიზბარაშვილი ისე სცემეს, რომ სამუდამოდ დააინვალიდეს. 2001 წელს გიორგი ზაალიშვილმა, ურთიერთშელაპარაკების დროს ფეხში შაშიანელი ახალგაზრდა დაჭრა. მართალია, ორივე ფაქტზე საქმეები გურჯაანის პროკურატურაში აღიძრა, მაგრამ შემდეგ ძიება შეჩერდა.

დაკავებულ ყოფილ პოლიციელთა ადვოკატი თენგიზ რეხვიაშვილი აცხადებს, რომ მოსამართლემ ზაალიშვილებისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების ბრძანება არაობიექტურად გამოიტანა. "ეს ხელოვნურად შეკერილი საქმეა. დარწმუნებული ვარ, მოსამართლე ღვალაძე მასალებს არ გაცნობია, განაჩენი ისე გამოიტანა," - ამბობს ადვოკატი და გურჯაანის სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში აპირებს. ზაალიშვილების ოჯახის წევრები და ახლობლები კი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

# ყოფილი მაღალჩინოსნების დაუსაბუთებელი ქონება აუქციონზე გაიყიდება

*თავის დროზე, საბჭოთა კანონმდებლობაში არსებული მუხლი, რომელიც უკანონო ქონების კონფისკაციას ითვალისწინებდა, დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლებმა საერთოდ გააუქმეს, მაგრამ, მოგვიანებით, ხელისუფლებამ მისი აუცილებლობა კვლავ იგრძნო და მიმდინარე წლის თებერვალში სისხლის სამართლის კოდექსში "ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" სპეციალური ცვლილებაც შევიდა. აღნიშნული მუხლის პრაქტიკულად ამოქმედება უკვე დაწყებულია.*

რამდენიმეთვიანი დავის შემდეგ, მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის - უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოოდ უკანონოდ და დაუსაბუთებელ ქონებად მიჩნეული სახლების, მიწის ნაკვეთების და ავტომანქანების რეალიზაციით მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის 100 მილიონი ლარით შევსებას გეგმავს. უკვე სახელმწიფოს კუთვნილებაშია კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის, უშიშროების გენერლის ლევან კენჭაძის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის და ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის ქონება. სავარაუდოოდ, მალე მათ რიცხვს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძისა და თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორის შოთა მეფარიძის შთამბეჭდავი ქონებაც დაემატება.

ჩამოთვლილი დაუსაბუთებელი ქონების გარდა, სისხლის სამართლის საქმე კიდევ 29 ყოფილ ჩინოვნიკზეა აღძრული, რომელთა ქონებასაც, თუ მათი წარმომავლობის დასაბუთება ვერ მოხერხდება, ასევე კონფისკაცია და აუქციონზე გაყიდვა ემუქრება.

19 ნოემბერს ლევან კენჭაძის, გოგი კუპრეიშვილისა და ლევან მამალაძისთვის ჩამორთმეული ქონება სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა და განსაკარგავად ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში გატარდება, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, აუქციონის წესით გაიყიდება, შემოსული თანხა კი ბიუჯეტს ჩაბარდება.

ჯერჯერობით, საუბარია ლევან მამალაძის ყოფილ საცხოვრებელ ბინაზე, რომელიც ატენის ქუჩაზე მდებარეობს, კოჯორში მდებარე აგარაკსა და წავკისისა და შინდისის მიწის ნაკვეთებზე; ლევან კენჭაძის დის, ნუნუ კენჭაძის სახელზე გაფორმებულ სასტუმროს წილზე, ბროსეს ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, თბილისში მდებარე საცხოვრებელ სახლსა და სოფელ დიღომში აშენებულ აგარაკზე; ბათუმში მდებარე, გოგი კუპრეიშვილის საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე დამხმარე მეურნეობით. რაც შეეხება სულხან მოლაშვილის 300 ათას ლარად შეფასებულ აგარაკს წავკისში, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, იქ უკვე მიუსაფართა თავშესაფარი გაიხსნა.

გენერალურ პროკურატურას დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით კიდევ 29 ყოფილ ჩინოვნიკზე აქვს გამზადებული მასალები, რომლებიც უახლოეს მომავალში განსახილველად სასამართლოს გადაეცემა.

თუმცა, ქართული მართლმსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტი გასაჩივრებას ევროსასამართლოში ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ყოფილი მაღალჩინოსანი სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს და აღმოჩნდება, რომ მათი ქონება დაუსაბუთებლად უკანონოდ იქნა მიჩნეული, სახელმწიფოს მათთვის, გარდა ქონების ღირებულებისა, სოლიდური კომპენსაციის გადახდაც მოუწევს.

*24 საათი*

# დავით მირცხულავას პროცესზე სომხეთიდან მოწვეული მოწმეები დაიკითხნენ

*ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე სომხეთიდან მოწვეულ მოწმეთა დაკითხვას გუშინ ხმაური მოჰყვა. ბრალდებულის ადვოკატები საკუთარ პროტესტს, რაც ძირითადად თარჯიმნის უხარისხო მომსახურებას უკავშირდებოდა, მოსამართლესა და ბრალმდებელს საკმაოდ ხმამაღლა უფიქსირებდნენ, თუმცა, ამას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია.*

როგორც ცნობილია, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, ასევე ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად განსასჯელის სკამზე მჯდომ დავით მირცხულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული კანონდარღვევების ბრალდებით არის აღძრული. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, საქართველოს სომხეთის ვალი მართებს, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება არც განსასჯელი და არც ადვოკატები, რომლებიც თვლიან, რომ სასამართლო პროცესზე დაკითხულ არც ერთ მოწმეს მირცხულავას ბრალის დამადასტურებელი ჩვენება არ მიუცია. გუშინაც, ისინი ელოდნენ, რომ სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოძახებული "არმენენერგოს" წარმომადგენლები მირცხულავას სასარგებლოდ ჩვენებას მისცემდნენ. კერძოდ, დაკავებულის ადვოკატის, ეკა ბესელიას განმარტებით, სომხეთიდან ელექტროენერგიის მოწოდების შედეგად დაგროვილი ვალი უკვე გადახდილია და ამის დადასტურებას განსასჯელის დაცვის მხარე მოწმეებისგან ელოდა. თუმცა, "არმენენერგოს" წარმომადგენლებმა ცალსახად დააფიქსირეს, რომ მათთვის დეტალები უცნობია, თუმცა, ის კი ნამდვილად იციან, რომ საქართველოს 1998-1999 წლებში სომხეთიდან მიღებული ელექტროენერგიის დავალიანება დღესაც ერიცხება და მისი საერთო რაოდენობა 4 მილიონ დოლარს შეადგენს. მეტიც, სომხეთიდან ჩამოსულ მოწმეთა თქმით, წლების მანძილზე ძირითად დავალიანებას სანქცია-საურავებიც დაემატა და ამჟამად საქართველოს ვალი სომხეთისადმი 4 მილიონ 400 ათას დოლარს შეადგენს. გამოძიების მტკიცებით, ამაში ბრალი დავით მირცხულავას მიუძღვის.



*სასამართლო პროცესზე დაკითხულ არც ერთ მოწმეს მირცხულავას ბრალის დამადასტურებელი ჩვენება არ მიუცია.*

გუშინ სასამართლო პროცესზე "არმენენერგოს" სამი ენერგეტიკოსის გარდა, "საქენერგოს" ყოფილი ხელმძღვანელი ემზარ ჩაჩხიანიც უნდა დაკითხულიყო, თუმცა ის პროცესზე არ გამოცხადებულა.

*24 საათი*

# ოსმა მძღოლმა ქართველ სამართალდამცველებს მანქანა დააჯახა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ თამარაშენთან განლაგებულ ქართული პოლიციის საგუშაგოზე ქართველ პოლიციელებს "ვაზ 2107" მარკის ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც ოსი ეროვნების მამაკაცი მართავდა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, ინციდენტის შედეგად დაშავებულია ოთხი პოლიციელი - ვიტალი ყავლაშვილი, სერგო ბურნაძე, შადიმან კაზარიანი და გოჩა გოგიძე. მათგან ერთის, ვიტალი ყავლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, რის გამოც, ავტოკატასტროფიდან რამდენიმე საათის შემდეგ, იგი სპეცრეისით თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადმოიყვანეს, სადაც მას ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

ალეკო სუხიტაშვილის განცხადებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოიღეს მთელი რიგი მტკიცებულებები, მათ შორის ავტომანქანის სანომრე ნიშნებიც. რის შემდეგაც, პოლიციისათვის ცნობილი გახდა ავტომანქანის მძღოლის სავარაუდო ვინაობა, რომლის დაკავების თაობაზე ოსურ მხარესთან ერთად ტარდება ოპერატიული ღონისძიებები, რადგან ავტოავარიის განხორციელების შემდეგ მძღოლმა ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ცხინვალის მიმართულებით შეძლო მიმალვა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, განიხილება რამდენიმე ვერსია - შესაძლებელია, ეს ჩვეულებრივი ავტოსაგზაო შემთხვევა იყო; თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ავარია შეგნებულად იყოს განხორციელებული, ვინაიდან საგუშაგოსთან დამონტაჟებულია დაბრკოლებები, რომელიც ავტომანქანების სწრაფად მოძრაობას აფერხებს.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276 - ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის მუხლითაა აღძრული.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგეტიკა

გუშინ, დღეს, ხვალ

# სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკულ სექტორში

ცნობილია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ძირითადი ფუნქცია ქვეყანაში ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და წარმართვაა. ადრეულ პერიოდში, ენერგეტიკული პოლიტიკის არაერთი ნაშრომი არსებობდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მისი სრული რეალიზება ვერ მოხერხდა.

ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე საჭირო გახდა გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისი, ახალი, რეფორმისტული, ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება. სწორედ ასეთი, ენერგეტიკული პოლიტიკის მომზადებაზე მუშაობს დღეს ენერგეტიკის სამინისტრო. მას უკვე მომზადებული აქვს პროექტი, რომელიც დაეგზავნა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, მთავრობასა და პარლამენტს.

აღნიშნული მასალა საკმაოდ ტევადია და მისი გამოქვეყნება საზოგადოებისათვის გასაცნობად, ერთ საგაზეთო ნომერში, რასაკვირველია, ვერ მოხერხდება. ამიტომ, ჩვენ პერიოდულად, ცალკეული თავების მიხედვით გამოვაქვეყნებთ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს "სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკულ სექტორში".

### საქართველოს ენერგეტიკული სექტორის როლი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობასთან. ეს ყოველივე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პირობებში.

თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მსოფლიო ბაზარზე ქართული საქონლის დამკვიდრების უალტერნატივო აუცილებლობაა, მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან შედარებით საჭიროებს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის წინმსწრები ტემპებით განვითარებას. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალი და მთელი საზოგადოებრივი სისტემის არსებობის ძირითადი წინაპირობაა. ამავე დროს, ენერგეტიკა (ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პირობების, უკვე არსებული ენერგეტიკული ბაზისა და რეგიონში შექმნილი პოლიტიკურ - ეკონომიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით) ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის წამყვანი მწარმოებელიც არის.

საქართველოს ენერგოკომპლექსს შესწევს უნარი, მნიშვნელოვნად დააკმაყოფილოს ძირითად ენერგეტიკულ რესურსებზე ქვეყნის მოთხოვნილება, შეასრულოს ენერგორესურსების რეგიონული დერეფნის ფუნქცია და აწარმოოს ელექტროენერგიის ექსპორტი. მეტიც, საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს მთელი რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში; საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბების საქმეში. ამდენად, ენერგეტიკის სფერო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სახელმწიფო პოლიტიკაში, ხდება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსი. საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსს, საკუთარი წინმსწრები განვითარებით შეუძლია, გახდეს ქვეყნის ეკონომიკის ამამოძრავებელი ძალა. ენერგეტიკულმა კომპლექსმა მრეწველობის განვითარების საფუძველი უნდა შექმნას, რათა გახდეს საქართველოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

### საქართველოს ენერგეტიკული სექტორის არსებული მდგომარეობა და ძირითადი პრობლემები

ცნობილია, რომ ბოლო ათწლეულში განვითარებული მოვლენების შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სამეურნეო საქმიანობა მნიშვნელოვნად დაქვეითდა. გადატანილმა სოციალურმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ სისტემას. მოიშალა ადრე დამყარებული ეკონომიკური და პროფესიული კავშირები, დაინგრა და განადგურდა ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი. შიდა აშლილობის პერიოდში დატაცებულია ფერადი ლითონების შემცველი ენერგეტიკული მოწყობილობები და მასალები, პრაქტიკულად შეწყდა ფართომასშტაბიანი კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებები, მკვეთრად დაეცა ადმინისტრაციული და შრომითი დისციპლინა, მნიშვნელოვნად გაუარესდა ექსპლუატაციის ხარისხი.

დეფიციტი განსაკუთრებულად შეიმჩნევა სათბობის მრეწველობაში. შემცირდა როგორც ნახშირის, ისე ნავთობის მოპოვება-გადამუშავება. შედეგად, ენერგეტიკულ რესურსებზე ქვეყნის მოთხოვნილება, ძირითადად, იმპორტით კმაყოფილდება. საქართველოში შემოიტანება მოხმარებული ბუნებრივი გაზის პრაქტიკულად მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობა რთულია, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

ენერგოწარმოების მოცულობის საერთო დაცემის ფონზე, ენერგეტიკული სექტორის ცალკეული დარგის მდგომარეობა საგრძნობლად არაერთგვაროვანია. გასულ ათწლეულებში ეკოლოგიური და ტექნოლოგიური უპირატესობების მქონე იმპორტულ, იაფ ბუნებრივ გაზზე გადასვლამ საკუთარი ქვანახშირის მრეწველობის ფუნქციის დაქვეითება და საშახტო მეურნეობის მოშლა გამოიწვია. ამჟამად ქვეყანაში პრაქტიკულად შეწყვეტილია ქვანახშირის წარმოება. მოშლილია ნახშირის მრეწველობის ბაზარი. მთლიანად ამორტიზებულია ტექნოლოგიური დანადგარები. სახსრების უკმარისობის გამო ვერ ხერხდება დარგის განვითარების ადრე დამტკიცებული პროგრამების რეალიზაცია.

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ბუნებრივი გაზის



მნიშვნელოვანი მარაგის დაძიება და ამოქმედება დღემდე ვერ მოხერხდა, თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში შესაძლებელი გახდა წლიურად 3.3 მლნ ტონა ნავთობის მოპოვება. ამჟამად, უცხოური ინვესტიციებისა და თანამედროვე საძიებო ტექნოლოგიური საშუალებების მოზიდვით მოხერხდა ახალი საბადოების ათვისების სამუშაოთა წარმოების მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია.

ქვეყნის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენებისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელების სისტემა. თუმცა, მისი სრული მოცულობით დაუტვირთაობა, ცუდი ტექნიკური მდგომარეობა, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ეფექტურად ვერ წარიმართა გაზგამანაწილებელი ქსელების პრივატიზაციის პროცესი, სრულყოფას საჭიროებს ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და განაწილების ინფრასტრუქტურა.

თითქმის მთლიანად მოიშალა დარგის სამეცნიერო, საპროექტო-საძიებო ინსტიტუტებისა და კადრების მომზადების სისტემა, რაც საგანგებო ღონისძიებების გატარებისა და ამ საკითხების დროულად მოწესრიგების გარეშე მძიმედ აისახება კომპლექსის სამომავლო მდგომარეობაზე.

მიუხედავად ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სირთულეებისა, დღეისათვის ელექტროენერგეტიკა ქვეყნის ერთადერთ მსხვილ, მოქმედ ინდუსტრიულ დარგად რჩება. ამავე დროს, მისი ეფექტურობის დაცემა, გარდა შიდა ფაქტორებისა, უშუალოდ უკავშირდება მეზობელ ენერგოსისტემებთან კავშირების მოშლას. ენერგოსისტემის არასწორი ექსპლუატაციის გამო, გართულდა მეზობელ სისტემებთან პარალელური მუშაობის პირობები, დაზიანდა ან მწყობრიდან გამოვიდა ქვეყნის ელექტროენერგეტიკული დანადგარები, გახშირდა სისტემური ავარიები, გაუარესდა კაპიტალურ ნაგებობათა და სხვა ფასეულობათა დაცვის პირობები. მნიშვნელოვნად გართულდა ენერგოსისტემის მართვა. მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის საფასურის მასობრივმა გადაუხდელობამ კიდევ უფრო გაამწვავა დარგის ისედაც მძიმე ეკონომიკური პრობლემები. თბომომარაგებისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტამ მკვეთრად გაზარდა საყოფაცხოვრებო სექტორში ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება. ყოველივე ამან, ენერგოსისტემის სუსტი ადმინისტრირებისა და საერთო ტექნიკური გაუმართაობის პირობებში, ხელი შეუწყო მომხმარებლებზე ზემოქმედების ბერკეტების მოშლასა და უპასუხისმგებლობის სინდრომის ჩამოყალიბებას.

ენერგომოხმარების სისტემის მოშლა, როგორც ქვეყნის ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორი, ჯერ კიდევ არ გამხდარა ჭეშმარიტად კრიტიკული ანალიზის საგანი. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ენერგოწარმოების პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტის გზების მოძიება ენერგომოხმარების არსებული სტრუქტურების რაციონალიზაციის პრობლემებიდან მოწყვეტილად მიმდინარეობს და ხელს უშლის საკუთარი რესურსებით ენერგოწარმოების გაზრდას.

როგორც ეს უკვე აღინიშნა, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, არსებული ეკონომიკური კავშირების რღვევით განვითარებულმა ენერგეტიკული სივრცის დეზინტეგრაციის პროცესებმა გამოიწვია საქართველოს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის დასუსტება.

საქართველოს ამ პერიოდში არ გააჩნდა სათანადო საინვესტიციო პოტენციალი და არც სხვადასხვა სახის დახმარებებით მიღებული უცხოური ფინანსური რესურსები იქნა სათანადოდ ეფექტურად გამოყენებული, რის გამოც შეუძლებელი იყო დარგის დეგრადაციის მძიმე პროცესების შეჩერება. უახლოეს წარსულში ენერგეტიკის მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ მძიმე მემკვიდრეობას დაუდო საფუძველი.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრებით მიმდინარეობს მხოლოდ, გადაუდებელი სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების ცალკეული პროექტების დაფინანსება. შესაძლებელია ითქვას, რომ არ არსებობს სექტორისთვის განკუთვნილი დამატებითი ფინანსური რესურსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ენერგეტიკული სექტორის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. არსებული მდგომარეობის გაგრძელება უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში სისტემას დაშლის დიდ საშიშროებას შეუქმნის. ამავდროულად, ელექტროენერგიისა და გაზის სექტორები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან. შექმნილი პირობები, უმეტესწილად, განპირობებულია შესაბამის სექტორებში რეალიზებული პროდუქციიდან თანხების ამოღების მეტად დაბალი დონით, ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი დიდი ოდენობით დავალიანებებით, კორუფციის და ელექტროენერგიის დატაცების მაღალი მასშტაბებით. საბოლოოდ, მომხმარებლისაგან ამოღებული თანხები ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს დარგის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების ფუნქციონირებას.

საქართველოს ენერგოსექტორის სამომავლო განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს გაზისა და ელექტროენერგიის მომხმარებელთაგან თანხების ამოღების სისტემის გაუმჯობესება.

მიმდინარე ეტაპზე, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისათვის გათვალისწინებული ინვესტიციები გათვლილი უნდა იყოს ჰიდროელექტროსადგურების გადაუდებელი რეაბილიტაციისა და აღრიცხვის კვანძების მოწესრიგებაზე, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციაზე და გამრიცხველიანობის პროექტებზე - რაც ამოსავალი წერტილია ფინანსური დისციპლინის გაუმჯობესებისა და დატაცების ფაქტების შემცირებისათვის.

ენერგეტიკულ სექტორში ფინანსური სტაბილურობისა და მომგებიანობის მისაღწევად აუცილებელია, განხორციელდეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებლების სრული გამრიცხველიანება, პირველ რიგში მთლიანად საწარმოებში, ხოლო შემდგომ ინდივიდუალური მომხმარებლებისათვის. მრიცხველის დამონტაჟება ისე უნდა განხორციელდეს, რომ მომხმარებელს არ შეეძლოს მასზე მანიპულაციების ჩატარება. მსგავსი ქმედების ძირითადი მიზანი არის ამოღების მაჩვენებლის გაზრდა, ისე რომ ენერგოკომპანიებს შეეძლოთ საკმარისი შემოსავლების მოგროვება, რათა გააუმჯობესონ თავიანთი მომსახურების ხარისხი და უზრუნველყონ მიწოდების უსაფრთხოება. ფაქტობრივად შესაძლებელია ითქვას, რომ აღრიცხვიანობაში არსებული მდგომარეობა ენერგეტიკული სექტორის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ელექტროენერგეტიკულ სექტორში შექმნილი დეფიციტი თითქმის მთლიანად გამოწვეულია სამომხმარებლო დონეზე აღრიცხვიანობის პრაქტიკულად არარსებობით და მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდის და ფინანსური სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ აღრიცხვიანობის სრული მოწესრიგებითა და სექტორში საგადამხდელო დისციპლინის დამყარებით. თავის მხრივ კი, მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესება საქართველოს ენერგოსექტორს მომგებიანს გახდის, რადიკალურად გამოასწორებს არსებულ მდგომარეობას, უზრუნველყოფს სექტორის მომავალ განვითარებას და ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოს ელექტროენერგიისა და გაზის სექტორების ტექნიკური გამართულობა, აგრეთვე, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საკმაოდ მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაში მყოფი ელექტროენერგიისა და გაზის გადამცემი სისტემების საიმედოობაზე. შესაბამისი ინფრასტრუქტურების რეაბილიტაცია და სათადარიგო ნაწილების არსებობა რისკის ფაქტორს მინიმუმამდე დაიყვანს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს ელექტროენერგიისა და გაზის სისტემებს მაინც გააჩნიათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაღალი პოტენციალი. ქვეყანა მდიდარია ჰიდროელექტრო რესურსებით. აღსანიშნია, რომ კაპიტალდაბანდებაზე უკუგების მიხედვით არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია მეტად ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

ამასთან, საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა წარმოებული ელექტროენერგიის ენერგოდეფიციტურ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი და სხვა სამხრეთი ქვეყნები) ელექტროენერგიის იმპორტის საშუალებას იძლევა. სახელმწიფო ადასტურებს, რომ ის სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს ენერგოსისტემაში წარმოშობილი მძიმე პრობლემების გადაწყვეტით და რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების/დონორების მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები დანიშნულებისამებრ იქნება გამოყენებული. რაც თავის მხრივ, მყარი, ფინანსურად მდგრადი ენერგოსისტემის ჩამოყალიბების გარანტი იქნება. ენერგოსექტორთან მიმართებით საქართველოს მთავრობის მიზანს წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული ფულადი რესურსების ისეთი მართვა, რათა ჩამოყალიბდეს მდგრადი, შემოსავლიანი ენერგეტიკული სექტორი, რომელიც მომავალში აღარ იქნება დამოკიდებული არც სახელმწიფო სუბსიდიაზე და არც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებაზე.

### შემოწმება იმერეთში

ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა, მე-2 ზონალური ქვედანაყოფის - იმერეთის სამმართველოდან მიიღო მასალები იმერეთის სამმართველოს მიერ აგვისტო - სექტემბრის თვეში რეგიონში არსებული ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფო ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ, ასევე უნებართვოდაა მიერთებული ქსელზე ობოლ ბავშვთა სპორტული სკოლა-ინტერნატი, წყალტუბოს რაისაავადმყოფო, ს.ს. "მედეა", დაბა ხარაგაულის ქსელზე შპს "იბერიატელი", ზესტაფონის წყალკანალი, ზესტაფონის N25 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველო შპს "უჩა", ს.ს. სვირის მარანი, შპს ზესტაფონის რაიონული ცენტრალური საავადმყოფო, ზესტაფონის შპს სამშობიარო სახლი, ხარაგაულის რაიონის ინდ. მეწარმე მიხეილ ბუაჩიძე, შპს ხარაგაულის საავადმყოფო, შპს ხარაგაულის პოლიკლინიკა, ს.ს. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი, შპს წყალტუბოს სამშობიარო სახლი, ქუთაისის ს.ს. "მაუდი-2000", საჩხერეში ბლოკების საამქრო. აქვე აღნიშნულია, იმის შესახებ, რომ მიერთებული ქართული ბანკის ქუთაისის ფილიალის ელ. მონტიორს არ აუღია საკვალიფიკაციო მოწმობა.

შემოწმების შედეგების შესახებ იმერეთის სამმართველომ დაუყოვნებლივ აცნობა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ფილიალის ხელმძღვანელობას და სთხოვა, უზრუნველეყოთ ზემოთჩამოთვლილი ობიექტების ქსელიდან გათიშვა და არ დაეშვათ მათი ქსელზე მიერთება ენერგოზედამხედველობიდან სათანადო ნებართვის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ს.ს. "მაუდი-2000", სადაც ქსელიდან უნდა გაითიშოს ყველა მომხმარებელი, გარდა ქ. ქუთაისის N1 საპყრობილისა. თავის მხრივ, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა, ასევე, დაუყოვნებლივ აცნობა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, რაც წინა წლებში არ ხდებოდა და ბუნებრივია, კორუფციის ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენდა.

# რა მდგომარეობაა დღეს "ხადორჰესში"

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა, ს.ს.ი.პ. "ენერგოგენერაციასთან", შპს "საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემასთან" და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან ერთად შეისწავლა შპს "აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციის" კუთვნილი, "ხადორჰესის" მშენებარე პირველი რიგის გასაშვები კომპლექსის N1 ენერგობლოკის, მდ. სამყურას სათავე-ნაგებობის, სადერივაციო ტრაქტის, ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და გამზომი საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის, გამომუშავებული და ქსელში გაცემული ელ.ენერგიის აღრიცხვის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და სახელმწიფო ელექტროსისტემის ქსელთან მიერთების საკითხები, მისი ექსპლოატაციაში გაშვებისა და სახელმწიფო ელექტროსისტემის ქსელში ჩართვის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის.

შესწავლა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ადგილზე შემოწმებით მოხდა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ხადორჰესის მიერთება სახელმწიფო ენერგოსისტემის ქსელთან უნდა განხორციელდეს დროებითი სქემით, ერთი წლის ვადით. მისი ქსელში ჩართვა მოხდება სადგურიდან, "ახმეტის" ქვესადგურამდე დამონტაჟებული ერთჯაჭვიანი 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზით - "ხადორით", რომელიც მიერთებულია "ახმეტის" ქვესადგურის II სექციაზე 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის "კვეტერას" ნაცვლად.

საკაბელო მეურნეობა, მუშა და ავარიული განათება მოწყობილია ნორმებისა და წესების დაცვით. ასევე, მოწყობილია ელექტროლაბორატორია, რომელიც მაღალი სიზუსტის მზომი და გამოსაცდელი ტექნიკითაა აღჭურვილი.

ხადორჰესიდან სისტემაში გაშვებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება სადგურში, 110 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზ "ხადორზე" დამონტაჟებული 0,2 კლასის "ევრო-ალფას" ტიპის ელექტრონული მრიცხველით, რომლის მუშაობის სიზუსტე შემოწმებულია, მრიცხველი კი დალუქულია საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და შპს "ბუტას" ბრჯენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ "გაზომვათა ერთიანი უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონისა და გაზომვათა ერთიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემაში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული მრიცხველი არ არის დამოწმებული საქსტანდარტის მიერ. ასევე, სადგურში დამონტაჟებული საკონტროლო ელექტრომრიცხველების ტიპი არ არის დამტკიცებული და არაა ჩატარებული მათი პირველადი დამოწმებები, რითაც დარღვეულია ზემოთ აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

შემოწმების პროცესში გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, ოფიციალურად დადგენილი არაა ელექტროენერგიის ხარჯი საკუთარ მოხმარებაზე, რომელიც ფაქტობრივად 150 კვტ-ს შეადგენს. ასევე, არ არის შემოწმებული ხადორჰესის კანალიზაციის სადრენაჟო სისტემა. ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში დამონტაჟებულ ვააკუმურ ამომრთველებზე, გამთიშველებზე, მცლელებზე და მეხამრიდებზე არ არსებობს ლაბორატორიული შემოწმების ოქმები, ხოლო დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები არ არის დამოწმებული აკრედიტებული მეტროლოგიური სამსახურის მიერ. დარღვეულია გაბარიტები მცირე ჰესიდან გამომავალი 10 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა, რომელიც მიწასთან სიახლოვის გამო საფრთხეს ქმნის.

ს.ს.ი.პ. "ენერგოგენერაციის" მიერ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიცემული შენიშვნებისა და "საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის" "ახმეტის" ქვესადგურში ჩასატარებელი სამუშაოების მიუხედავად, მართალია, დროებითი სქემის მიხედვით, "ხადორჰესმა" შეიძლება იმუშაოს და ექსპლოატაციას ჯერჯერობით ხელი არ შეუშალოს, მაგრამ უმოკლეს დროში, 2-3 თვეში, აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რაც შემოწმებამ აჩვენა, რათა გაზაფხულზე, წყლის მომატებასთან ერთად სიმძლავრეების გაზრდამ გავლენა არ მოახდინოს ქვესადგურის საიმედო და გამართულ მუშაობაზე.

# იმერეთში სავალალო მდგომარეობაა

ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებისა და რეორგანიზაციების საფუძველზე, თავის საქმიანობას საჯაროობისა და გამჭვირვალეობის ნიშნით წარმართავს, საზოგადოებას სისტემატურად აწვდის ინფორმაციას, თუ რა მდგომარეობაა დეპარტამენტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურებში, სად მიდის და რას ხმარდება თითოეული თეთრი, რომელსაც დეპარტამენტი ბიუჯეტიდან იღებს.

ვინც ა.წ. 23 ოქტომბრიდან მოყოლებული, ყოველ შაბათს, დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებულ, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ მასალებს ეცნობა, მან კარგად უწყის, რა საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება და რა პირობებს უყენებს დეპარტამენტი თავის თანამშრომლებს, რა შედეგებია მიღებული უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

ბოლო პერიოდში, საზედამხედველო ობიექტების შემოწმების შედეგები არცთუ სახარბიელოა, არა მარტო დედაქალაქში, არამედ რაიონებშიც.

იმერეთის რეგიონში მომხმარებლები ენერგოზედამხედველობის დასკვნის გარეშე არიან მიერთებული გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქსელზე. კერძოდ: ი.მ. "ილო ჭულუხაძე" - I სვირი, მინი სახერხი; ი.მ. "ფერაძე ლამარა" - ხოხოულის დასახლება, ხის მასალების დამუშავება; ი.მ. "გ. ხვედელიძე" - უზნაძის ქ. 136, პურის საცხობი; ი.მ. "გივი დეკანოიძე" - სვირი, პურის საცხობი; ი.მ. "კოჩაძე თამაზი" - დიდვაკე, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "დ. ჭაკვეტაძე" - საღანძილე, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "რომან მაღრაძე" - დიდვაკე, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "გრიგოლ დიაკონიძე" - დიდვაკე, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "ვეფხია ღონღაძე" - ვახანი, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "ბადრი არევაძე" - ვახანი, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "ვალერი არევაძე" - ვახანი, სადურგლო სახელოსნო; ი.მ. "ალავიძე რეზო" - ვახანი, ხის სახერხი; ი.მ. "არევაძე ზაზა" - ვახანი, ხის სახერხი; ი.მ. "ანზორ ფერაძე" - მოლითი, ხის სახერხი; ი.მ. "გივი ფერაძე" - ვახანი, ხის სახერხი; ი.მ. ფირმა "ოპიზარი" მუხურაძე ნოდარი - ვახანი, ხის მასალის დამუშავება.

შემოწმებისას ისიც აღმოჩნდა, რომ ზესტაფონის და ხარაგაულის რაიონებში ქსელზე მიერთებული რიგი მომხმარებლებისა არ იყვნენ რეგისტრირებული საგადასახადო ინსპექციაში, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობათ ადგილობრივ საგადასახადო სამსახურებს.

ამასთან ერთად, იმავე იმერეთის რეგიონში, ქსელიდან ელექტროენერგიას აღრიცხვის გარეშე იღებენ: საჩხერის რაიონში - N1 და ჭორვილის საშუალო სკოლები; N3 ბაგა - ბაღი; ჭიათურაში - N1 და N2 საშუალო სკოლები; თერჯოლაში - N1 საშუალო სკოლა; ზესტაფონში - N4 საშუალო სკოლა; სამტრედიის რაიონში - N1 საშუალო სკოლა.

დასკვნა ერთია, ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები ელექტრულ ქსელზე მიერთებული არიან "ელ. ენერგიის მოხმარების დროებითი წესების" მოთხოვნათა დარღვევით. აღნიშნულის შესახებ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა ოფიციალურად, წერილობით მიმართა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" და მოსთხოვა მას ზემოაღნიშნული ობიექტების ქსელიდან გათიშვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენ კვლავ ვაუწყებთ და ვაფრთხილებთ ენერგომომხმარებლებს, რომ მომავალში, დარღვევის ფაქტების გამომზეურებისთანავე, მასალები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანიზაციებს სათანადო რეაგირებისათვის და არ არის გამორიცხული, რომ უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას ნებისმიერი ორგანიზაციის მიმართ.

ვის შეუძლია 50 000? ტკბილი ნოემბერი გრაფომანებისთვის



B2

ახალმა წყალმა პეკინამდე უნდა მიგვიყვანოს

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს



B4

გალაკტიონს მაინც მოეშვან!



B8

# Fifty Crows-მა სვანეთი აღმოაჩინა

თეონა ჯაფარიძე

"ძვირფასო რენა, სტეფანია, გია და ჯეიმს! გილოცავთ, თქვენ ოთხნი გამარჯვებულნი ხართ დოკუმენტური ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფონდის **Fifty Crows-ის 2004 წლის ფოტოკონკურსში..."** - ასეთ იმეილს იღებს **ფოტოხელოვანი გია ჩხატარაშვილი** სან ფრანცისკოდან, ფოტოხელოვნების სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ფოტოფონდის ოფისიდან. სტეფანია სინკლერი ამერიკელია, ჯეიმს რივი ბრიტანელი ფოტოგრაფი. Fifty Crows-მა მათ მეორე კატეგორიის პრიზები მიანიჭა. პირველს ბეირუთში გადაღებული ავღანელი ქალების ფოტოსერიისათვის, მეორეს კი სერიისათვის - "აკრძალული - ავღანეთი"

პირველ კატეგორიაში Fifty Crows-მა ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონიდან საუკეთესოებად აზერბაიჯანელი რენა ეფენდი და ქართველი გია ჩხატარაშვილი აღიარა. ქართველი ფოტოხელოვანის ფოტო-ესსე "უშგული - სოფელი დროთა გზაჯვარედინზე", როგორც ჩანს, თემატიკითა და ესთეტიკით აქტუალური აღმოჩნდა ცნობილი ფოტოფონდისათვის.

"კონკურსის პირობები ასეთი იყო: წერილობით უნდა დაგეწერა იმის შესახებ, თუ რის გადაღებას აპირებ. მე დავწერე ერთი სოფლის ისტორია და მისი ცხოვრება ერთი წლის მანძილზე, და კიდევ ის, თუ რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი. ეს სოფელი **უშგული** და მისი ისტორიაა. წერილობით პროექტთან ერთად, კონკურსის პირობების შესაბამისად 20 ციფრული ფოტოც გავაგზავნე" - გვიამბობს ბატონი გია.

მაინც რით მოიხიბლა Fifty Crows-ი? ცხადია, მსოფლიოში ცნობილ ფოტოფონდს გია ჩხატარაშვილის ნამუშევრებში მხოლოდ ფირზე აღბეჭდილი სვანეთის ეგზოტიკურ-ეთნოგრაფიული ლანდშაფტი არ დაუნახავს. ფოტოგრაფიის მეტრებმა და მკაცრმა ჟიურიმ ქართველი ფოტოგრაფის შავ-თეთრ ფოტოებში - უცნაური კოშკებისა და ყინულიანი მთების ფონზე, ამ უცნაური და ამაყი ხლხის ყოფა შეიგრძნეს და ამიტომაც წერენ წერილში: - "ჩვენი სურვილია რეგულარულად ვითანმშრომლოთ, გვსურს, გახდეთ ჩვენი კოლეგა და ჩვენი გუნდის წევრი, რათა თქვენმა ნამუშევრებმა მსოფლიოს კავკასიის რეალური სოციალური სურათის შესახებ მოუთხროს."

როგორ ახერხებს გია ჩხატარაშვილი ერთდროულად მაღალმხატვრული და დოკუმენტური ფოტოჟანრების ერთმანეთში აღრევას? მხატვრულობასა და გამოსახულებასთან მიმართებაში ის ზედმეტად მომთხოვნია საკუთარ თავთან, იმდენად მომთხოვნი, რომ მთელ ფოტოპროცესს თავად განაგებს. ის არ ცნობს სხვის მიერ დაბეჭდილ ფოტოს, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ ციფრულ ტექნოლოგიებზე. "ჩემი საკუთარი ლაბორატორია მაქვს. ხელახლა ვიბადები, როცა ხსნარში ჩაგდებულ ფოტოქაღალდზე გამოსახულება გამჟღავნებას იწყებს. საერთოდ მთელ პროცესს - დაწყებული ფოტოქაღალდის შერჩევით და დამთავრებული დაბეჭდვით, მე განვაგებ. გამოსახულების მისაღებად დიდხანს ვარჩევ საჭირო ქიმიკატებს." - გვიხსნის ბატონი გია.



ბესო გულაშვილის ფოტო

*გია ჩხატარაშვილი: ვოცნებობ ერთ სარდაფზე, სადაც პატარა ლაბორატორიაც მექნებოდა და ცნობილ ფოტოხელოვანების გამოფენებსაც გავაკეთებდი, სადაც პროფესიონალი ფოტოგრაფები მოვიდოდნენ ხოლმე დაფიროსმანის და სამოვარისა არ იყოს, ფოტოგრაფიაზე ისაუბრებდნენ.*

"მათ ქიმიკატების თაობას ვეძახი. ისინი ციფრულმა ტექნოლოგიებმა ვერ აცდუნა. მათ იმდენად უყვართ ფოტოგრაფია, რომ ყველა პროცესს აუცილებლად ხელით უნდა შეეხონ. ეს ყველაფერი მათ ნამუშევრებშიც იგრძნობა და ეს ყველაფერი, ეტყობა, Fifty Crows-შიც იგრძნეს." - საუბარში ერთვება მისი კოლეგა - ფოტოგრაფი **ბესო გულაშვილი.**

დოკუმენტურობისა და რეალური ისტორიების თხრობის შეგრძნებას კი, ალბათ, გია ჩხატარაშვილის "სვანეთში ხანგრძლივი მივლინებები" იძლევა. მისი ფოტოობიექტივის სამიზნე უკვე 10-15 წელია, სვანეთია. "ეს უკვე ჩემი თემაა. ამის შესახებ პირველად გერმანიაში, ჩემს გამოფენაზე მითხრეს. მე სვანეთს იმდენად კარგად ვიცნობ, რომ ჩემს ნამუშევრებში მთლიანობის, ერთიანი ხაზის შემჩნევაც შეიძლება და ცალკე აღებულ ერთ რომელიმე ფოტოს მიღმა მათი ცხოვრების მთელი ფილოსოფიის დანახვაც. აი, ქალაქის ესთეტიკა უფრო ვერ გავითავისე. თბილისის ძველ უბანში ვცხოვრობ. ერთი შეხედვით, ფოტოობიექტივისათვის აქ ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ ძნელია შენი ენა მონახო და ისეთი რამე უთხრა ფოტოთი ადამიანებს, რომ ნიუ იორკში თბილისი შეაგრძნობინო. მე ეს სვანეთში გამომდის კარგად. სვანეთი, ეტყობა, მართლაც, ჩემი თემაა" - ამბობს ის.

და ისევ Fifty Crows-სა და ქართველი ფოტოგრაფის ჯილდოს დავუბრუნდეთ: ცნობისათვის - ფონდმა 14 წლის მანძილზე 30 ქვეყნის 66 ფოტოგრაფისათვის ჯილდოდ 417 ათასი დოლარი გასცა.

ქართველი ფოტოხელოვანის ჯილდო კი ფულად პრემიასა და Fifty Crows-ის საიტზე ორი კვირით გია ჩხატარაშვილის ვებ-საიტის ამოქმედებას გულისხმობს. მისი ნამუშევრები კი ფონდის საიტის არქივში სამუდამოდ დაიდებს ბინას. ფულადი პრემია საშუალებას აძლევს ფოტოგრაფს ერთი წლის მანძილზე დაასრულოს დაწყებული პროექტი და ბოლომდე გვიამბოს ერთი სოფლის - ანუ უშგულის ისტორია.

Fifty Crows შექმნის მოკლე სატელევიზიო ვიდეორგოლს ქართველი ფოტოგრაფის ნამუშევრებითა და მასზე ინფორმაციით უზრუნველყოფს მის "პრომოუშენს," ერთი წლის ვადით საშუალებას მისცემს უფასოდ ისარგებლოს ფოტოგრაფთა სპეციალური ინტერნეტ-სერვისით - Digital Railroad, დაეხმარება ნამუშევრების გაყიდვასა და გამოფენების მოწყობაში.

"ეჭვი ყოველთვის მაწუხებდა, როცა ირგვლივ ფერადი, ციფრული ფოტოსა და ავანგარდის ბუმია. დღეს უკვე თვითდაჯერებული ვარ საკუთარ ხელწერაში და შინაგანი ინტუიციის კარნახით განვაგრძობ მუშაობას კლასიკურ, შავ-თეთრ ფოტოზე, პორტრეტებზე, რომელთა მიღმაც მთელი სვანეთი მოჩანს."

რისი აღბეჭვა ვერ მოასწრო გიამ ფირზე სვანეთში?

- ეს ლისხუარია - უშგულის დღესასწაული. ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ყოჩების შერკინებაა ეკლესიის ეზოში. აუცილებლად გადავიღებ. თანაც უკვე ვიცი, რომელი რაკურსიდან.

რაზე ოცნებობს გია ჩხტარაშვილი?

- ერთ სარდაფზე, სადაც პატარა ლაბორატორიაც მექნებოდა და ცნობილ ფოტოხელოვანების გამოფენებსაც გავაკეთებდი, სადაც პროფესიონალი ფოტოგრაფები მოვიდოდნენ ხოლმე და ფიროსმანის და სამოვარისა არ იყოს, ფოტოგრაფიაზე ისაუბრებდნენ.









გია ჩხატარაშვილის ფოტოები




## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
ჯუზეპე ვერდი
"ტრავიატა"
დას: 19:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
ნანა ბოტკოველის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა
"მწყემსი კეთილი"

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი"

**N გალერეა**
გამოფენა "ამბივალენტურობა"
ფილმი: "ჰაგი და იამაგუჩი"
გახსნა: 17:00 - 20:00 სთ.

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თემურ სხულუხიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"სამეფო პალიტრა"
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ჰობი**
სალონი "თექა მიქსი" წარმოადგენს
თექის ნაწარმს

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა
ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

**კლუბები**
**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
Nacho Marco (ესპანეთი)
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
"წამი გარდასახვამდე"
Green
"სიზმრები იაპონიაზე"
(სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი)
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ტელე(მ)ისტერია"
ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
ფასი: 3, 7 და 10 ლარი
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
ემილ ზოლა
"ტერეზა რაკენი"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**დიუმას ცენტრი**
დოკუმენტური ფილმის თვე
"სოხუმი, შავი ნაპირი"
რეჟისორი: მატილდა დამუაზელი
დას: 19:00 სთ.

**რუსთაველი**
"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ვარსკვლავის დაბრუნება

### ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავი გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

*ნატო ვაჩნაძე - პირველი ქართველი კინომსახიობია, რომელიც კინოს ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. გუშინ კინოთეატრ "რუსთაველის" შესასვლელთან ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავი გაიხსნა. მუნჯი კინოს უმშვენიერესი მსახიობის ვარსკვლავი მისმა შვილთაშვილებმა გახსნეს.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პირველი ქართველი ვარსკვლავი საქართველოს უბრუნდება.*

ნატო ვაჩნაძე მუნჯი კინემატოგრაფის წყალობით შემორჩა ეკრანს. მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენიმე ხმოვანი როლიც აქვს შესრულებული, კინოს მოყვარულთა მეხსიერებაში მაინც მისი პლასტიკური და გამომსახველი სახე დარჩა, რომელსაც მძაფრი ემოციების გადმოსაცემად სიტყვები არ სჭირდებოდა. გუშინ კინოთეატრ "რუსთაველში" დოკუმენტური ფილმიც აჩვენეს, რომელშიც კინოვარსკვლავი თავად ყვება საკუთარი ცხოვრების შესახებ ეკრანზე და ეკრანს მიღმა, იხსენებს იმ რთულ გზას, რომელიც კინოს გარიჟრაჟზე გაიარა. ნატო ვაჩნაძე კინოში სპეციალური განათლებით არ მოსულა. ყოველი მისი წარმატება მსახიობის ალღოსა და მისი თაობის ბრწყინვალე რეჟისორებთან მუშაობის შედეგი იყო.

გუშინ ვარსკვლავის გახსნას მისი შთამომავლები თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრნენ. როგორც ცერემონიალზეც ითქვა, ნატო ვაჩნაძემ საფუძველი ჩაუყარა ოჯახს, რომელმაც არაერთი ცნობილი მოღვაწე აჩუქა კინოს. ღონისძიებას ნატო ვაჩნაძის ვაჟი ელდარ შენგელაია ხელმძღვანელობდა. ვარსკვლავის გახსნა კი მის მცირეწლოვან შვილთაშვილებს მიანდეს.

ცერემონიალს მრავალი კინომოღვაწე და კინოს მოყვარული დაესწრო. **"ნატო ვაჩნაძემ ვარსკვლავის წოდება დაიმსახურა პირველ რიგში იმიტომ, რომ იყო ულამაზესი პიროვნება როგორც გარეგნობით, ისე თავისი სულიერებით.** - აღნიშნა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა - **ამავე დროს იგი უდიდესი ტალანტის ადამიანი იყო. მან ხომ ყოველგვარი სკოლის გარეშე მიაღწია ამ სიმაღლეებს. თანაც, მის ოჯახში გაიზარდა ქართველ კინორეჟისორთა მთელი თაობა."**

**"პირველი ქართველი ვარსკვლავი საქართველოს უბრუნდება"** - აღნიშნავდნენ ცერემონიალის დამსწრენი. ამიერიდან პირველი ქართველი კინოვარსკვლავის ვარსკვლავი კინოთეატრ "რუსთაველს" დაამშვენებს.

# გასვლა ტიმოთესუბანში

### ძეგლების გადარჩენა გრძელდება

ვერა ნეფარიძე

*ტიმოთესუბნის მოხატულობა პირველი იქნება, რომლის საკონსერვაციო სამუშაოებსაც სახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს. ოთხი წლის წინათ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაწყებულ სამუშაოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროც შეუერთდა.*





მეცამეტე საუკუნის ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი უნიკალურია ტაძრის მოხატულობით. ის ქართული ხელოვნების ქრესტომათიულ ნიმუშად მიიჩნევა; რაც ყველაზე სასიამოვნოა, სრულადაა შემორჩენილი მოხატულობა. თუმცა, უკანასკნელ წლებში მასაც გარკვეული საფრთხე შეექმნა. ამიტომაც, ტიმოთესუბნის კედლის მხატვრობა შესულია "მსოფლიო მონუმენტების მეთვალყურეობის ფონდის" მიერ შედგენილი 2004 წლის 100 გადაუდებელი სამუშაოს ჩასატარებელ ძეგლთა ნუსხაში. თუმცა, ძეგლზე მზრუნველობა მანამდეც გამოიჩინეს.

2000 წლიდან ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა, World Monument Fund-ისა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ძეგლზე მუშაობა დაიწყო. მათი დამსახურებაა, რომ ადგილზე სამუშაოდ უკვე ყველა პირობაა შექმნილი. შესაბამისი სამუშაოების წყალობით, შეჩერებულია ძეგლის საძირკვლიდან დასველების პროცესიც. ამჟამად ძირითადი სამუშაო ტაძრის მოხატულობის გადარჩენაა.

უკანასკნელ წლებში ტაძრის ინტერიერში დაიწყო საღებავის ცვენა, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური გახდა. ახლა დაზიანებული ადგილები მაგრდება 10-სმ-იანი გაჟღენთილი ქაღალდით; სამუშაოებს გამოცდილი რესტავრატორის გურამ ჭილაშვილის მეთვალყურეობით ახალგაზრდა რესტავრატორები ასრულებენ. გუშინ მინისტრის მოადგილესთან ერთად მუშაობის პროცესი იტალიელმა ექსპერტმა, მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმაც შეამოწმა. ლუჩიო სტეკა პროექტის არქიტექტურული მხარის კონსულტანტია.

სამუშაოები ამ დღეებში დროებით შეჩერდება. როგორც ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, წლის ბოლომდე სამინისტრო გამოყოფს მცირე გრანტს - დაახლოებით ორმოცი ათას ლარს. მომავალი წლის მარტიდან მუშაობა ძეგლზე, კერძოდ, ტაძრის მოხატულობაზე გაგრძელდება. ამ დროისათვის გაიზრდება რესტავრატორთა რაოდენობაც. მინისტრის მოადგილე ვარაუდობს, რომ პროექტის ერთადერთი დონორი სამინისტრო არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. "მომავალი წლიდან დავიწყებთ მოხატულობის აღდგენას გუმბათის ჩათვლით. ორჯერ შევასხურებთ წამალს, რომ სოკოვანი დაავადება მოისპოს. შვიდიდან ათამდე გაიზრდება რესტავრატორთა რაოდენობაც", - გვითხრა მინისტრის მოადგილემ. პროექტში სტუდენტებთან და ქართველ რესტავრატორებთან ერთად იტალიელი ექსპერტებიც ითანამშრომლებენ.

# 37°C და B52

### ციფრები ახალგაზრდულ კინოსა და მუსიკაში

ვერა ნეფარიძე

*ალბათ შემთხვევითია, რომ თამარ სულამანიძის ახალი კინოფილმისა და ჯგუფ "სტრინგის" კლიპის (მასთან ერთად, ბუნებრივია, სიმღერის) სათაურშიც ციფრები ფიგურირებს. შემთხვევითი კი ნამდვილად არ ყოფილა ამ ახალგაზრდა ხელოვანების თანამშრომლობა, რისი ნაყოფიც გუშინ კინოთეატრის მაყურებლით გადაჭედილმა დარბაზმა იხილა. ტანდემი ნაყოფიერი გამოდგა: მუსიკა ფილმს მოუხდა, ფილმის კადრებმა კი შექმნა კლიპი, რომელიც ქართულ მუსიკალურ ვიდეოკლიპებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. თუმცა, ვიდრე ამ დასკვნებს გავაკეთებდით, მოვლენები კინოთეატრში ამგვარად განვითარდა.*



*მოსაწვევი ორმაგი პრეზენტაციისათვის.*

მოსაწვევი ბარათი, რომელზეც ირინა აბჟანდაძის საკმაოდ კარგი ფოტო იყო გამოყენებული, გუშინ, ექვსის ნახევარზე, "რუსთაველში" ორმაგ პრეზენტაციაზე გვიწვევდა. პირველი, ეს იყო თამარ სულამანიძის ფილმის - "37 გრადუსი ცელსიუსის", მეორე კი - ჯგუფ "სტრინგის" მუსიკალური ვიდეოს საპრემიერო ჩვენება. არ დაგიმალავთ, პრემიერებზე მისვლა უფრო კლიპის გამო გადავწყვიტე. "სტრინგი" რამდენჯერმე მომისმენია, მომწონებია და გამიხარდა, რომ მუსიკალური ვიდეოც შეუქმნიათ ბიჭებს. შემდეგ, როდესაც შევიტყვე, რომ თამარ სულამანიძე ის რეჟისორია, ვინც რამდენიმე წლის წინათ მანანა მენაბდისა და გოგი ძოძუაშვილის ტანდემზე კლიპი გააკეთა, ინტერესი გამიმძაფრდა. არა იმიტომ, რომ ის კლიპი ძალიან მომწონდა. უბრალოდ, მახსოვდა, რომ მასში რაღაც საინტერესო იყო (ისიც მახსოვს, კლიპმა, ისევე როგორც მანანა მენაბდის მიერ შესრულებული სიმღერის ახლებურმა ვერსიამ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია). მოკლედ, "რუსთაველში" დროულად მივედი და სწორედ აქ შევცდი...

დარბაზში ყოფნისას ჯერ ვიფიქრე, ეტყობა, ჩემი და დარბაზში მყოფი სულ რამდენიმე ადამიანის გარდა, ყველა გააფრთხილეს, ექვსამდე არ მისულიყვნენ პრემიერაზე. რას ვიფიქრებდი, რომ სულ რაღაც ერთ საათში (როცა, წესით, ყველაფერი უნდა დასრულებულიყო) იმდენი ადამიანი შეიკრიბებოდა, კიბეებზე დასაჯდომი აღარ დარჩებოდა. ერთი სიტყვით, არაპუნქტუალობა სენად დარჩა. მაგრამ, ამასაც აიტანდა კაცი, დარბაზში ერთბაშად მომწყდარ საზოგადოებას კაბელები რომ არ დაეზიანებინა, რის გამოც პრემიერა კიდევ უფრო დაგვიანდა. როგორც იქნა, ანდრეიმ (გუშინდელ ამბავში ეს ადამიანი ყველაზე უფრო საბრალო იყო) პრობლემა მოაგვარა და ფილმიც დაიწყო. მანამდე ნახევარსაათიანი პაუზის ხუთი წუთით შევსება ფილმის ახალგაზრდა რეჟისორმა რობი კუხიანიძეს სთხოვა. "ამ კინოთეატრში ფილმიც არ მინახავს. კლიპების ფესტივალზე ვიყავი ერთხელ. ერთი ქუთაისელი ბიჭი ვარ და გმადლობთ, რომ შემინახეთ. გიტარას მოვიტან და ერთ სიმღერას შევასრულებ, მადლობის სახით", - გვითხრა რობიმ და "აუტსაიდერის" მუსიკოსებთან ერთად გვიმღერა. "მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მე მიყვარს შენი სამშობლო", - ჩვეული არტისტიზმით შესრულებული ფრაზა, მგონი, საზოგადოებამ სახუმარო ნომრად აღიქვა; ყოველ შემთხვევაში, მაყურებლის რეაქციიდან სხვა დასკვნას ვერ გამოიტანდით. თუმცა, "აუტსაიდერი" დარბაზმა მქუხარე ტაშით გაისტუმრა და ფილმიც დაიწყო.

ფილმი ნახევარსაათიანი აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ ის რიგით მეცამეტე ნამუშევარია რეჟისორისთვის, თამუნა სულამანიძე მას ნომერ პირველ, ყველაზე რთულ ფილმად მიიჩნევს. მოქმედება ქალაქ რუსთავიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ხდება. ფილმის გმირები არიან პოლიციელები, მაფიოზები, შეყვარებულები და მთავარი გმირი - უიღბლო მოგზაური (დავით როინიშვილის თამაში ერთ-ერთი საუკეთესოა ფილმში). გამოყენებულია ბევრი მუსიკა - ფაქტობრივად, ნახევარი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ჟღერს ქართული ალტერნატივა (როგორც თავად რეჟისორმა უწოდა): "აუტსაიდერი", "სტრინგი", "შუქი მოვიდა", "ადრენალინი" და ეკა ახობაძის ორიგინალური მუსიკა, რომელიც საგანგებოდ ფილმისთვის დაიწერა. ფილმი დარბაზს ძალიან მოეწონა. მე კი რეჟისორის ახლობლის გულწრფელი სიტყვები მომეწონა: "ძალიან კაი სანახავია, მაგრად ვისიამოვნე, გულწრფელად უნდა გითხრა. სცენარზე ხომ არ გეუბნები, საყურებლად მართლა კარგი ფილმი გამოვიდა". ალბათ მიხვდით, რომ ამ სიტყვების უცნობ ავტორს უნდა დავეთანხმო. სულ სხვა საკითხია "სტრინგის" კლიპი. ენერგიულ და საკმაოდ კარგ სიმღერას - B52 ფილმის მიხედვით გაკეთებული კლიპიც კარგი აქვს. თუმცა, ამაში ჩვენი მაყურებელი თავად დარწმუნდება, როდესაც კლიპს ტელეეთერში ნახავს.

# ვის შეუძლია 50 000?

## ტკბილი ნოემბერი გრაფომანებისთვის

თამარ ბაბუაძე

მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა ვისწავლე და სუფთა წერის მასწავლებელიც დავარწმუნე, ორასი ორიანიც რომ დაეწერა, კალამს სამი თითით მაინც ვერ დავიჭერდი ხელში - ბევრს ვწერ.

თავიდან ვწერდი დღიურებს და სკოლის თემებს - შინაარსებს/დახასიათებებს და თავისუფალს, ჩემსას და სხვისას (ხაზვის გაკვეთილისთვის, ნახაზებში ბარტერად გაცვლილს) მერე - უნივერსიტეტის. როცა ცხოვრების ამ ეტაპზე ყველას ჰგონია ხოლმე, რომ სადიპლომო ნაშრომი მისი ბოლო სერიოზული სიტყვაა ქაღალდზე გადატანილი, მე მაშინ განვაგრძე გაათკეცებული ტემპით წერა.

მას შემდეგ სულ ვწერ - ხან პრეტენზიულ სისულელეებს, ხან პრეტენზიის გარეშე. ჩემი პროფესია წერაა - იმეების, რაც წინა წინადადებაში მოგახსენეთ. ხან მბეზრდება, ხან მსიამოვნებს, ხან - ორივე ერთად. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ძალიან მიყვარს.

სულ თავიდან დღემდე, ალბათ, მილიარდი ასო-ნიშანიც მექნება დაწერილი ("მაიქროსოფთ ვორდის" "თულზში" "ვორდ ქაუნთით" გაზომილი; რა თქმა უნდა, "სფეისებით"), ამ რიცხვის ნახევარი "სარომანე" დეტალი და სიუჟეტი კი - გაფიქრებული და განცდილი მაინც; მერე დავიწყებული. ალბათ, ამ წვრილ-წვრილი ხან პრეტენზიული და ხან არაპრეტენზიული სისულეების გარდა - როგორსაც, მაგალითად, ახლა კითხულობთ - არასდროს არაფერს არ დავწერ. ან შემეშინდება, ან მომერიდება, ან დამეზარება, ან, მარტივად - ვერ, ან ყველაფერი ერთად.

ალბათ, ეს კარგიც არის. და თუ რატომ - აღარ ვიტყვი, ეს თქვენც კარგად იცით (ისევე როგორც იცოდა ბატონმა შუქრიმ ის "რაღაცა").

მაგრამ, თუ მე არ მგავხართ, ანუ თუ წერა გიყვართ, ბევრს წერთ და ფიქრობთ, რომ კიდევ უფრო ბევრის და ხარისხიანის დაწერაც შეგიძლიათ და ამის არც გეშინიათ, არც გერიდებათ და არც ისე ძალიან გეზარებათ, ერთ ძალიან კარგ მისამართს მიგასწავლით. /http://www.nanowrimo.org/. ეს აბრევიატურაა და ასე იშიფრება - National Novel Writing Month, რომანის წერის ნაციონალური თვე.

თვე ნოემბერია. რეგისტრაციის გავლა ყველა მსურველს - ამერიკელსაც და არაამერიკელსაც ოქტომბერში უფასოდ შეუძლია. წერა 1 ნოემბერს, ღამის 12:01-ზე იწყება და 30 ნოემბერს ასევე შუაღამეს მთავრდება. ამ დროისთვის მონაწილეებს 50 ათასი სიტყვისგან დაწერილი რომანი ორგანიზაციის ელექტრონულ ფოსტაზე უნდა ჰქონდეთ გაგზავნილი. იქ სიტყვების დამთვლელი სპეციალური მანქანა დაითვლის თქვენს ნაღვაწს და თუ 50 ათასიან "ჭერს" მიუკაკუნებთ, გამარჯვებულად გამოგაცხადებთ.

პრიზი იქნება სერტიფიკატი. მაგრამ, რად გინდათ პრიზი, როცა გადააბიჯებთ ყველაზე დიდ ბარიერს - "შინაგან რედაქტორს" და აიხდენთ რომანის დაწერის ოცნებას, ფარულს ან გამჟღავნებულს. ამით კი, კიდევ ერთხელ დაადასტურებთ ცნობილ ორნაწილიან ფრაზას - რომ ყველა ადამიანი შემოქმედია და რომ ყველა ადამიანში იმალება ერთი რომანი.

რაც შეეხება გამარჯვებას, საიტზე არ აქვთ ისეთი ტრადიციული ნომინაციები, როგორიცაა: "საუკეთესო რომანი", "ყველაზე სწრაფად დაწერილი რომანი". იქ გამარჯვებულია ყველა, ვინც 50 ათას სიტყვიან რომანს დაწერს, არც მეტს, არც ნაკლებს.

მოკლედ, ეს ქართული "პენმარათონის" მსგავსი მარათონია. ოღონდ, სახეცვლილი:

ნაციონალური რომანის წერის თვეში, თუ თავად არ მოინდომეთ, თქვენს ნაწერს არავინ წაიკითხავს, იქ, უბრალოდ, სიტყვებს დაგითვლიან (თუმცა, მაგალითად, შარშან გამარჯვებულებს თვითონ მოუსურვებიათ და ერთმანეთში გაუცვლიათ თავიანთი ქმნილებები).

ამერიკულ ვარიანტში რომანს არც დაგიბეჭდავენ და არც გაგირედაქტირებენ. მაგრამ, შეგეძლებათ, თქვენი რომანი წერის პროცესშიც კი ორგანიზაციის ვებ-საიტზე გამოფინოთ და იქნებ, ის რომელიმე კეთილ ფეხზე შემოვლილმა გამომცემელმაც შენიშნოს.

სხვანაირია წერის პროცესიც - თქვენ უნდა წეროთ ყველგან და ყველაფერზე (კაფის ხელსახოცზე, ლეპტოპზე, მობილურ ტელეფონში, თაბახზე და მელნით, ანუ, როგორც გნებავთ და როცა კი მუზის შემოტევას იგრძნობთ). დროც მეტი გაქვთ - მთელი თვე და არც სათაური გაქვთ მოცემული - წერეთ, რაც გინდათ.





ვაშინგტონელი სტივენ შოუ დიუპონის სკვერში, კაფეში ზის და თავის მობილურ ტელეფონში რომანს წერს. უცებ მოუვიდა მუზა და ეპიზოდის იქვე დაწერა გადაწყვიტა.



დამოუკიდებელი ჟურნალისტი და მწერალი კრის ბეტი სწრაფი წერის მარათონის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ის ნოემბრის კონკურსს უყურებს, როგორც მკაცრ დიეტას - ხარ წყალზე და პურზე, იტანჯები, მაგრამ მაინც გიხარია, რადგან წონაში დაიკლებ. ამ პრინციპით კონკურსის მონაწილეები 30 დღეში 50 ათას სიტყვიან რომანს წერენ.

რაც მთავარია, კონკურსის უცხოელ მონაწილეებს თავიანთი ნაწარმოების თარგმნა არ დასჭირდებათ, იქ ხომ მხოლოდ სიტყვების რაოდენობა უნდა დაითვალონ და ამიტომ წერა მშობლიურ ენაზეც ნებადართულია.

შედეგი. შედეგი შეიძლება, ისეთი გულისამრევი იყოს, სიცოცხლე აღარ მოგინდეთ, მაგრამ, დედას ხომ უვარგისი შვილიც უყვარს და, ალბათ, ვერც თქვენ შეიძულებთ თქვენს პირმშოს. უბრალოდ, იმას მაინც მიხვდებით, მომავალში წერა რა ხარისხით უნდა განაგრძოთ - მხოლოდ ჩრდილში, დღიურში, ყოველდღიური ჩანაწერების სახით, თუ გამოსაცემად, აღიარების და წარმატების ამბიციით.

რას იტყვით? თქვენი არ ვიცი, ბევრი კი ფიქრობს, რომ ეს მაიმუნობაა. ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის დაცინვაა. რეგრესია.

შეიძლება, ეს 30-დღიანი მარათონი ლიტერატურის მომავალი არც იყოს, მაგრამ მას ამის პრეტენზია არც აქვს. გრაფაში - "შეუძლია თუ არა მონაწილეობა ყველას" საგანგებოდაა განმარტებული: "მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც საკუთარ თავს და საკუთარ ტექსტებს ძალიან სერიოზულად არ აღიქვამს".

ანუ, ეს მარათონი მათთვისაა, ვინც წერის და შემოქმედებისგან დიდ სიამოვნებას იღებს. ეს გართობაა, რომელმაც, ვინ იცის, იმედის მომცემი ტექსტიც შვას, რომლის გადაკეთების შემდეგაც კარგი რომანი გამოვა.

ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი კრის ბეტი კი მარათონს მაგარ დიეტას ადარებს. ზიხარ წყალზე და პურზე, იტანჯები, მაგრამ მაინც უძლებ, რადგან იცი, რომ შედეგი კარგი იქნება - წონაში დაიკლებ.

წარმატების შემთხვევები ორგანიზაციას უკვე აქვს. ჯონ მერცმა 2001 ნოემბრის მარათონისთვის დაწერა ფანტასტიკის ჟანრის რომანი "გამანადგურებელი", რომლის გამოქვეყნებაც შეძლო. მერცი დღეს ამბობს: "ნოემბრის მარათონი უფრო "გულის ზიდვის" ფაზაა. ნამდვილი სრულყოფა მერე მოდის, ძალიან მერე".

თავისი რომანის გამოქვეყნება შეძლო 33 წლის ლენი დაიან რიჩმაც. მან რომანტიკული ტექსტი "კარგი ქცევისთვის გამოყოფილი დრო", 50 ათასი სიტყვით, 25 დღეში დაწერა. გამოსაცემად წიგნის რედაქტირებას კი ექვსი კვირა მოანდომა. რიჩი იხსენებს: "მარათონამდე წერის დამთავრება სულ მიჭირდა. დაწერილს ათასჯერ ვუბრუნდებოდი ხოლმე, ვცვლიდი და სრულყოფას ვეძებდი. აქ კი სხვანაირად გამამხნევეს. აქ მითხრეს: "მთავარია, დაწერო, თუნდაც ცუდად, ოღონდ დაწერო". მეც ასე მოვიქეცი".

ცხადია, 50 ათასი სიტყვის დაწერა იოლი არაა. ზოგი ტექსტის დასაგრძელებლად სიტყვებს აგრძელებს, ზოგი კი - სიუჟეტს. მაგალითად, ქალბატონმა შერიდან-პიტერსმა შარშან წერა დროულად, მაგრამ 42 ათას სიტყვაში დაასრულა და რჩევისთვის ქმარს მიაკითხა. მანაც უთხრა, მოდი, იქნებ, ვინმე მოკლა? პიტერსმა პერსონაჟი მართლაც გაიმეტა და საჭირო 8 ათასი სიტყვაც ასე დაამატა თავის ტექსტს.

მონაწილეების რიცხვიც იზრდება. სამწუხაროდ, არ ვიცი, კონკურსანტებისგან რამდენია უცხოელი, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ 1999 წელს იყო მხოლოდ 21 მონაწილე, შარშან კი - 25 ათასი.

წელს უკვე ყველამ დავაგვიანეთ. მომავალ წელს კი, ვინ იცის, იქნებ მოიფიქროთ კიდეც, ბედის ცდა. მე კი, აგერ უკვე 6.151 ასონიშანი დამიწერია - ისევ ცოტა და ისევ უპრეტენზიო. ჩემი ერთადერთი ნუგეში ამჯერად ის იქნება, რომ წერა ისედაც მიყვარს, ამიტომ, რა მენაღვლება, დავწერ. თან თქვენც წაიკითხავთ და მეტი რაღა მინდა? ყოველ შემთხვევისთვის, მომავალ ნოემბრამდე.

### მოკლედ

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |

**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] $ | [illegible] $ |
|---|---|---|---|---|
| Incredibles | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 22,203,462 | 30,629,146 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 11,100,392 | 11,100,392 |
| Seed of Chucky | [illegible] | [illegible] | 8,774,520 | 8,774,520 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 8,484,088 | 8,484,088 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 8,411,385 | 52,523,545 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 7,010,581 | 99,246,187 |
| Saw | [illegible] | [illegible] | 6,437,990 | 45,753,595 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,024,327 | 40,470,487 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,738,951 | 11,181,243 |



**თანამედროვე როკის საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**




| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| U2 | Interscope | 1 | 7 [illegible] |
| Jimmy Eat World | Pain | 2 | 11 [illegible] |
| Chevelle | Vitamin R | 3 | 14 [illegible] |
| [illegible] | Boulevard Of Broken Dreams | 11 | 6 [illegible] |
| [illegible] | Cold | 7 | 28 [illegible] |
| [illegible] | Getting Away With Murder | 4 | 17 [illegible] |
| [illegible] | American Idiot | 3 | 14 [illegible] |
| [illegible] | So Cold | 6 | 26 [illegible] |
| [illegible] | Fall To Pieces | 8 | 16 [illegible] |
| Sum 41 | We're All To Blame | 10 | 10 [illegible] |

რეკორდი

# ფოთს გინესის რეკორდსმენი ჰყავს

ქეთინო ჭოკოშია

ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის პატრონაჟით საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის, საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტისა და საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი "გიორგის" თანადგომით 19 ნოემბერს ფოთში მაგიდის ჩოგბურთის მსოფლიო სარეკორდო ასპარეზობა გაიმართა.

32 წლის ფოთელმა მამუკა კუციამ გააუმჯობესა უსწრაფესი თამაშის არსებული რეკორდი, რომელიც ინდოელ ს. რამეშ ბაბუს ეკუთვნოდა. 1995 წლის 14 აპრილს ქალაქ სუარტაგეს ჯავაჰარლარ ნერუს სახელობის სტადიონზე დაფიქსირებული მიღწევა გინესის რეკორდების წიგნშია შესული. ინდოელმა რეკორდსმენმა 41 წუთსა და 27 წამში, ჩოგნით, მაგიდის ბადის გვერდით მდგარმა, უწყვეტად ბადის ერთი მხრიდან მეორეზე ბურთი 5000-ჯერ გადაიყვანა.

ფოთელი მამუკა კუციას მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. მან იგივე შედეგი 36 წუთსა და 12 წამში გაიმეორა. მამუკას ასპარეზობა მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგაც არ შეუწყვეტია და საბოლოო ჯამში 5610 დააფიქსირა.

**თემურ რამაზაშვილი, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარე:** "ბრწყინვალე შედეგია. ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. ეს ნიშნავს, რომ ფოთში არის დაინტერესება, პოტენციალი და მაგიდის ჩოგბურთს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ეს ხომ სპორტის ის სახეობაა, რომელსაც ბავშვებიც თამაშობენ და ხანდაზმულებიც. მომავალში მამუკას მხრიდან შედეგის კიდევ უფრო გაუმჯობესებას ველოდები".

**ზურაბ ტიბუა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კრივში:** "ასეთი რეკორდის დამყარება მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანებს შეუძლიათ. დიდია როგორც ფიზიკური, ასევე მორალური დატვირთვა. პირველად დავესწარი გინესის რეკორდის გაუმჯობესების პროცესს და აღტაცებული ვარ, რომ ეს ჩვენმა თანაქალაქელმა მოახერხა".

თავად მამუკა კუცია ამბობს, რომ ვარჯიშისას რამდენჯერმე კიდევ უფრო უკეთესი შედეგი აჩვენა. იგი ბედნიერია, რომ ასპარეზობისას, ბუნებრივი ფსიქოლოგიური დაძაბულობის მიუხედავად, მაინც შეძლო სარეკორდო მაჩვენებლის მიღწევა. 12 წელია, რაც მამუკა მაგიდის ჩოგბურთით დაინტერესდა. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულმა, მან საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ადგილობრივ განყოფილებას მიმართა. ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამედიცინო შემოწმება გაიარა, კომპეტენტური სამსახურების მხარდაჭერა მოიპოვა და თანაქალაქელებს (და არა მარტო მათ) დიდი სიხარული მოუტანა.

კავშირ "გიორგის" თავმჯდომარე გვანჯი მანია ამბობს, რომ მამუკა კუციას შედეგი, შესაბამისი აქტით დადასტურებული, ლონდონში, გინესის დირექციას გადაეგზავნება. ვინ და რა კუთხით დაინტერესდება ფოთელი რეკორდსმენით, მომავლის საქმეა...

ცნობისთვის: საქართველოს პირველი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში 1952 წელს ფოთში გაიმართა. ახალი მსოფლიო რეკორდიც სპორტის ამ სახეობაში ფოთში დამყარდა, უკვე 2004 წელს.

ასპარეზობის ბოლოს გაიმართა ქართველი კომპოზიტორის სერგო ჟვანიას საფორტეპიანო კონცერტი. მის სარეკორდო საკონცერტო მარათონს დედაქალაქმა ამ დღეებში უმასპინძლა.

საწყლოსნო სპორტი

# ახალმა წყალმა პეკინამდე უნდა მიგვიყვანოს

## საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს

ბიბა ბურასაშვილი

*"შეგვეძლო კი მეტის მიღწევა? - არა! იმ შესაძლებლობებით, რომელიც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას ჰქონდა, მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. დღემდე ენთუზიაზმის ხარჯზე ვმუშაობდით. ნუ იქნებით ტენდენციურები, ნუ იტყვით, თითქოს არაფერი გაგვიკეთებია".*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პრეზიდენტის პოსტზე ვლადიმერ გოიაშვილი გიორგი უდესიანმა შეცვალა.*

დღეიდან საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. გუშინ "ლაგუნა ვერეს" კომპლექსში ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა შეცვალა.

ვიდრე არჩევნებამდე მივიდოდა საქმე, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ცქიტიშვილმა ფედერაციის საანგარიშო საარჩევნო ყრილობაზე დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ გვიამბო. შეგვახსენეს, თუ რა გაკეთდა ძველი ხელმძღვანელობის ხანაში, რა შედეგებს მიაღწიეს, რატომ იყო შეუძლებელი მწვრთნელთა და სპორტსმენთა მიგრაციის შეჩერება. გივი ცქიტიშვილის ნახევარსაათიან გამოსვლას ლაიტმოტივად გასდევდა საუბარი ფედერაციის მწირ შესაძლებლობებზე, უფულობაზე.

გენერალური მდივნის შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენებაც მოვისმინეთ. ფედერაცია რომ ფინანსურ გაჭირვებაშია, იქიდანაც ჩანს, რომ თურმე ფედერაციის ანგარიშზე 79 ათასიდან 110 ლარიღა ყოფილა შემორჩენილი.

შემდეგ აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი წარდგა დამსწრეთა წინაშე: "ფედერაციის ხელმძღვანელობა ახალი, ალბათ, უკვე სხვანაირად შეხედავს სპორტის საწყლოსნო სახეობათა დაფინანსების საკითხს. თავად განსაჯეთ: წყლის თხილამურებზე ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი, ანუ ჩვენი ფედერაციის ბიუჯეტის ნახევარი იყო გამოყოფილი. სწორედ ასეთ გადანაწილებაზეა საუბარი. იმედია, ამ მხრივ ვითარება გამოსწორდება".

ქალაქის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა თქვა: ყველამ კარგად იცის, რისთვის ვართ აქ შეკრებილნი. პირველ ყოვლისა, დიდ მადლობას ვუხდით ვლადიმერ გოიაშვილს დღემდე გაწეული სამუშაოსთვის, მაგრამ ვიდრე კენჭისყრის შედეგები გახდებოდეს ცნობილი, მინდა ვთხოვო ფედერაციის გამგეობას, ნიჩბოსნობაც საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას შეაფაროსო!

არც იმაზე ლაპარაკს მოვყვები, ვინ რა გააკეთა აქამდე; ვის ჩაუსხეს აუზში წყალი და ვის არა; ვინ გადახტა უწყლო აუზში და ვინ გაიტეხა თავი. ერთი რამ ზუსტად ვიცი: ახალ ხელმძღვანელობას აუარება სამუშაო ელის და მან იმედი არ უნდა გაუწბილოს ამომრჩევლებს.

კენჭისყრის დროც დადგა. საპრეზიდენტო არჩევნებს გიორგი უდესიანის სახით ერთადერთი კანდიდატი ჰყავდა. კენჭისყრა ღიად ჩატარდა და ამომრჩევლებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს უდესიანს, რომელმაც შემდეგ თქვა: თუ იმ მინიმუმს არ შევასრულებ, რაც მევალება, თანამდებობიდან გადავდგები. ასეთია საწყლოსნო სახეობათა სამყაროს მიმართ გიორგი უდესიანის პირობა, რომლის შესრულებასაც ის ახლად არჩეულ პრეზიდენტებთან, პარლამენტარ დავით კირვალიძესთან, ვეტერან წყალბურთელთან დავით რურუასთან და ვლადიმერ კვარაცხელიასათან ერთად აპირებს.

პირობები კი ასეთია: გაპარტახებული სკოლების აღდგენა, ამოქმედება; ცურვის მასობრივ სახეობად ქცევა; მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება; უცხოეთის ფედერაციებთან ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონების სპორტსკოლებში უკეთესი პირობების შექმნა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დიდ ფინანსებს საჭიროებს, რომლის მოზიდვაც ახლად არჩეულ პრეზიდენტს მეგობრების, საქმიანი წრეებისა და, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან განუზრახავს.

უდესიანის გამოსვლიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა საკითხმა. ესაა ნაკრებისთვის შესაბამისი ბაზის შექმნა თბილისში. მაგრამ არის კიდევ ერთი...

"პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს საწყლონსო სახეობათა ეროვნული ფედერაცია სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც წყალბურთში, ისე ცურვაში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში. ესაა ჩვენი საბოლოო მიზანი. ჩვენ ის კი არ გვინდა, რომ პეკინის ოლიმპიურ სარბიელზე ფორმალურად მივიღოთ მონაწილეობა, არამედ შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

დღემდე ამ სახეობების წარმომადგენლები სხვებთან შედარებით არათანაბარ პირობებში იყვნენ. აქედან გამომდინარე, ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ამ მხრივ ვითარება გაუმჯობესდეს".

# მარად ახალგაზრდა

პაოლო მალდინი "მილანის" შემადგენლობაში 1985 წლის იანვარში გამოჩნდა. მაშინ არავინ იცოდა, თუ რა დიდ წარმატებას მიაღწევდა ჭაბუკი მცველი. სადებიუტო მატჩი მილანის "სანსიროზე" "უდინეზეს" წინააღმდეგ გაიმართა.

სამი წლის შემდეგ, რაც ახალგაზრდა მალდინი ლეგენდარული ფრანკო ბარეზის გვერდით თამაშობდა, ის იტალიის ნაკრებში მიიწვიეს. პაოლო მალდინი რეკორდსმენია "სკუადრა აძურაში" ჩატარებული მატჩების რაოდენობით. მის ანგარიშზეა 126 საერთაშორისო მატჩი.

სახელგანთქმული ჩეზარე მალდინის ვაჟი "მილანის" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა. ახლა ფეხბურთელი 36 წლისაა. მალდინი იხსენებს თითქმის 20 წლის წინანდელ სადებიუტო მატჩს და ამბობს: "მაშინ ის-ის იყო, 16 წლის გავხდი, მაგრამ ასაკმა ხელი ვერ შემიშალა, "მილანის" პირველ გუნდში დავმკვიდრებულიყავი. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ანალიზის დროც არ დამრჩა".

უმაღლეს მწვერვალზე ასვლა ურთულესი საქმეა, მაგრამ უფრო ძნელი ამ მწვერვალის შენარჩუნებაა. როგორ ახერხებს "მილანის" კაპიტანი ასე დიდხანს და სტაბილურად კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნებას? "ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, - განმარტავს მალდინი, - ჯერ ერთი, მე მილანში დავიბადე. მილანელისთვის ყოველთვის ძნელია შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება. მე მყისვე მომიხდა იმის დამტკიცება, რომ გუნდში მილანელობის გამო არ მოვხვედრილვარ".

"მილანის" მცველის ალმავლობისა და პრობლემების შესახებ ყველას მოეხსენება. მალდინის ხშირად მოუგია ჩემპიონთა ლიგა და იტალიის ჩემპიონატი, თუმცა, 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა ბრაზილიის ნაკრებთან. ამას გარდა, 2000 წელს მალდინისა და "სკუადრა აძურას" პრაქტიკულად 43 წამი დააკლდა იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონი გამხდარიყო.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წაგების შემდეგ ფრანკო ბარეზიმ პირდაპირ მინდორზე დაიწყო ტირილი და დიდხანს ვერ მოეგო გონს. პაოლო მალდინი კი შეუდრეკელი იყო. "ხასიათის თავისებურების გამო მე ბევრად უფრო იოლად შემიძლია უარყოფითი ემოციები დავთრგუნო. თუ დარწმუნებული ვარ, რომ მოგებისთვის ძალ-ღონე არ დავიშურე, მაშინ შემიძლია წაგებულ მატჩზე ვიდარდო, მაგრამ არა იმაზე, რომ უკეთ თამაში შემეძლო", - მიიჩნევს იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი.

არც უამრავ გამარჯვებას და არც ნამდვილ ტრაგედიას არ შეუძლია, მალდინიზე გავლენა მოახდინოს. "მილანის" ნახევარმცველი ჯენარო გატუზო ამბობს: "საოცარია, მაგრამ 20 წლის შემდეგაც მალდინი ისეთივე შემართებით თამაშობს, როგორც ადრე".

"მე მშურს მალდინის, - აღიარებს გატუზო, - ხანდახან ვარჯიშზე წასვლა არ გინდა. ზოგჯერ თავს მთლად კარგად ვერ გრძნობ. ასეთ დროს ბევრი ფეხბურთელი თაღლითობს. ჩივის მცირე ტრავმასა ან გაციებაზე, მაგრამ მალდინი ამას არასდროს კადრულობს. პაოლო ნამდვილი ლიდერია და, ამასთან, პარტნიორებს არასოდეს უყვირის. გარწმუნებთ, საფეხბურთო მოედნის მიღმაც ჩვენი კაპიტანი არასოდეს ჯაჯღანებს".

მალდინი მშვიდია არა მარტო მინდორზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. საქმე ის არის, რომ მცველი სახლში ყოფნისას სამსახურზე არ ფიქრობს. "როცა ვარჯიში ან თამაში მთავრდება, მე ოჯახსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე გადავერთვები, - ამბობს მალდინი, - ასე რომ, შეიძლება ითქვას, თავს ვუფრთხილდები. მიმაჩნია, რომ თუ შინ მისვლისას სამსახურზე იფიქრებ, შეიძლება საკუთარი თავი ბოლომდე გაანადგურო".

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მალდინი პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრებით უკმაყოფილოა. "ჩვენ, მართლაც, გათამამებულნი ვართ, - "მილანელოს" ბაზაზე განაცხადა "მილანის" მცველმა. ჩვენთვის ყველა პირობაა შექმნილი. თითქოს ყველა პრობლემა ბაზის მიღმა რჩება. ამრიგად, ყველა ფეხბურთელს საშუალება აქვს, სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები".

ერთადერთი, რასაც მალდინი ნანობს, ის არის, რომ მან ვერ შეძლო ფორვარდის პოზიციაზე თამაში. არადა, ფეხბურთის თამაში სწორედ ამ ამპლუაში დაიწყო. "მართლაც, თავიდან მარჯვენა ფორვარდის პოზიციაზე ვიყავი, - ამბობს პაოლო მალდინი, - მაგრამ არ ღირს ამის გამო წუხილი. მე ხომ ასეთი კარიერა მქონდა"!

ფეხბურთი

# ესპანური ფეხბურთი ავადაა

ნინო ტიკარაძე

*სამშაბათს, 16 ნოემბერს, როცა "სანტიაგო ბერნაბეუზე" ინგლისისა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრისას ესპანელმა გულშემატკივრებმა მეტოქე გუნდის შავკანიანი ფეხბურთელების მისამართით რამდენიმე შეურაცხმყოფელი ფრაზა ისროლეს, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, არავინ იფიქრებდა, რომ მეორე დღეს, ზუსტად იმ ადგილას, იმავე ქვეყნების, ამჯერად ეროვნული ნაკრებების შეხვედრისას იგივე გამეორდებოდა. არავინ მოელოდა, რომ ამას სისტემატური ხასიათი მიეცემოდა. სისტემატური, ალბათ, იმიტომაც, რომ, მოგეხსენებათ, ერთი თვის წინათ ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა რასისტული გამონათქვამებით "შეამკო" "არსენალის" თავდამსხმელი ტიერი ანრი.*




*ინგლისელ ეშლი კოულს ესპანელებმა სულ "შავი მაიმუნი" უძახეს.*

"რასიზმმა, როგორც ავთვისებიანმა სიმსივნემ, მთლიანად მოიცვა ესპანური ფეხბურთი," - "ბიბისისთან" საუბარში განაცხადა ესპანეთის ანტირასისტული ჯგუფის კოორდინატორმა კარლოს ნუნესმა. მისივე თქმით, თვით პროფესიონალი შავკანიანი ფეხბურთელებიც კი განიცდიან მსგავს შეურაცხყოფას ქვეყნის შიგნით, თუმცა, ამ საკითხზე ღიად საუბრისგან თავს იკავებენ.

თავის მხრივ, ბრიტანეთის "მოდი, ერთად გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან" კამპანიის წარმომადგენელმა პიარა ფაუერმა ორივე ამხანაგურ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი ლუის არაგონესის მიერ პროვოცირებულად ჩათვალა და განაცხადა: "მე რომ ესპანელი გულშემატკივარი ვყოფილიყავი, ბუნებრივია, არაგონესის მიერ ტიერი ანრის მისამართით წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ვიფიქრებდი: თუ მას შეუძლია, შეურაცხყოფა მიაყენოს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ თავდამსხმელს, მოდი, მეც დავუძახებ მოწინააღმდეგე მხარის შავკანიან ფეხბურთელებს "შავ მაიმუნებს". დარწმუნებული ვარ, აქ, ჩვენთან, ბრიტანეთში, ჟურნალისტები პასუხს მოსთხოვდნენ მწვრთნელს, მაგრამ, როგორც ჩანს, ესპანეთში სხვაგვარად ხდება. ესპანური მედია ამ საკითხის განხილვას რამოდენიმე დღეში შეწყვეტს, თუმცა, ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, მოკვლევა ამ საკითხზე სათანადოდ ჩატარდეს. ჩვენი კამპანია სწორედ აქეთკენაა მიმართული."

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოძიებისთვის საჭირო მასალები გაუგზავნა ფიფასა და უეფას. თუ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციას დამნაშავედ ცნობენ, მაშინ მას საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახადა და ხუთი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

გუშინ ფიფამ ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება უკვე გააკეთა: "ჩვენ სასტიკად ვგმობთ რასიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციას." ფიფას პრეზიდენტის თქმით, "რასიზმსა და დისკრიმინაციას სპორტთან არაფერი ესაქმება."

გუშინვე ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ ანხელ მორატინოსმა ესპანეთის მთავრობის სახელით ბოდიში მოუხადა ესპანელი გულშემატკივრების მიერ შეურაცხყოფილ ყველა ადამიანს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერიც გამოეხმაურა "სანტიაგო ბერნაბეუზე" მომხდარ ორივე ინციდენტს და აღნიშნა, რომ ის ძალიან შეშფოთებული და იმედგაცრუებულია.

მაგრამ, არა მგონია, ეს თემა იმგვარად მტკივნეული იყოს ვინმესთვის, როგორც თავად შეურაცხყოფილი გუნდის ფეხბურთელებისთვის. ესპანელი გულშემატკივრების რასისტული გამონათქვამები არა მარტო ცალკეული ფეხბურთელების, არამედ ინგლისის მთელი გუნდის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს.

ინგლისელი მცველის რიო ფერდინანდის განცხადებით, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ ინგლისის ნაკრებს მოედანი უნდა დაეტოვებინა. იგი დარწმუნებულია, რომ ეს სამართლიანი საქციელი იქნებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა თამაშის შეწყვეტა საჭიროდ არ ჩათვალა.

გამოძიება კი დაწყებულია. ჯერჯერობით არავინ იცის, რა ბედი ელის ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციასა და თავად ლუის არაგონესს. ამ უკანასკნელის რეპუტაცია კი, უკვე თითქმის ერთი თვეა, ეჭვქვეშ დგას.

რაგბი

# იგორ მირონოვი: „საქართველოს დასამარცხებლად მზად ვართ"

## რისთვის არიან მზად ქართველები?

პაატა თოთაძე


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დღეს ბორჯღალოსნები რუსეთის დამარცხებას კვლავ შეეცდებიან.

აჰა, რუსეთთან მორიგი დაპირისპირების დროც დადგა. სამდღიანი მოსამზადებელი პერიოდი ბორჯღალოსნებს გუშინწინ დაუმთავრდათ. გუშინ კი, საღამოს ოთხ საათზე, ჩარტერული რეისით კრასნოდარს გაემგზავრნენ, რათა დღეს, ორ საათზე, ერთა თასის წლევანდელი და მსოფლიო თასის მომავალი გათამაშების შესარჩევ მატჩში შეერკინონ რუსებს. ეს იქნება დასაწყისი მსოფლიო თასზე გამსვლელი ორწლიანი გზისა, რომელიც, იმედია, გამარჯვებით დაიწყება და 2007 წელს გასამართი მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებით დასრულდება.

ქართულ-რუსულ სარაგბო დაპირისპირებას 12-წლიანი ისტორია აქვს. დღემდე ეს გუნდები რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ქართველებმა ექვსჯერ გაიმარჯვეს, ერთხელ დამარცხდნენ, ერთი მატჩიც ფრედ დამთავრდა. კრასნოდარში ქართველებმა ორჯერ ითამაშეს (2001 და 2003 წელს) და ორჯერვე გაიმარჯვეს. აქვე გაგაცნობთ ფრიად საინტერესო სტატისტიკას. როგორც ამის დამთვლელი ჩემი კოლეგა და რაგბის ცოცხალი ენციკლოპედია ზაალი იტყოდა, სტატისტიკა მრავლისმეტყველი და მართალია. მისი დათვლით კი ის ირკვევა, რომ რვიდან შვიდ თამაშში გუნდებმა ლელო თანაბრად ან სულაც ვერ გაიტანეს. ამის მიუხედავად, მხოლოდ ერთი მატჩი დასრულდა ფრედ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგებს ის, ვისი დამრტყმელიც უკეთ და, შესაბამისად, ზუსტად ურტყამს. სავარაუდოა, რომ ახლაც იგივე გამეორდება და მატჩის ბედსაც დამრტყმელთა სიზუსტე გადაწყვეტს. რუსთაგან ეს, ალბათ, კაზანცევს დაევალება. ქვეყნის ჩემპიონატში მასზე უკეთესი დარტყმელი არავინაა, თანაც, ახალი მწვრთნელის იგორ მირონოვის მშობლიური კლუბის ღირსებას იცავს. ჩვენგან ამას, ალბათ, მალხაზ ურჯუკაშვილს დაავალებენ ამას, თუმცა, გუნდში დათო კიკნაძეცაა - რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, "კრასნი იარის" დამრტყმელი. დღეს სწორედ ის ითამაშებს თავისუფალი ნახევარმცველის ანუ პივოტის პოზიციაზე და გუნდის შეტევებსაც ის წარმართავს. ასე რომ, დღეს ბევრი რამ იქნება მასზე დამოკიდებული. მის გარდა ნაკრებში კიდევ ორი "რუსია" - "ენისეის" მესამეხაზელი რატი ურუშაძე და უკანახაზელი ბესიკ ხამაშურიძე. კრასნოდარში წასული გუნდის სრული შემადგენლობა კი ასეთია:

**პირველი ხაზი -** მამუკა მაგრაქველიძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, დავით გასვიანი, ნიკო ჭავჭავაძე

**მეორე ხაზი -** ილო ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ზურაბ მჭედლიშვილი

**მესამე ხაზი -** რატი ურუშაძე, ზვიად მაისურაძე, ბესიკ უდესიანი, დავით ბოლღაშვილი

**შერკინების ნახევარმცველი (ჰავბეკი) -** ირაკლი აბუსერიძე (აბუ), ბიძინა სამხარაძე (რიჟა)

**თავისუფალი ნახევარმცველი (პივოტი) -** დათო კიკნაძე (კიკნა), ოთარ ბარკალაია (ცოფიანი)

**სამმეოთხედელები -** თედო ზიბზიბაძე (თედო), ირაკლი გიორგაძე (პატარა გლობუსა), ირაკლი მაჩხანელი (მაჩხო), ბესიკ ხამაშურიძე (ანტილოპა), ლექსო გუგავა (ლექსუსა)

**მცველი -** მალხაზ ურჯუკაშვილი (მახო)

"მშვენიერი განწყობით მივდივართ კრასნოდარში. ყველამ კარგად იცის, რა მნიშვნელობის მატჩი გველის და მოსაგებად თავს არ დავზოგავთ", - წასვლის წინ განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა. ლამაზი თამაში, ალბათ, არ იქნებაო, - მეორე მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა დაამატა და ჭეიშვილიც დაეთანხმა: "პრაგმატულ რაგბის ვითამაშებთ. მთავარი შედეგია და სწორედ შედეგისთვის ვითამაშებთ. მოსამზადებლად დიდი დრო არ გვქონია და, ბუნებრივია, ამ სამ დღეში სრულფასოვნად ვერ ვივარჯიშეთ. თუმცა, ეს, ალბათ, გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს. მთავარია, მარტივი შეცდომები არ დავუშვათ და შედეგიც მოვა".

ასეც უნდა იყოს. როგორც ზემოთ ვთქვით, უმეტეს მატჩებში მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობის ლელოები გაიტანეს. იმ მატჩებში კი, რომელშიც ქართველებმა იმარჯვეს, სხვაობა ანგარიშში გარდასახულ ლელოზე ანუ შვიდ ქულაზე ნაკლები იყო. ასე რომ, მთავარი შედეგია და არა გაშლილი, ლამაზი და მრავალლელოიანი თამაში. რაგბის ქართველ გულშემატკივარს კი ამ მატჩის პირდაპირ ეთერში ხილვის საშუალება ექნება ტელეკომპანია "მზის" მეშვეობით. როგორც ზემოთ ვთქვით, მატჩი 14 საათზე დაიწყება.

დაახლოებით იგივე აზრისაა იგორ მირონოვი, თუმცა, მისი თქმით, რუსეთის ნაკრები ნაყოფიერად მოემზადა მომავალი მატჩისთვის და, როგორც არასდროს, ისეა მზად ბორჯღალოსანთა დასამარცხებლად. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მირონოვმა გუშინ ჩვენს რუს კოლეგებს მისცა. ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს მისი აზრი მომავალი მატჩის თაობაზე.

**- როგორ შეაფასებდით ნაკრების მიერ გავლილ შეკრებას საფრანგეთში?**

- დადებითად. საფრანგეთის სამხრეთში ვემზადებოდით. იმ ბაზაზე, რომელსაც მოსამზადებლად ნაკრები იყენებს. იდეალურ პირობებში ვემზადებოდით. ერთი საკონტროლო მატჩიც გავმართეთ, რომელშიც გავიმარჯვეთ. ამ შემთხვევაში მთავარი იყო არა შედეგი, არამედ თამაშის ხარისხი. ბიჭები ბევრს მოძრაობდნენ მოედანზე. მორაგბეები ფიზიკურად ჩინებულად არიან მზად, მაგრამ თავიანთ შესაძლებლობას ვერ იყენებენ.

**- რა შეიცვალა გუნდში ამ შეკრების შემდეგ?**

- ჩვენ შევცვალეთ სათამაშო ტაქტიკა და სტრატეგია. მაქსიმალურად გაშლილი თამაში უნდა ვითამაშოთ. რაც მთავარია, გუნდი მივიდა იმ მდგომარეობამდე, რომ ქართველების დამარცხება შეუძლია.

**- რატომ არ გამოიძახეთ ნაკრებში სერგეევი და რაჩკოვი?**

- სერგეევი უკვე დაბერდა, არ შეუძლია მაღალ დონეზე ორი ტაიმის თამაში. რაჩკოვის თამაში კი არ მომწონს.

**- ჩამოვა თუ არა ამ მატჩზე ალექსანდრ პერვუხინი?**

- დიახ.

**- და ის თქვენ დაგეხმარებათ?**

- მე ვიტალი სოროკინი მეხმარება.

**- ვინ იქნება კაპიტანი?**

- რომან რომაკი.

**- რა ინფორმაციას ფლობთ ქართველებზე?**

- მე ვნახე ჩვენი და მათი ბოლო ორი მატჩის ვიდეოჩანაწერი. იმ თამაშების და კიდევ იმის მიხედვით, თუ რა შემადგენლობით ჩამოდის საქართველოს ნაკრები, უნდა მოვიგოთ.

**- უკვე გადაწყვეტილია, ვინ ითამაშებს ძირითადში?**

- არა, დღეს ბოლო ვარჯიში გვაქვს და შემადგენლობასაც ამის მერე დავასახელებ.

### ერთა თასის წლევანდელი გათამაშების კალენდარი

**2004 წელი. 20 ნოემბერი**
რუსეთი - საქართველო, უკრაინა - პორტუგალია

**27 ნოემბერი**
ჩეხეთი - რუმინეთი

**2005 წელი. 5 თებერვალი**
პორტუგალია - საქართველო

**26 თებერვალი**
საქართველო - უკრაინა, რუმინეთი - რუსეთი, პორტუგალია - ჩეხეთი

**12 მარტი**
საქართველო - რუმინეთი, უკრაინა - ჩეხეთი

**19 მარტი**
უკრაინა - რუმინეთი

**4 აპრილი**
რუსეთი - პორტუგალია

**11 მაისი**
საქართველო - ჩეხეთი, რუმინეთი - პორტუგალია, რუსეთი - უკრაინა

ჩეხეთ-რუსეთის მატჩის თარიღი ჯერაც არაა დაზუსტებული.

კალათბურთი

# „როქეთსი" ვერ ქაჩავს


ტიმაკი და იაო მარტო ვერაფერს გახდნენ.

სანდრო ნავერიანი

გუშინ, გამთენიისას, გაიმართა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის სამი მატჩი. მათგან ცენტრალურად ითვლებოდა "უაჩოვია ცენტრში" გამართული ორთაბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადგილობრივი "ფილადელფია სევენთისიქსერზი" და "სან-ანტონიო სფურზი". მატჩი რომ საინტერესო იქნებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ თუ სპეციალისტთა პროგნოზებს გავითვალისწინებთ, მაშინ სამოცდათექვსმეტელებს არ უნდა წაეგოთ. პროგნოზებსაც რომ თავი დავანებოთ, "სან-ანტონიო სფურზმა" წლევანდელი სეზონი მეტად ულიმღამოდ დაიწყო, რასაც ვერ ვიტყვით "ფილადელფია სევინთისიქსერსზე". ზაფხულში მან რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გუნდიდან გაუშვა, მაგრამ გუნდის ლიდერი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კალათბურთელი ალენ აივერსონი გუნდში დარჩა. სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით აღწევს ფილადელფიური კლუბი იმ შედეგებს, რომელსაც შეიძლება წარმატება ვუწოდოთ. ასე იყო იმ კონკრეტულ მატჩშიც, უფრო სწორად, ალენ აივერსონმა ვერ ითამაშა სათანადო დონეზე, რის შედეგადაც მისი გუნდი დამარცხდა. რაც შეეხება "სან-ანტონიო სფურზს", მან ძალიან კარგად ითამაშა - თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო. ტიმ დანკანმა კი ტეხასელ ჩლიქებს 34 ქულა და 13 მოხსნა შესძინა. სანანტონიოელებმა პირველი მეოთხედი 20:6 მოიგეს, რის შემდეგაც მათ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მეორე და მესამე მეოთხედებში აივერსონმა და კომპანიამ ანგარიშში დიდი ცვლილება მოახდინა - მესამე მეოთხედის შემდეგ ფილადელფიელები ოთხ ქულას იგებდნენ (59:55). ყველაფერი უკანასკნელ მეოთხედში გადაწყდა: ტეხასელებმა 12 ქულა მოუგეს სამოცდათექვსმეტელებს. საბოლოო ანგარიშია 88:80. მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო ტიმ დანკანი (34 ქულა და 13 მოხსნა). ემანუელ ჟინობილიმ და რაშო ნესტეროვიჩმა კი, შესაბამისად, 17 და 16 ქულა შესძინეს ჩლიქებს. "სიქსერზის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ალენ აივერსონი. მიუხედავად იმისა, რომ მან ძალიან ცუდად ითამაშა, 24 ქულა მაინც მოაგროვა. კაილ კორვერმა და კორლის უილიამსონმა, შესაბამისად, 17 და 15 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს.

მეორე შეხვედრა გაიმართა ჰიუსტონში, "ტოიოტა ცენტრში", სადაც ადგილობრივი "ჰიუსტონ როქეთსი" და "ნიუ-იორკ ნიქსი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სეზონის დაწყებამდე ჰიუსტონელებს ხოტბა შეასხი, ეგენი არიან, რაც არიან-მეთქი, მაგრამ აგერ ხართ თქვენ, აგერ ვარ მე, აგერ არის "ჰიუსტონ როქეთსი" და რასაც შვრება, კარგად ხედავთ. ჰიუსტონელებმა კიდევ ერთი მატჩი წააგეს. ტეხასელებს ათი შეხვედრიდან ექვსი წაგებული აქვთ. როგორც ჩანს, მარტო ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინგი საქმეს ვერ უშველიან. ისინი კი აგროვებენ მატჩში საშუალოდ 20-23 ქულას, მაგრამ დანარჩენებს, ალბათ, სძინავთ და ვერ გარკვეულან, რაშია საქმე. კონკრეტულ შეხვედრაში ტიმაკმა და იაომ, შესაბამისად, 24 და 23 ქულა მოაგროვეს. ტიმაკმა რვა შედეგიანი გადაცემაც მიითვალა, ხოლო იაომ - 11 მოხსნა. "ნიქსის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო კურტ ტომასი, რომელმაც 23 ქულა და 14 მოხსნა შესძინა თავის გუნდს. ჯამალ კროუფორდმა და სტეფონ მარბერიმ, შესაბამისად, 19 და 18 ქულა მოაგროვეს. საბოლოოდ ნიუიორკელებმა ერთი ქულით - 93:92 გაიმარჯვეს.

მესამე მატჩი კი შარლოტში, "შარლოტ ბობქეთსის" მოედანზე, "შარლოტ კოლიზეუმში" შედგა. ადგილობრივმა ფოცხვერებმა "კლივლენდ კავალიერსს" უმასპინძლეს. კლივლენდელმა კავალერებმა მატჩი თავის სასარგებლოდ - 106:89 დაასრულეს. ლებრონ ჯეიმსმა 19 ქულა მოაგროვა, ჯეფ მაკაინისმა და ჟიდრუნას იგაუსკასმა, შესაბამისად, 18 და 16 ქულა. "შარლოტ ბობქეთსის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ჯეისონ კაპონო, რომელმაც 16 ქულა მოაგროვა. კეიტ ბოგანსმა და მელვინ ელიმ, შესაბამისად, 14 და 10 ქულის მოგროვება მოახერხეს.

ბოულინგი

# გავერთოთ, ოღონდ წესების დაცვით

ბოულინგკლუბში გამართული ბოლოდროინდელი შეხვედრების თუ სპორტული ასპარეზობების სიხშირე, მართლაც, ადასტურებს ჩვენი საზოგადოების ინტერესს ბოულინგის მიმართ. თამაშის პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ არაორდინარული გასართობისადმი ადრინდელი სკეპტიკური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა და თამაშის კულტურაც ერთობ ამაღლდა. თუმცა, ზოგიერთ მოთამაშეს მაინც არ აწყენდა თამაშის ელემენტარული წესების დაცვა.

გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ მოგაწოდოთ ბოულინგცენტრის გამოცდილი პერსონალის რჩევები. უმთავრესი, რითიც ბოულინგკლუბში პირველივე მისვლისას მოვიხიბლე, ეს ოპერატორთა თბილი დახვედრაა. სხვათა შორის, ასევე ღიმილით გეკითხებიან, ხომ არ ინებებთ თამაშის უნარ-ჩვევებში გარკვევას. სურვილის შემთხვევაში პროფესიულ დონეზე თამაშსაც სიამოვნებით გასწავლიან. მოკლედ, გულითადი დახვედრა კარგი გუნება-განწყობისთვის გარანტირებულია.

ბოულინგთან დაკავშირებული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ბოულინგის ოპერატორს თამუნა მინდიაშვილს მივმართე.

თამუნა ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ადამიანია. ბოულინგცენტრში გახსნის დღიდან მუშაობს და მისი რეიტინგი კლუბის რეკორდია. თავად ბოულინგის თამაში ძალიან უყვარს და მაქსიმალურად ცდილობს, სხვებსაც შეაყვაროს. მუდამ მოღიმარი სახით ეგებება მოთამაშეებს და ელემენტარულ წესებსაც დაუზარლად უხსნის მათ. პროფესიულ დონეზე თამაშის მსურველებს კი სროლის ტექნიკაშიც არკვევს და ბურთის მოხდენილად გაგორების ნიუანსებსაც დიდი სიამოვნებით ასწავლის.

- ბოულინგის მოთამაშეთა მიმართ ჩვენი უპირველესი მოთხოვნა ფეხსაცმლის გამოცვლაა. ამას განსაკუთრებით ქალბატონთა გასაგონად ვამბობ, რადგან ხშირად ისინი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ცდილობენ ბურთის გაგორებას. ბოულინგის სათამაშო სპეციალური ფეხსაცმლის ჩაცმა აუცილებელია როგორც კომფორტული თამაშის ან უშუალოდ მოთამაშის უსაფრთხოებისთვის, ასევე იმისთვის, რომ ბილიკები არ დაზიანდეს. უცხოელებს ან საზღვარგარეთ ნამყოფ ჩვენს თანამემამულეებს უკვირთ კიდეც, როცა ზოგიერთ "ურჩ" მოთამაშეს სპორტული ან რბილძირიანი ფეხსაცმლით თამაშის ნებას ვრთავთ.

**- მაინც რატომ უარობენ გამოცვლას?**

- ეს, ალბათ, უფრო უკადრისობით ან მათი ჭირვეულობით აიხსნება, ვითომ სხვისი ნაცვამი ფეხსაცმელი როგორ მაკადრეთო. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ფეხსაცმელი მუშავდება სპეციალური ანტისეპტიკური დეზოდორით. გარდა ამისა, ვთავაზობთ ერთჯერად წინდებსაც, რომელიც ზოგს, ალბათ, რამდენჯერმე გარეცხილი ჰგონია. მოგეხსნებათ, ხარისხიანი სერვისი ჩვენი მუშაობის დამახასიათებელი ნიშანია. ასე რომ, ჰიგიენის ნორმების დაცვა მკაცრად კონტროლდება. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ იარლიყდაკრული წინდა ქიმწმენდაში გატარებულად ან გარეცხილად ჩაუთვლიათ. ჩვენ ღიმილით ვუხსნით, რომ შეუძლიათ მშვიდად მორიგონ წინდებიც და ფეხსაცმელიც. აქვე გეტყვით, რომ ჩვენთან ფეხსაცმლის შეძენაც შეიძლება. ერთი სიტყვით, თამაშის პირობები ჩვენი მხრიდან დაკმაყოფილებულია, მთავარია, მოთამაშეებმა დათმონ თავიანთი სიჯიუტე.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თამუნა მინდიაშვილი: "ბოულინგის მოთამაშეთა მიმართ ჩვენი უპირველესი მოთხოვნა ფეხსაცმლის გამოცვლაა".

**- სხვა მხრივ, ალბათ, უფრო გიჯერებენ კიდეც...**

- ისე ნუ გამიგებთ, თითქოს მეტისმეტად კატეგორიულნი ვიყოთ. კარგად გვესმის, რომ გასართობად მოსულ ადამიანს რაღაც ჩარჩოებისა და რეგლამენტის დაცვას ვერ მოსთხოვ, მაგრამ ერთ რჩევას კი უთუოდ მივცემდი: ყოველი მოთამაშისთვის ერთი ბურთი სრულიად საკმარისია. ბურთის დამაბრუნებელ მექანიზმზე ზედმეტად დაგროვილი ბურთები, ერთი მხრივ, აპარატს აფუჭებს და სხვა მოთამაშეებსაც დისკომფორტს უქმნის. ამიტომ ნებისმიერ მოთამაშეს ვურჩევ, გაითვალისწინოს ინსტრუქტორთა მითითებანი. გარწმუნებთ, შედეგი გაცილებით უკეთესი ექნებათ.

ვფიქრობ, ბოულინგის მოყვარულთ არ გაუჭირდებათ ამ მარტივი თხოვნის შესრულება, მით უმეტეს, თუ გართობასთან ერთად სპორტული მაჩვენებლებიც აინტერესებთ.

TV-სპორტი

### შაბათი. 20 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "HoUSTON ROCKETS" - "CHICAGO BULLS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - "ლიონი"
14:00 "ფეხბურთი ჭრილში"
14:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
14:55 რუსეთის თასი. 1/16 ფინალი. ცსკა - "სოკოლი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (15:45) - თავისუფალი დარტყმა
16:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "შალკე". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:15) - თავისუფალი დარტყმა
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ჩარლტონი"
21:10 "FUTBOL MUNDIAL"
21:40 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბოავიშტა". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "რეალი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:55 01:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV. 2002 - 2003. "LOS ANGELES LAKERS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"

**НТВ+ПЛЮС**
08:45 "ჰარმონიის ფორმულა"
09:45, 13:25, 15:25, 21:20 პრესცენტრი
10:00, 21:35 "ქრონიკა"
10:05 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "INDIANA PACERS"
12:05 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. 10კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
13:40 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ვაჟები. 15კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:40 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
20:20 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
20:50 "ჰოკეი-პლუს"
21:40 სახვალიო ტელეპროგრამა
21:50 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (23:55) - ახალი ამბები
01:50 01:50-დან 05:30-მდე შესვენება
05:30 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. უინკი რაიტი - შეინ მოსლი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**
06:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
12:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი შვედეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი შვედეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
16:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
21:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
03:45 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად

# გალაკტიონს მაინც მოეშვან!

ვინ ვინ და გალაკტიონ ტაბიძეც სპეკულაციის თემა თუ გახდებოდა ვინმესთვის, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ძალიან მოულოდნელი, გულსატკენი და დამაფიქრებელი იყო ტაბიძის ძეგლთან მანანა არჩვაძის მიტინგის ნახვა. თუმცა, რატომ მიკვირს? სპეკულაციისთვის, პოლიტიკური ქულების ჩასაწერად ვინ და რა აღარ გამოუყენებიათ - შოთა რუსთაველი, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რელიგია და ახლა - გალაკტიონი, ქართული პოეზიის, ნიჭის, მორალის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო. სრულებით არ გამკვირვებია გალაკტიონის ძეგლთან სიწმინდეებით სპეკულაციის ავანგარდში მყოფი გურამ შარაძის დანახვა. კარგი თუ ცუდი, ჭეშმარიტი თუ ყალბი მწერალთა კავშირის წარმომადგენლების დასწრებაც უფრო ბუნებრივი და მისაღები, მათი გამოსვლები კი უფრო გულწრფელი მომეჩვენა. მართალია, მწერლების უმეტესი ნაწილი დიდი მგოსნის ძეგლთან, რომ იტყვიან, ბინის საკითხზე იყვნენ მისულები და მწერალთა კავშირის შენობაზე ბევრად მეტს საუბრობდნენ, ვიდრე თვით გალაკტიონზე, მაგრამ ესეც მეტნაკლებად გასაგებია. თანაც ასეთი თუ ისეთი, მაინც მწერლები არიან. აი, საგულდაგულოდ გამოწყობილი, ჯერ არნანახ, არაღწერილ ქუდში გამოპრანჭული მანანა არჩვაძე და ღვინისფერი დროშებით ჯინაზე შეიარაღებული მისი მომხრეები კი, ჩემი აზრით, არც გალაკტიონს უხდებოდნენ, არც დროს და საკმაოდ ალოგიკურად და უსუსურად გამოიყურებოდნენ. მანანა არჩვაძე, რომელიც თავის ათიოდე თანამოაზრესთან ერთად ერთნაირი შემართებით ბენდუქიძესთან, უზენაეს სასამართლოში და გალაკტიონის ძეგლთან გვევლინება, რამ მოიყვანა, რისი თქმა უნდოდა, რისი დამტკიცება, ვერაფრით გავიგე. გალაკტიონი რომ "ზვიადისტი" არ იყო, ეს ვიცი. ერთი კი ძალიან ზუსტად აღნიშნა ქალბატონმა მანანამ: საინტერესო იქნებოდა, გალაკტიონს თავისი ძეგლის გარშემო გადაშლილ სურათზე რომ გადმოეხედა, რა რეაქცია ექნებოდა. ვისი სპეკულაციის იარაღი გახდა, თვალნათლივ დაენახა. რეზო მიშველაძეს ან გურამ შარაძეს "ეროვნულობაზე", "რელიგიაზე" გასაუბრებოდა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მათი "დიდი ლიტერატურა" გაეცნო. მწერალთა კავშირში დღეს არსებულ მდგომარეობას ჩაწვდომოდა. მანანა არჩვაძის ქუდების უნიკალური კოლექცია ენახა, მისი ლოზუნგები მოესმინა. "მანანისტების" მიერ მიზანში გადაფურთხებული მოხვედროდა. იუდას როლის სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას გაცნობოდა. ჯინაზე, ფსევდოპრინციპულად აფრიალებული ღვინისფერი დროშებისთვის გადაეხედა და მთელ ამ აბსურდის თეატრში უდიდესი ქართველი პოეტისადმი მიყენებული შეურაცხყოფა ამოეკითხა. აი, მაშინ, მართალია, ქალბატონი მანანა თავს აუცილებლად მოიკლავდა, და არც ინანებდა.



# შენიშვნა-შეკითხვები

რამდენიმე დღის წინ, მეგობართან ერთად, დღის პირველ-ორ საათზე კოსტავას ქუჩაზე მდებარე "ლიტერატურულ კაფეში" ყავის დასალევად შევედი. მაგიდასთან დაჯდომამ ისე მომიწია, რომ კაფეს ვიტრინების, ქუჩის და წარმოუდგენლად გადატვირთული მოძრაობის ყურება მომიხდა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ სამარშრუტო ტაქსებით გადავსებული ქუჩა ძალიან სასიამოვნო შესახედი იყოს, მაგრამ რას იზამ, დღევანდელი თბილისის რეალობა ასეთია. უცბად მუხრუჭების ხმა გავიგონე, თავი უნებლიეთ ავწიე და საზარელი სურათი დავინახე - ხანში შესული, შავებში ჩაცმული ქალბატონი, რომელიც "ლიტერატურულ კაფეში" წიგნების ჩასაბარებლად შემოვიდა და ვერ ჩააბარა, ამავე დაწუნებული წიგნებით ხელში გავიდა, ქუჩის გადასვლა მოინდომა და საკმაოდ ნელა მოძრავმა მარშრუტკამ დაარტყა, წააქცია, ვერ გააჩერა და როგორც მე დავინახე, ნახევრად გადაუარა.

კაფეში ჩოჩქოლი ატყდა. ყველანი ფეხზე წამოვარდნენ და ქუჩაში გავიდნენ. პირველი წამები ნანახი საშინელებისგან გონს ვერ მოვდიოდი და თვალდახუჭული მხოლოდ "ვაი, ვაი"-ს გავიძახოდი. როდესაც თვალები გავახილე, ინციდენტის ადგილის გარშემო ხალხი უკვე შეკრებილიყო. საპატრულო მანქანაც მოსულიყო და სასწრაფოც გამოეძახათ. მომხდარი უბედურების არც ერთ თვითმხილველს არ გვეგონა, რომ ქალბატონი გადარჩებოდა, მაგრამ, ეტყობა, რომ იტყვიან, სიკვდილი არ ეწერა და რამდენიმე წუთში გონს მოვიდა. ანერვიულებულ ლოდინში ხუთი, ათი, ოცი, ოცდახუთი წუთი გავიდა და, როგორც იქნა, ნახევარ საათში "03"-ის სასწრაფოც გამოჩნდა.

ამ საზარელი ინციდენტის შემხედვარეს რამდენიმე უნებლიე შეკითხვა გამიჩნდა. პირველ რიგში, ძალიან საინტერესოა, სასწრაფო დახმარების მანქანა უბედური შემთხვევის ადგილზე დაახლოებით რამდენ წუთში უნდა მოდიოდეს? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქალბატონის ბედად, ხალხში ექიმი აღმოჩნდა, თანაც ცნობილი ნევროპათოლოგი და პირველადი დახმარება ოპერატიულად, პროფესიონალურად და დაუზარლად გაუწია, თორემ, როგორც მე მივხვდი, "სასწრაფოს" იმედად ყოფნა არც ისე სახარბიელოა. მათ ლოდინში არავინ იცის, ინციდენტი როგორ დამთავრდებოდა.

მეორე, რაც არანაკლებად მაინტერესებს, ქართველ მძღოლებს ეხებათ, რომლებსაც მუდამ სადღაც ეჩქარებათ, აგვიანდებათ და მანქანის ტარებით საკუთარი უპირატესობის დამტკიცების უნიკალური მეთოდი გააჩნიათ. ნუთუ არ ვიცით, რომ საყვირჩართული სასწრაფოს მანქანა ვიღაცის საშველად, გადასარჩენად მიდის და, შესაბამისად, ყველა არსებული საშუალებით გზა უნდა დავუთმოთ? ათეულობით ადამიანი ქუჩაში ვიდექით და ვუყურებდით, გამოძახებულმა და ისედაც ძალიან დაგვიანებულმა "სასწრაფომ" ნერვული, ამპარტავანი მძღოლების მომლოდინემ კოსტავას ქუჩა ძლივსძლივობით როგორ ჩაიარა. ნუთუ ელემენტარული ჰუმანურობაც დაგვიქვეითდა. ნუთუ ასეთ უკიდურეს შემთხვევაშიც კი საკუთარი ინტერესები, საქმე უზენაესი რჩება?

მესამე შეკითხვით, რომელიც ამ ინციდენტის შედეგად დამებადა, ქალაქის თავკაცებს მინდა მივმართო, რომლებმაც, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ქალაქს "სამკუთხედი" მოუფიქრეს. ფეხით მოსიარულემ კოსტავას ქუჩა სად და როგორ უნდა გადაკვეთოს, ამაზე თუ გიფიქრიათ? რას გვთავაზობთ. Орел-решк-ის გათამაშებას და სიცოცხლის ფასად ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადარბენას, თუ შეიძლება, რომ თქვენივე გენიალური სამკუთხედის ფორმის იდეა ცოტაოდენ კიდევ დაამუშაოთ და ფეხით მოსიარულე ადამიანების ინტერესებიც, კომფორტიც და უსაფრთხოებაც გაითვალისწინოთ.

პატრულის თავაზიანი და, რაც მთავარია, ჯანიანი თანამშრომლების დახმარებით "სასწრაფომ" ქალბატონი ასფალტიდან საკაცეზე გადააწვინა, მანქანაში მოათავსა, საყვირი ჩართო და მანქანების უწყვეტ ნაკადს შეუერთდა. ქუჩაში შეკრებილი ხალხი ნელ-ნელა, ინციდენტის გარჩევით დაიშალა. საპატრულო მანქანამ მოვალეობის შესრულება განაგრძო. ლიტერატურულ კაფეში სიტუაცია ნაწილობრივ დამშვიდდა. მომტანებმა შეკვეთების მიღება-შესრულება განაახლეს. მე გაციებულ ყავას დავუბრუნდი. მოძრაობა კვლავ გადაჭედილი იყო. ერთადერთი, რაც ნახევარი საათის წინ მომხდარ შემზარავ ინციდენტს გაგონებდა, ასფალტზე დარჩენილი სისხლის დიდი ლაქა და ტროტუარის ბორდიურთან მიყრილი ჩაუბარებელი წიგნები იყო. უადგილოდ, უსისტემოდ, უწესოდ, მაგრამ აბსოლუტურად უალტერნატივოდ, კოსტავას ქუჩის გადასვლა კი უამრავმა ფეხით მოსიარულე მოხუცმა, ბავშვმა, ხელჩანთებით დატვირთულმა ქალებმა ჩვეული რიტმით და რისკით განაგრძეს.

აბა, რა ვქნათ?

■ ■ ■

რამდენიმე თვეა, რაც თბილისის ყველა სკოლის წინ მიმდებარე მანქანების სავალ ნაწილზე მოძრაობის შემაფერხებელ-შემანელებელი, გამაფრთხილებელი რკინის მილები დაიგო, რომლებიც ზედმეტი სიმაღლის მიუხედავად, ყოველ გავლაზე, სიჩქარის შენელების გამო ჩემს მოწონებასა და შექებას იმსახურებდა. აბსოლუტურად სწორი და ლოგიკურია, რომ ნებისმიერი სკოლის წინ მძღოლებმა, თუნდაც ძალდატანებით, იძულებით მოძრაობა შეანელონ. მით უმეტეს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი თვითშეგნება ჯერ იმ დონეზე არ არის მისული, გვესმოდეს - იქ, სადაც ბავშვებია, ასმაგი სიფრთხილე გვმართებს. მაგრამ, ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ რკინის ბარიერების დამონტაჟება-დამზადება ან საქმის უფრო კარგად მცოდნესთვის, ან უფრო პატიოსანისთვის მიგვენდო, ჩაგვებარებინა? ან მერიას ოდნავ მეტი ხარჯები გაეწია, ცოტა მეტი გადაეხადა და ასეთი საჭირო "დაბრკოლებები" ერთხელ და ხარისხიანად გაეკეთებინა. თბილისის სკოლების წინ სულ ცოტა ხნის წინ დამაგრებული რკინების ნახევარი უკვე დიდი ხანია, აძვრა, მოირყა, მოილუნა ან, უბრალოდ, გაქრა. ეს სასიკეთო იდეა ნუთუ მხოლოდ ერთ თვეზე იყო გათვალისწინებული? ნუთუ ერთჯერადი პოპულისტური ქულების ჩაწერას გულისხმობდა? თუ, როგორც სამწუხაროდ უკვე მივეჩვიეთ, ამ სამუშაოს შესრულების შეკვეთის გაცემის უკან, როგორც ადრე, დღესაც რაიმე გარიგება-გამორჩენის ინტერესი იკითხება. შუქნიშნებს, სტადიონის სკამებს დაამზადებს ესა და ეს კონკრეტული კომპანია - უაპელაციო ტონით მოგვმართავს ქალაქის პრემიერი. ამ რკინის დაბრკოლების დამზადებაც, ეტყობა, უაპელაციო ტონით გადაწყდა. შედეგიც სახეზეა! იმედი მინდა ვიქონიოთ, რომ სტადიონზე დამონტაჟებული სკამები ცოტათი უფრო დიდხანს გაუძლებს, თორემ პრემიერის მუშაობის უაპელაციო, თვითდაჯერებული, მაგრამ იმედი მაქვს, არა გამორჩენითი სტილი უკვე აშკარად იგრძნობა.

თუ არ გნებავთ, რომ ასე ვიფიქროთ, სასწრაფოდ დააბრუნეთ, უმჯობესია არა რკინის, ამძვრალი დაბრკოლებები, და თანაც ხარისხიანად (სხვათაშორის, გამაფრთხილებელი ნიშნებით)! სკოლებში ჩვენი შვილები სწავლობენ!

■ ■ ■







თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ტიპურად დაბინძურებული, დანაგვიანებული, გაუნათებელი და აქოთებული მიწისქვეშა გადასასვლელია, რომელსაც გადასასვლელის ფუნქციაზე ბევრად უფრო მეტად დახლის ფუნქცია აქვს დაკისრებული. რა არ იყიდება მის მოაჯირებზე: მზესუმზირა, ბატიბუტი, კოლგოტკები, სიგარეტები, ყვავილები, უამრავი სხვა რამ და - წიგნები! უნივერსიტეტის ბაღის გასწვრივ მიწისქვეშა გადასასვლელის მთელ სიგრძეზე ექსპრომტული ბუკინისტური მაღაზიაა მოწყობილი, სადაც ვიღაცა მოხუცი კაცი დილიდან დაღამებამდე ყველა ტიპის წიგნებით, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, ვაჭრობს. როგორც გამიგია, ვაჭრობის პრინციპი ის არის, რომ თუ იყიდება, ე.ი. საჭიროა. სტუდენტებისთვის წიგნები რომ ნამდვილად საჭიროა, ამას დიდი გამოკვლევები არ უნდა. რა გახდა, რომ ეს ექსპრომტული წიგნების ვაჭრობის ცენტრი ცოტა ცივილურ ჩარჩოებში მოვაქციოთ. მოხუცს დახლი გავუკეთოთ, სკამი დავუდგათ, წვიმისგან დასაცავად ტენტი გადავაფაროთ და უნივერსიტეტის ახლოს ასეთი საჭირო, ლოგიკური და არსებული მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი სიმპათიური წიგნის მაღაზია გავუხსნათ. მსოფლიოს ვერც ერთ უნივერსიტეტს ვერ ნახავთ, რომლის შორიახლოს წიგნების მაღაზია არ იყოს. თბილისის უნივერსიტეტი ამაშიც გამონაკლისია. მის მოპირდაპირე მხარეს ენით აუწერელი სიძვირის, უგემოვნობისა და გულგრილობის ტანსაცმლის მაღაზია, ლუდის პაბი, ტოტალიზატორი და "ელიტარული კლუბია" გახსნილი. არც ერთ ამ ადგილებში სტუდენტებს, წესით, არაფერი ესაქმებათ. წიგნები კი, რომლებიც მათ ასე სჭირდებათ და რომლებიც სტუდენტური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს, წვიმაში სველდება და მათი გამყიდველი ბაბუა კი მთელი დღე ფეხზე დგას, დღის ბოლოს წიგნებს ძველ, დაფლეთილ ჩანთაში ალაგებს და მიაქვს, რომ ხვალ ისევ ამავე ჩანთით მოიტანოს, სათუთად დაალაგოს და მყიდველ სტუდენტებს დაელოდოს.

ბაბუაც კი მიხვდა, რომ უნივერსიტეტთან წიგნები უფრო გაიყიდება და არა ბუმბულებით დეკორირებული ბრჭყვიალა სალამოს კაბა!

# ჩვენს უბედურებას ანა ჭაკიძა აკლდა!

ისედაც გაუბედურებული, შელახული, სახედაკარგული ქართული ესტრადის ფართო ასპარეზზე ახალი კოლორიტული "ვარსკვლავის", ვინმე ანა ჯაკის გამოჩენა რამდენად გასახარი ან მოსალოცია, არ ვიცი. მე უფრო სატირალი მგონია. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, მისი ახალი, ასე ვთქვათ, კლიპის "ალერსისთვის გეძახის" შემხედვარეს ცოტა მეტირებოდა, სხვის მაგივრად უხერხულად ვგრძნობდი თავს და შთაბეჭდილებიდან დღესაც ვერ გამოვსულვარ. ანა ჯაკის მსგავს პერსონაჟებს, რომლებსაც თანაც მშვენიერი პროფესია გააჩნიათ - სიმღერა, საკუთარი კლიპების გადაღება, ტელევიზიით გაშვება - "ვარსკვლავობა" რა ნიშნით უნდებათ, ვერაფრით ვხსნი. რატომ სიმღერა და არა, მაგალითად, ბალეტის ცეკვა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, უარესად ნამდვილად არ გამოუვიდოდა. უარესად აღარ შეიძლება! ნუთუ არ ერიდებათ? ნუთუ საკუთარ თავს არც ერთ შეკითხვას არ უსვამენ? თუ, უბრალოდ, არსებული ინტელექტუალური მონაცემებიდან გამომდინარე, ვერც უსვამენ? ნუთუ ყალბი, ფსევდოპოპულარობის მოპოვების გამო თავის მოჭრაზეც თანახმა არიან? რა მაზოხისტურ სიამოვნებას იღებენ იმისგან, რომ უნიჭობისა და უგემოვნობის რეიტინგში პირველ ადგილს იკავებენ. მსმენელს ნერვებს უშლიან, ახალგაზრდებს გემოვნებას უფუჭებენ, თვითონ კი დაცინვის, შეცოდების ან აღშფოთების ობიექტები ხდებიან. ნუთუ, მათი გაგებით ეს არის ის, ყველა ფასად მისაღწევი წარმატება? ამ ანა ჯაკს ან მშობელი არ ჰყავს, ან ახლობელი, ან მეგობარი, ან თუნდაც ერთი კეთილგანწყობილი მეზობელი, რომელიც ოდნავ ობიექტურ რჩევას მისცემდა და მისი "შემოქმედების" ტრაგიზმის რეალურ სურათს აღუწერდა. ან ეს ბოლო კლიპი ვინ ჭკუათმყოფელმა დაუფინანსა? ეტყობა, კეთილმა კაცმა, რომელსაც ფული სულ არ ენანებოდა. საინტერესოა კლიპის რეჟისორის, ოპერატორის, იდეის ავტორისა და, რაც მთავარია, მხატვრის (თუ ასეთი საერთოდ ჰყავდათ) ვინაობა. კლიპში გამოყენებული ესთეტიკა ნეტავ სად ნახეს, ვისგან გადმოიღეს. ამდენი ხელოვნური ყვავილი, თეთრი მტრედი, ფარშევანგი, ვარდის ფურცლები, საქანელები, თეთრი ცხენი სად მოიძიეს, როგორ მოაფიქრდათ? ვინ ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ანას მოუხდებოდა, მის სილამაზეს კიდევ უფრო ზღაპრულს გახდიდა. ანა ჯაკის კნავილით ალერსისთვის დაძახებული გულგადაღეღილი, თეთრებში გამოწყობილი ახოვანი ზესექსუალური ბიჭები სად იშოვეს? კრუჟავოს ნაფლეთით თვალახვეული "ვარსკვლავი ნიმფას" და ბრიოლინწასმული ბიჭების ეროტიკული ვნებები ნეტავი თვითონ ანას ოცნებაა, თუ ამაში რეჟისორის გენიას მიენდო? თუ ეს არის მისი ოცნება, ამას კი ადვილად აისრულებს. აი, ოდნავ მეტზე კი ნურც იოცნებებს. ქართველი მსმენელი ჯერ სულ არ დაყრუებულა, მაყურებელი არ დაბრმავებულა, რომ ამგვარი უნიჭობა, უგემოვნობა და ელემენტარული აფერისტობა მიიღოს. მთელი 1ST-ს ეთერი რომ იყიდონ და მთელი დღე "ალერსისთვის ძახილი" ატრიალონ, არავინ გამოეხმაურება და ანა ჯაკი მომღერალი არ გახდება. ძალიან იოლად, იაფად მოსასყიდი ყვითელი პრესა მთლიანად რომ ანა ჯაკის სიბრძნეებით გაჭედონ, მისგან ოდნავ საინტერესო პერსონას მაინც ვერ გააკეთებენ. ტყუილად ირჯებიან! ერთადერთი, რისი პერსპექტივისაც მჯერა, რომ მშობლების მიერ დაუფიქრებლად კლიპში გადასაღებად გაშვებული ძალიან სიმპათიური ბავშვები ამგვარი "მუსიკით" საბოლოოდ არ მოიწამლებიან და კარგსა და ცუდს როდისმე თვითონ მშვენივრად გაარჩევენ. დარწმუნებული ვარ, რომ ანა ჯაკიმ თეთრმარლებიან ლოგინში რამდენიც არ უნდა იკოტრიალოს და იძახდეს, კლიპის ნახვის, სიმღერის მოსმენის შემდეგ მასთან ალერსი ცოტას თუ მოუნდება.

# 2004 წლის სახელმწიფო პრემიების ნომინანტები

## საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

### I. ლიტერატურის დარგში

1. მწერალი **ზაზა ბურჭულაძე** - რომანისთვის "მინერალური ჯაზი" (გამომცემლობა "ლოგოს პრესი", 2003).

წარადგინა გამომცემლობა "ლოგოს პრესმა".

2. პოეტი **ელა გოჩიაშვილი** - ლექსების კრებულისთვის "პარასკევი ჩემი დღეა" (შპს გამომცემლობა "მერანი", 2003 წ.)

წარადგინა შპს გამომცემლობა "მერანმა".

3. პოეტი **მიხეილ ქვლივიძე** - ლექსების კრებულისთვის "კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს"

(გამომცემლობა "თბილისი", 2004 წ.)

წარადგინა შპს გამომცემლობა "მერანმა".

### II. მუსიკის დარგში

4. კომპოზიტორი **იოსებ კეჭაყმაძე** - 2002-2004 წლებში ქართული ხალხური პოეზიის მიხედვით შექმნილი ნაწარმოებებისთვის.

წარადგინა საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ.

### III. სახვითი ხელოვნების დარგში

5. მხატვარი **თენგიზ მირზაშვილი** - ბოლო ორი წლის ნამუშევრებისთვის.

წარადგინა საქართველოს მხატვართა საერთო ეროვნულმა შემოქმედებითმა კავშირმა.

### IV. თეატრის დარგში

6. რეჟისორი **ნუგზარ ლორთქიფანიძე**, მხატვარი **ჯეირან ფაჩუაშვილი**, მსახიობები: **ევა ხუტუნაშვილი, ანზორ ხერხაძე**, - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლებისთვის: "აბეშურა" და "აქ ოდესღაც ადამიანს უცხოვრია".

წარადგინა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა.

### V. კინოხელოვნების დარგში

7. კინორეჟისორი **როლანდ (მიხო) ბორაშვილი** - ორი სატელევიზიო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმისთვის - "გზა მახცოვრისა" და "დედაო ღვთისა".

წარადგინეს საქართველოს საპატრიარქომ და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომპანია "ქართულმა ტელეფილმმა".

8. კინორეჟისორი **დავით ჯანელიძე**, ოპერატორი **გიორგი გერსამია**, კომპოზიტორი **გიორგი ცინცაძე** - დოკუმენტური ფილმისთვის "მეიდანი - სამყაროს ჭიპი".

წარადგინა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

### VI. ტელევიზიის დარგში

9. **თამარ ბალავაძე, გოგი ფრანგიშვილი, ლევან ადამია, ემზარ ზენაიშვილი**, - დოკუმენტური ფილმისთვის "ათენიდან ათენამდე".

წარადგინა საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა.

### VII. პუბლიცისტიკის დარგში

10. **გურამ ბენაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, ნინო დარბაისელი**, - კრებულისთვის "გალაკტიონოლოგია" (სამტომეული. 2002-2004 წწ.).

წარადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

11. **თამაზ კვაჭანტირაძე** - წიგნისთვის "სასიტყვეთი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება "მეცნიერება", 2002 წ.)

წარადგინა ჟურნალ "ცისკრის" რედაქციამ.

12. **მიხეილ მახარაძე** - წიგნისთვის "ავანტიურა აჭარის სახელით" (ბათუმი, 2004 წ.).

წარადგინა გამომცემლობა "ელფის" დირექტორმა.

13. **ნანა ტონია, ზურაბ კიკნაძე** - წიგნისთვის "მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილებისთვის" (სამტომეული), ბონდო მაცაბერიძე, რუსუდან მოსიძე - ამავე გამოცემის პროექტისთვის. გამომცემლობა "ბაკმი", 2003-2004 წწ.

წარადგინა კლასიკური ფილოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა.

14. **იოსებ ჭუმბურიძე** - წიგნისთვის "ჟურნალისტიკა დროში" (გამომცემლობა "ოპიზა", 2002 წ.)

### VIII. არქიტექტურის დარგში

15. **გიული გეგელია, კონსტანტინე მემანიშვილი** - ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციისთვის (2004 წ.)

წარადგინა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტმა.

### IX. თარგმანი

16. **ნათან ბააზოვი** - წიგნისთვის "XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია (გამომცემლობა "მერანი", 2004 წ.).

წარადგინა: საქართველოს მწერალთა კავშირმა და რუსთაველის საზოგადოებამ.

## ფოტოგალერეა



აივანზე. ავტორი: იური ლობოდინი.

## სკანვორდი




**წინა სკანვორდის პასუხები:**

ჰემინგუეი; ნუგარე; იოდი; ტრავიატა; ყურმინალი; სპრინტერი; მურდული; მშიგელი; მერანი; ვალერია; ქიმერა; რაციონი; კარიერა; ვალკირია; კენგური; კალა; ბომარშე; ყველიერი; ლენტენი; კიდელი; ცერული; აიკა; პლანიმეტრია; მარსელიეზა; ტატიანა; ისკრა; შაბტი; ინიციატივა; ტრეტიაკოვი; ამბერი; ხატია; ჩაჩმახი.

## TV პროგრამა

20 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ბორსალინო და კომპანია" **22.00** "ფსიქო"- "ჰოსპიტალი ბრიტანეთი". რეჟ. ლიდსეი ანდერსონი (18). **01.20** მხ. ფილმი "პრინცესა და მეომარი" (18)ყ

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ყავა ან ჩაი. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **11.05** ხოზსიმინის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. **12.20** ზღვის მიქცევა. მხ. ფილმი. რეჟისორი ლორან ეინემანი. 2004. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **18.50** რაგბი. საფრანგეთი-არგენტინა. **20.45** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **22.20** რეგბი. საფრანგეთი- ავსტრალია. **04.20** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ცარიელი სივრცე" (გ) **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" **13.55** ფეხბურთი. "თბილისი" - "ვით-ჯორჯია". შესვენებისას მოამბე **16.00** მხ. ფილმი "ამერიკული კინო" **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** მუს. ოქტაგონი **21.25** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" **22.15** საღამოს საუბარი **23.00** სპექტაკლი "ამჰერსტის მშვენება" **00.45** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ)

### კავკასია

**15.00** მხ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება" **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "ცირკი" (გ) **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ყვითელი ოთახის საიდუმლო" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **21.30** ტელეჟურნალი "სცენა" **22.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **00.00** მხ. ფილმი "ცუდ გუნებაზე" (18) (ტერი ლერმიტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "დანაშაული" **19.50** დოკ. ფილმი "ფორეს რექვიემი" **20.40** საქართველო არის ესე - ხადას ხეობა **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **21.45** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" - დუშეთი **22.00** ასე ვცხოვრობთ **22.25** მხ. ფილმი "გადაღების ერთი დღე" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "ცისფერი ჩაფხუტი" (გ) **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** დოკ. ფილმი **21.50** მხ. ფილმი "წაიკითხე ტუჩებზე" (15)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "მზეთუნახავი და ურჩხული " 1-2ნ. **10.00** მხ. ფილმი "ნახვამდის მერი პოპინს" (გ) 1-ლი ს. **11.15, 17.50** იმედის მელოდიები **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 15.15, 02.55** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.45** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "რომ გცოდნოდა" (გ) **15.30** "ნბა-ჟურნალი" **16.00** ფეხბურთი. "ლოკომოტივი" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი) **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** მხ. ფილმი "ლეონი" (გ) (ჟ. რენო) **22.30** მხ. ფილმი "ძირითადი ინსტინქტი" (15) (შ. სტოუნი) **00.35** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.50** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.20** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** მულტფილმი "სათამაშოების მაღაზია" **10.00** სათავგადასავლო ფილმი "განძეული" **12.00** მუსიკა **12.15** კომედია "შესანიშნავი" **13.45** მუსიკა **14.00** ფილმი-კატასტროფა "განსაკუთრებული აზრი" **16.20** მულტფილმი "პრინცესა გედი შშშ" **17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **17.45** მელოდრამა "დედინაცვალი" **19.45** დოკ. ფილმი **21.00** კომედია "ბრილიანტის პოლიციელი" **22.30** მუსიკა **23.00** მხ. ფილმი "ინგლისელი პაციენტი"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Т. Эрин в фильме **"НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ПЕППИ ДЛИННЫЙЧУЛОК"** 1-я с. **06.30** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.40** Кумиры. Ирина Слуцкая. **11.10** Тайны века. "Брат императора. Необъявленная казнь". **12.20** История с географией. **13.20** "Умницы и умники". **14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.30** Леонид Якубович в фильме "Одесса. Сентиментальное путешествие". Часть 2-я. **15.20** Арнольд Шварценеггер в боевике **"КОНАН-ВАРВАР". 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "Неуловимый привкус смерти". 1-я с. **18.40** СОФИЯ РОТАРУ И ДРУГИЕ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Александр Балуев в триллере **"ЗАТВОРНИК" 01.25** Джулианна Мур в фильме **"КОНЕЦ РОМАНА" 03.25** Роберт Шоу в триллере **"ОПЕРАЦИЯ "ЧЕРНОЕ ВОСКРЕСЕНЬЕ"**

### НТВ

**06.00** Мультфильм "Сказка о царе Салтане". **06.50** Татьяна Карпова в комедии **"ТЕЩА" 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Боцман и попугай". **08.25** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Виктор Геращенко в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Особо опасен! **14.05** Сергей Никоненко в фильме **"ЕСЛИ МОЖЕШЬ, ПРОСТИ..."**. **16.20** "Женский взгляд". Анастасия Мельникова. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"ТАКСИСТКА". 19.40** Профессия - репортер. **20.10** Виктор Гостюхин в сериале **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ДВОЙНОЙ КАПКАН". 21.15** Ричард Гир в фильме **"ОКОНЧАТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ" 23.50** Майк Тайсон. Лучшие бои. **Майк Тайсон - Орлин Норрис. 00.45** Том Скерритт в фильме **"ДИКАЯ ОРХИДЕЯ-2: ДВА ОТТЕНКА ГРУСТИ". 03.00** Футбол в разрезе. **03.35** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 05.30** Наташа Хенстридж в боевике **"ДВОЙНАЯ ЖИЗНЬ"**

# ოსბორნები, როგორც სიმპსონები



მაშინ, როცა ირაკლი ჩარკვიანს ახალი ხილის, Reality TV-ის პირველი პრეცედენტი შემოაქვს ქართულ ტელესივრცეში, მისი გამოცდილი მიმდევარი ოზი ოსბორნი თავის მოღვაწეობას "ემტივი"-ზე ასრულებს. რომში გამართული ევროპული "ემტივი"-ს დაჯილდოების ცერემონიალზე მომღერალმა განაცხადა, რომ მისი ოჯახი მეტ სერიებს ტელეარხისთვის აღარ ჩაიწერს. "ბოლოს უკვე მართლა აღარ მომწონდა, მთელი დღის განმავლობაში კამერები რომ მიღებდა", - დასძინა მან.

მეუღლის განწყობას შერონ ოსბორნიც იზიარებს. "ახლა რეალიტი-შოუებს ყველა აკეთებს. ოზისაც გაუკეთებია მსგავსი რამ, განუცდია ეს ყველაფერი, ახლა კი გადახალისების დროა. რაიმე სხვა უნდა სცადოს", - განაცხადა მან. თანაც, როგორც ირკვევა, შოუ არც ისე რეალურია. 25-წუთიანი სერიის ეთერში გასაშვებად გადაღებები ოსბორნების ოჯახში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ანუ, ხდებოდა მონტაჟი დროში და რაღაც სცენებიც ხელოვნური იყო - კამერას ყოველთვის ახლავს ხოლმე მსგავსი ეფექტი მსახიობზე.

ასეა თუ ისე, ოზბორნებმა "ემტივიზე" დრო ხალისიანად გაატარეს და, რაც მთავარია, დიდი ფინანსური სარგებელიც ნახეს - შოუმ მათ 85 მილიონი დოლარი მოუტანა.

რეალიტი-შოუს სულისჩამდგმელი შერონი გახლდათ. ის საკმაოდ გავლენიანი ქალია. თავისი ოჯახისა და მეუღლის კარიერის შექმნისთვის, მართლაც, ბევრი ძალისხმევა დახარჯა და რამდენიმე ხნის წინ როკის ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაშიც კი ლიდერობდა.

ოზის სახელის ხელახლა პოპულარიზაცია ცოლ-ქმარმა ოსბორნის სავაჭრო ნიშნის შექმნით უზრუნველყვეს. მას შემდეგ რაც "ემტივი"-ზე სერიალი "ოსბორნები" გავიდა, ოზის სახელობის მაისურები, კეპები და სხვა ნივთები მაღაზიებიდან ელვის სისწრაფით დაიტაცეს. წარმატების ზენიტში მყოფი ოჯახის სერიალის დაწყებას ბოლოს უკვე 8-მილიონიანი ტელეაუდიტორია ელოდა ხოლმე.

თავად ოზი შოუს წარმატებას ასე ხსნიდა: "ალბათ, ამერიკელები გიჟდებიან ერთი გიჟი ბრიტანული ოჯახის ცხოვრებას რომ უცქერენ; ისეთი ოჯახის, როგორიც ჩვენ ვართ - ყოველ კვირას მათ ტელე-ეკრანებზე ბოლომდე ვისულელებთ თავს".




ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსე ანკეტის ყველა გრაფა გარკვევით.
მოგვაწოდე ინფორმაცია შენს შესახებ, [illegible]

იმისათვის, რომ გამოავლინდეს გადაცემაში თამაში და კარგად იცოდე გადაცემის წესები, უყურე ყოველ ორშაბათს, 9 საათიანი კურიერის შემდეგ, რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემას ყველაზე ჭკვიანი.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

| | | |
|---|---|---|
| 1 სახელი, გვარი და მამის სახელი | 4 დაბადების თარიღი | 7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი |
| 2 მისამართი | 5 სკოლა | 8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა |
| 3 საკონტაქტო ტელეფონის ნომერი | 6 კლასი | 9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი |

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.